



ილორი


www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№218 (277) 30 აპრილი-7 მაისი 2013 სახალხო მოძრაობა „სამებროლო“ (ორბანი) 30 თეთრი



სახალხო მოძრაობა „სამებროლო“ და გაზეთი „ილორი“ სრულიად საქართველოს ულოცავენ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ილია II: „უფალა დაგლოსოთ და გაგაკლიაროთ!“



ეს მოხდა იმ დროს, როცა უფალი-
ღმერთი არამარტო ცასა და მიწას, არამედ
მცენარეებსაც და ცხოველებსაც ქმნიდა
და იმწამსვე საკუთარ სახელსაც არ-
ქმევდა მათ.

უფალმა, დიდებულმა და მშვიდმა,
მთელი დღე სამოთხეში გაატარა, ქმნიდა
და სიცოცხლეს ანიჭებდა, და როცა
შესაღამოვდა, პატარა ნაცრისფერი ჩიტის
შექმნა მოისურვა.

“დაიმსხოვრე, რომ გულწითელა გქვია!”
– უთხრა ჩიტს ღმერთმა. ხელისგულზე
დაისხვა და ჩიტი გაფრინდა.

ქვეყანა რომ დაათვალიერა, მოისურვა
საკუთარი თავიც ენახა და დაინახა, რომ
მთლად ნაცრისფერია და გულიც ნაცრ-
ისფერი აქვს.

პატარა ჩიტს შიშით გული
უკანკალებდა, მაგრამ მაინც სულ უფრო
და უფრო ახლო მიფრინდა ღმერთთან და
ბოლოს მის ხელზე ჩამოჯდა.

მაშინ ღმერთმა ჰკითხა, რად დაბრუნ-
დით.

მინდოდა ერთი რამე მკითხაო, მიუგო
ჩიტმა.

“რისი ცოდნა გსურს?” – ჰკითხა
ღმერთმა.

**“რად მეძახიან გულწითელას, როცა
ნისკარტიდან ბოლომდე სულ ნაცრისფერი
ვარ? რად მეძახიან გულწითელას, როცა
ერთი წითელი ბუმბულიც კი არ გამაჩ-
ნია?”**

ჩიტმა ვედრებით შეხედა ღმერთს თავისი
პატარა შავი თვალებით და თავი შეატრი-
ალა – გარშემო იგი ხედავდა წითელ,
ოდნავ ოქროსფერ მტვერდაყრილ ხობებს,
თუთიყუშებს, ყელზე ფუმფულა წითელი
ბუმბულით; წითელიბილიონიან მამლებს;
ოქროს თევზებსა და წითელ ვარდებს ხომ
ხედავდა და ხედავდა. რა თქმა უნდაო,
გაიფიქრა, ერთი პატარა წითელი ბუმბული
მაინც რომ მქონდეს გულზე, საკმარისი
იქნებოდა უღამახესი ჩიტი ვყოფილიყავო,
და მაშინ უფლება მექნებოდა მეტარებინა
გულწითელას სახელიო.

**“რადა მქვია გულწითელა, როცა სულ
ნაცრისფერი ვარ?”** ისევ გაიმეორა და
ევგონა, ღმერთი ასე ეტყოდა მას: **“ააჰ,
პატარა მეგობარო, სულ დამავიწყდა
შენთვის წითლად რომ შემეღებება ბუმ-
ბული. მითცა, ახლავე გამოვასწორებ”**.

მაგრამ ღმერთმა მშვიდად გაიღიმა და
თქვა:

**“შე გულწითელა დაგარქვი და ეს
იქნება შენი სახელი, მაგრამ შენ უნდა
მოიპოვო წითელი ბუმბული გულზე”**.

ჩაფიქრებით ფრენდა ჩიტი სამოთხეში.
ასეთმა პაწია ჩიტმა, აბა, რა შეიძლება
გააკეთოს იმისთანა, რომ წითელი ბუმ-
ბული იშოვოს?

უთვალავი წელი გავიდა იმ ბედნიერი
დღიდან. უკვე დიდი ხანია, რაც ცხ-
ოველებმა და ადამიანებმა დატოვეს
სამოთხე და მთელ ქვეყანაზე გაიფანტნენ.
ხალხმა ისწავლა მიწის დამუშავება და

ზღვაზე ცურვა, შესამოსელისა და საცხ-
ოვრისების კეთება, დიდებული ტაძრებისა
და ისეთი ძლიერი ქალაქების აშენება, რო-
გორცაა თებე, რომი, იერუსალიმი.

და აი, ისევ დადგა დღე, რა დღეც
მრავალი წლის მანძილზე იქნება ღირ-
სახსოვარი კაცობრიობის ისტორიაში. იმ
დღით გულწითელა იერუსალიმის
კედლებთან ახლო, პატარა, შიშველ
გორაკზე იჯდა და ბუდეში თავის ბარ-
ტყებს უგალობდა.

თავის შვილებს გულწითელა უამბობდა
შექმნის საოცარ დღეზე, და იმაზე, რომ
ღმერთმა ყველას სახელი უბოძა. ამ ამ-
ბავს ყველა გულწითელა უამბობდა თავის
შვილებს, იმ პირველიდან მოყოლებული,
ვისაც ღვთის სიტყვა ესმა და მისი ხელი-
დან აფრინდა.

“ჰოდა, ნახეთ”, სვედიანად თქვა, **“იმ დღი-
დან უკვე იმდენმა წელმა გაიარა, იმდენი
ვარდი გაიფურჩქნა, კევრცხებიდან იმდენი
ბარტყი გამოიჩქა, რომ ვერავინ შეძლებდა
იმათ დათვლას, გულწითელა კი ისევ ერთი
პატარა და ნაცრისფერი ჩიტია და ჯერაც**

პაწაწებმა გულადად დაიწრიპინეს,
ჩვენც შევეცდებით მივალწით ალტქმულ-
საო, მაგრამ ბუმბუმა ჩიტმა სვედიანად
მიუგო, რომ შეუძლებელი რამ იყო ეს.
რისი იმედი უნდა ჰქონდეთ, როცა ამდენი
გამოჩენილი წინაპარი ვერაფერს გახდა?
რად უნდა გააკეთონ მათ, სიყვარულის,
სიმღერების და ბრძოლის გარდა? რა შეუ-
ძლიათ?..

ჩიტმა ვერ დაამთავრა ფრაზა
ბოლომდე, იმიტომ, რომ იერუსალიმის
ჭიშკრიდან ხალხის ბრბო გამოვიდა და იმ
გორაკისაკენ გაემართა, სადაც მისი ბუდე
იყო. აქ იყვნენ ამაყ ცხენებზე მსხდარი
მხედრები, მეომრები შუბებითა და
ოროლებით, ჯალათები ღურსმნებითა და
ჩაქუნებით, დინჯად მავალი მღვდლები და
მოსამართლეები, მოტირალი ქალები. ყვე-
ლაზე წინ კი ღრიალით მოდიოდნენ
ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილი მაწანწალები.

პატარა ნაცრისფერი ჩიტი იჯდა ბუდის
პირზე და კანკალებდა. შეეშინდა, ასკილს
გადაქელავენ და პატარებს მომიკლავენო.
“აბა”, ეუბნებოდა თავის ბარტყებს,

გულწითელა

ვერ მოახერხა, ვერ დაიმსახურა წითელი
ბუმბულიო”.

პაწაწებმა ფართოდ გააღეს ნისკარტები
და იკითხეს, შეეცადა თუ არა წინაპართა-
გან ვინმე რაიმე დიდი საქმე ჩაედინა და
ეს ფასდაუდებელი წითელი ბუმბული ეშ-
ოვაო.

**“ყველამ გაგაკეთეთ ის, რაც შეგეძლო”,
მიუგო ჩიტმა, “მაგრამ ვერავინ შეგეძლია
მიგვეღწია საწადელისათვის”**.

ბარტყები ნაღვლიანად აუიფიქრდნენ,
წუხდნენ იმაზე, რომ თავიანთი პატარა
ფუმფულა ყელზე ბუმბული წითლად არ
ულუოდათ.

**“ჩვენ გალობის იმედიც კი გექონდა”,
ისევ აგრძელებდა თავის ამბავს ბებერი
ჩიტი. “უკვე პირველი გულწითელა
მღეროდა ისე, რომ მკერდი უთრთოდა
შთაფონებისაგან, და ფიქრობდა: აჰ, ის
მგზნებარება, რაც მე მამღერებს, და რაც
ჩემს სულში ღვივის, წითლად შეღებავს
ჩემს ბუმბულსო. მაგრამ ცდებოდა, ისე, რო-
გორც ვცდებოდით ყველა და ისე რო-
გორც ცდებით თქვენც”**.


პაწაწებს ოდნავ დაეღოთ პირი, ყელი-
დან საცოდავი წრიპინი აღმოხდათ.

**“ჩვენ ჩვენი ვაჟაცობისა და გამბედაო-
ბის იმედიც გექონდა”,** ისევ აგრძელებდა
ბებერი ჩიტი. **“ჯერ კიდევ პირველი გულ-
წითელა მამაცურად შეებრძოლა სხვა
ჩიტებს და მისი მკერდი ბრძოლის ალიტ
გისხივებდა. აჰ, გაიფიქრა მან, “ჩემი ბუმ-
ბული ჩემს გულში მოგიხივებ ბრძოლის
ცეცხლით შეიღებება წითელ ფერად, მა-
გრამ ცდებოდა, როგორც ყველა ჩვენიანი
და ისევე, როგორც ცდებით თქვენც”**.

**“ერთმანეთს მაგრად მიეკარით და არ
გაინძრეთ! აგერ, პირდაპირ თქვენზე
მოაჭენებს ცხენს მხედარი! აგერ-აგერ, მეო-
მარი მოდის აქეთკენ, სანდლები სულ
რკინებით აქვს დაჭედილი! მთელი ბრბო
აქეთ მოქანება!”** ჩიტი იმწამსვე მიჩუმდა,
დადუმდა. თითქმის დაავიწყდა, რა ხი-
ფათიც ელოდა მათ.

უცებ ჩიტი ბუდეში მივარდა და ნაცრ-
ისფერი ფრთებით ბარტყები დაფარა.

“არა, ეს მეტისმეტი საშინელებაა”, თქვა
მან, **“შე არ მინდა, რომ მათ ნახონ –**



ჯვარზე გასაკრავად მიჰყავთ სამი
აგაზაკი”.

და შეშინებულმა ჩიტმა ფართოდ
გაშალა ფრთები, რათა უმწეო ბარტყებს
არაფერი არ დაენახათ. იმათ მხოლოდ
უროების დარტყმის გრიალი, შესაბრაღისი
კენესა და გამხეცებული ხალხის ველური
ყიყინა ესმოდათ. გულწითელა უყურებდა
მთელ ამ ამბავს, საშინელებისაგან ფარ-
თოდ გახეილ თვალებს იმ სამ უბედურს
ვერ აშორებდა.

“მაინც რა შეუბრალებელი ხალხია!”
ფიქრობდა ჩიტი. **“ის არა ჰყოფნით, რომ ეს
სამი დარბი ჯვარზე გააკრეს, არა, ერთ
მათგანს თავზე ეკლის გვირგვინიც
დადგეს. ეკლები შუბლში ჩარტობია და
სისხლი ჩამოსდის. თვითონ კი ისეთი მშ-
ვილი გამოხედვა აქვს, არ შეიძლება, არ
გიყვარდეს. როცა ვხედავ, თუ რარივ იტან-
ჯება, ასე მგონია, ჩემს გულს პირბასრი ის-
რები ჩასცეს”**.

ჩიტი სულ უფრო და უფრო დიდი
სიბრაღულით იმსჯვალებოდა ეკლის
გვირგვინოსანი ჯვარცმულის მიმართ.

“შე რომ ჩემი მამა არწივი ვიყო”,
ფიქრობდა იგი, **“ხელებიდან ღურსმნებს
ამოვამარბდი და ძლიერი კლანჭებით
მიფერიდ-მოფერიდი იმის მწამებლებს”**.

ხედავდა, სისხლის წვეთებით როგორ
ვესებოდა შუბლი ჯვარცმულს და აღარ
შეეძლო ბუდეში ჯდომა.

**“მართალია, პატარა და სუსტი ვარ, მა-
გრამ მაინც რაღაც უნდა გაგაკეთო
უბედური წამებულისათვის”,** გაიფიქრა
ჩიტმა. ბუდიდან ამოფრინდა და მადლა,
ცისაკენ გაფრინდა; ფართო წრეებს ხაზა-
ვდა ჯვარცმულის თავზემთო.

დიდხანს ფრენდა გარშემო, ახლო
მიფრენას ვერ ხედავდა, იმიტომ რომ
პატარა, მშინარა ჩიტი იყო და არასოდეს
არ მოახლოებოდა ადამიანს. მაგრამ ცოტ-
ცოტათი გამამაცდა, სულ ახლოს
მიფრინდა და ჯვარცმულს შუბლში ჩარ-
ტობილი ერთი ეკალი ამოადრო. ამ დროს
ჩიტის გულს იმ წამებულის სისხლის
წვეთი დაეცა. მალე გაიშალა და პატარა-
პატარა ნახი ბუმბული შეუღება გულზე
და ყელზე.

როცა ჩიტი ისევ ბუდეში მოფრინდა,
ბარტყებმა დაიყვირეს:

**“გულზე ბუმბული წითელი გაქვს!
ვარდზე წითელი!”**

**“ეს, უბრალოდ, იმ საბრალო კაცის
სისხლის წვეთია, შუბლზე რომ დასდის”,**
მიუგო ჩიტმა. **“მაშინვე გაქრება, როგორც
კი ნაკადულში გავიბანები”**.

მაგრამ რამდენი არ განიბანა პატარა
ჩიტი, წითელი ნიშანი არა და არ ქრებოდა,
და როცა ბარტყები დაიხარდნენ, ყელი და
მკერდი ღია წითელფრად ჰქონდათ
იმთაც შეღებილი, და ეს დღეის დღემდე
ასე არის.

**“ღებენდები ძრისტიზე”,
სელმა ლაგერლოფი**

დავალეპინოთ მჭურვალს წყალი...

ყოფილხართ კოპორაში? თუ ერთხელ მინც ყოფილხართ, აუცილებლად გეჩვენებთ ნანახი ციტრუსების მეურნეობა, რომელიც, თუ არ ვცდები, ყველაზე დიდი იყო საქართველოში, ამასთან ყოველმხრივ გამორჩეული. წელიწადის ამ დროს იქაურობა მანდარინისა და ლიმონის, ფორთოხლისა და გრეიფუტის ყვავილთა საოცარი სურნელითაა გაჟღერებული.

მასსოვს ქუთაისში, საფინხიაზე, იმ ქუჩაზე, რომელსაც თავდაპირველად ძველი თბილისის მეორე შესახვევი, ჩემს მახსოვრობაში კი ჯერ რატომღაც შემარცხენე ესერის – ურიცხის მეორე შესახვევი შეარქვეს, შემდეგ სოლომონ პირველის მეორე შესახვევი, ხოლო ამჟამად ნაადრევად წასული ჩვენივე უბნელი ნიჭიერი ქართველი პოეტის – ირაკლი ბახაძის ქუჩაა, ჩემი მამაპაპისუფლი სახლის მონახვევები – ბატონი დავით ბასილაძე და მისი მეუღლე – ქალბატონი გუგული ფაჩუაშვილი კოპორიდან რომ ჩამოვიდოდნენ, მათ პატარა ზურიკოს ციტრუსების სურნელი მოჰყვებოდა.

საოცარი ბიჭი იყო ზურიკო – ჭკვიანი, ლამაზი, ყველას მოყვარული. დიდი კაცივით მომიჯდებოდა გვერდით და ათას საინტერესო ამბავს მიყვებოდა სამურზაყანოვლ მეგობრებს, მათ შორის თავის აფხაზ მამაკაცსა და დაქალზე, რომლებიც მისი კბილანი იყვნენ – ერთად იზრდებოდნენ საბავშვო ბაღშიც, სკოლაშიც. აკუნინდნენ ასე მტკიცდებოდა შვილების ის უადრესად კეთილი დამოკიდებულება, რომელიც მათ შობილებს – კოპორის ციტრუსების მეურნეობის მთავარ აგრონომს, ბატონ დავით ბასილაძესა და მის აფხაზ კოლეგას აკავშირებდა.

უკანასკნელად 1978-ის გვიან შემოდგომაზე შეგხვდი ზურიკოს. შეგებულების დარჩენილი დღეებით ვისარგებლე და მის სუხნა ბიძასთან – ზურაბ გიორგაძესთან ერთად ვეწვიე კოპორაში.

უკვე კარგად შედგრებული ჭაბუკი გახლდათ. მამის გზას ადევნებული, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლული აგრონომის დიპლომით დაბრუნებულიყო და თანატოლებთან ერთად კოპორის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა.

ის ორი აფხაზი თანატოლი გამაცნო,

მერე კი ისიც გამანდო, ციტრუსებს რომ მოვირთველიანებო, ქორწილი აქვთ გადაწყვეტილი და ხელისმომკიდედ ვარ მიწვეული.

* * *

ზურაბი მამაზე მეტად სტუმართმოყვარე გამოდგა. ჩემი შეგებულება ისე მიიწურა, რომ, რა საბაბი არ გამოძებნა, რათა როგორმე კოპორიდან არ წამოვსულიყავი.

ბოლოს მე და ბიძამისმა ვიქმნავე და, როცა რაღაც სამსახურებრივ საქმესთან დაკავშირებით სოხუმში უნდა ჩასულიყო, ვთხოვეთ, გაგვიყოლე, სოხუმში არ გვიინახავს და დავგათვალისწინებთ-თქო. არადა, როგორ არ მინახავს?! თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მამა სოხუმის სალოკომოტივო დეპოს უფროსად მუშაობდა და ბავშვობაში იქ ვცხოვრობდი კიდევ, ამ ულამაზეს ქალაქთან ბევრი სხვა რამ მაკავშირებდა.

მათ შორის ჩემი კურსელები – ურნალი-სტი გვივი რამიშვილი და ცნობილი აფხაზი მეცნიერი და პოეტი, სულგანათლებული ბორის გურგულია, რომლის ლექსები სწორედ იმ დღეებში ქართულად უბრწყინვალესად თარგმნა ჩვენმა საერთო მეგობარმა და უნივერსიტეტელმა თანაპარტელმა გურამ გოგიაშვილმა.

იმ დროს ბორის აფხაზურ საბავშვო ჟურნალს რედაქტორობდა და რომ დაგვიინახა, ბასილაძეების „ტყვეობიდან“ კი გვიხსნა, მაგრამ სამაგიეროდ აფხაზურ და მისი უახლოესი მეგობრის, აფხაზეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტის გენო კალანდიას მეგრულ სტუმართმოყვარეობას დიდხანს ვერ დავადვიეთ თავი.

* * *

უკანასკნელი წერილი ზურიკოსაგან ერთი წლის შემდეგ მივიღე. საგანგებოდ გადაჩვენული მანდარინით საცხე ყუთში იღვა.

მატყობინებდა, მალე ნათლია გახვდები – ჩემი აფხაზი მეგობრები შვილს ელოდებიან...

ვერ მოესწრო. მერე იამბებს: თურმე შუალამეზე ეწვია მეგობარი – არიქა, მიშველეს, ცოლი სამშობიაროში წამაყვანინეო. ქალი კი დაუბინავებით, მაგრამ უკან დაბრუნებისას

ზურიკოს მანქანაში ბენზინი ჩაუსხამს. სინქარეში ავჯის ხუფი გადავარდნია და სიბნელეში მისი ძებნისას ასანთი გაუქრავს...

* * *

ქუთაისში, საფინხიის სასაფლაოზე, ეკლესიის მახლობლად, სულ ორიოდ მეტრში იმ ადგილიდან, სადაც ოდესაში შავრაზმელების მიერ მოკლული და ლეგენდად ქცეული ჩვენი თანაქალაქელის – საბა კლდიაშვილის საშუამო განსახელებულია, დგას თეთრ მარმარილოში გაცოცხლებული ზურაბ ბასილაძე. როდესაც ამ საფლავს გვერდით ჩაუვული, ჩემდა უნებლიედ ქვის უმწიკველი სითეთრე იმ თეთრ ყაბალახებს მახსენებს, რომლითაც ზურაბის დაკრძალვის დღეს მის შაფროხოსან აფხაზ მმანდაფიცია და სხვა მეგობრებს მასთან გამომშვიდობების ნიშნად მხარი ჰქონდათ ახვეული.

* * *

დღეს ადარც მისი აფხაზი მმანდაფიცია ცოცხალი.

არავინ იცის, ვისი ტყვიით, როგორ და რატომ დაიღუპა იმ წყაროს მახლობლად, რომელიც ძმობილის მოსახსენებლად თანასოფლელებთან

ერთად გაიყვანა და კოპორელებს უსანუქრა.

როგორც შვილს, აფხაზ ყმაწვილს ისე დასტიროდნენ ზურაბის მშობლები და სიკვდილამდე მამაზეციერს იმას ევედრებოდნენ: მადალო დმერთო, გვაღირსე კოპორაში ჩასვლა და ზურაბის წყაროს წყალი.

არ ვიცნობ, მაგრამ მწამს, რომ ასევე მწყურვალა ზურაბის აფხაზი მმანდაფიცის ოჯახიც.

ვიწამით დმერთი, დავალეპინოთ მწყურვალებს წყალი!

ალექსანდრე შენბელია

სურათში: ზურაბის წყარო კოპორაში.

P.S. ეს კადრი საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიისათვის ამავე თემაზე გადაცემის მომზადებისას 1984 წელს ფირზე

აღებულა ტელეჟურნალისტმა ბორის პაველჩუკმა. გადაცემის

ტექსტი მე მეკუთვნოდა, რეჟისორი კი

ქალბატონი ნინო ქართველიშვილი იყო.

ა. შენბელია



ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა

აფხაზეთის სარკინიგზო ხაზის აღდგენის მომხრეა

მოსახლეობის შერჩევითი გამოკითხვების შედეგად დადასტურდა, რომ საქართველოს მცხოვრებთა უმეტესობა ემხრობა აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის ექსპლოატაციაში შესვლას, რაც თითქმის სრულად აღადგენს ამიერკავკასიის რკინიგზის სისტემას. საქართველოს მოსახლეობის სამოცდასამ პროცენტზე მეტმა დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას და აღამიანების ეს სურვილიც საცხებით გასაგებია, რადგან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ტერიტორიის ამ მონაკვეთში უდავოდ შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, გამოცოცხლდება ეკონომიკა და გადატაკებული მოსახლეობის ყოფა ბევრად უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდება. აღნიშნული კვლევა ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) ჩაატარა, რომელმაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 3013 აღამიანი გამოკითხა. წინააღმდეგ წავიდა რესპონდენტთა 13 პროცენტი.

გამოკითხვით დადგინდა, რომ რესპონდენტთა 38 პროცენტს აკმაყოფილებს საქართველოსა და რუსეთს შორის გაუარესებული მდგომარეობა, 49 პროცენტი კი ამის წინააღმდეგია. 42 პროცენტს მიაჩნია, რომ რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსათვის, 84 პროცენტი კი იმედით ეგებება ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნებას.

შეგახსენებთ, რომ პირველად რკინიგზის ხაზის დგენის თემა წამოწია ქართულმა მხარემ, თუმცა, იმის მიზეზით, რომ აფხაზეთმა ამ საკითხის მიმართ ინტერესი არ გამოავლინა, საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან.



აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბაეცნო რეპატრიანტთათვის განკუთვნილი კოტეჯების მშენებლობის პროცესების მიმდინარეობას

აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი ლეონიდ ლაკერბაია გაეცნო რეპატრიანტთათვის განკუთვნილი კოტეჯების მშენებლობის პროცესების მიმდინარეობას, რომელიც ხორციელდება გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარაში. სწორედ აქ აშენდება 16-ბინიანი ცხრა საცხოვრებელი კოტეჯი, რომლებშიც რეპატრიანტები განთავსდებიან. აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას ავრცელებს აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის პრეს-სამსახური.

მიმდინარე პერიოდისათვის პრაქტიკულად დამთავრებულია პირველი კოტეჯის მშენებლობა და თითქმის ბევრი აღარაფერი უკლია მეორე კოტეჯის მშენებლობის დამთავრებასაც, მესამე კოტეჯის აღსამართად კი უკვე ჩაყრილია მარი საძირკველი. სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს უნიტარული სამშენებლო-საწარმო „აიბლა“.

თითქმის დიდ სიძულეს არ უნდა წარმოადგენდეს მსუბუქი ტიპის საცხოვრებელი კოტეჯების აგება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მასში მაცხოვრებლებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ყოფითი კომფორტი და ცხოვრებისათვის აუცილებელი სამუშაო პირობები, მშენებლები დიდ ყურადღებას უთმობენ მშენებლობის ხარისხს, რათა გამოირიცხოს ყოველი სახის პრეტენზია ახალმოსახლეების მხრიდან.

აღნიშნული კოტეჯების მშენებლობა დაიწყო 2010 წელს. ადგილი, სადაც კოტეჯები უნდა განლაგდეს, დაჭაობებული

ადგილი იყო, რამაც დღის წესრიგში დააყენა სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა – თითქმის ოცდაათი ათასი კუბური მეტრი წერილი და მსხვილფრაქციული ღორღის ჩაყრა გახდა აუცილებელი, რათა კოტეჯების მშენებლობისათვის სრულყოფილი ფუნდამენტი შექმნათ.

ამჟამად, აფხაზეთის რესპუბლიკის რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, რეპატრიანტთა 80 ოჯახზე მეტი დგას რიგში და ელოდება შესაბამისი საცხოვრებელი ფართის მიღებას. საუბარია იმ რეპატრიანტებზე, რომლებიც უკვე კარგა ხანია ცხოვრობენ და მუშაობენ აფხაზეთში, მაგრამ, სათანადო საშუალებათა არქონის მიზეზით, იძულებული არიან იცხოვრონ დაქირავებულ სახლებში, რაც დამატებით მატერიალურ და ფინანსურ პრობლემებს უქმნის ადამიანებს.

ასევე გადაწყვეტის პროცესშია კოტეჯების ელექტრო, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემებით აღჭურვის საკითხი. აფხაზეთის რესპუბლიკის რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტში ელოდებიან ამ სამუშაოების პროექტსა და ხარჯთაღრიცხვას, რომლის შექმნაზეც მუშაობს საპროექტო ორგანიზაციის „აფხანიტილიარა“.

ასე რომ, საკუთარ საცხოვრის მონატრებული აფხაზი რეპატრიანტები მალე იზიემებენ ახალსახლობას!

ვიცოთ ერთბაშად ჩვენი სახელოვანი წინაპრების

ამას წინათ ხელში ჩამოვარდა 1990 წლის ქართული კალენდარი, სადაც წერია: "მიმდინარე წელს შესრულდა 225 წელი რუსი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის დაბადებიდან"-ო. ფაქტია, პეტრე ბაგრატიონი რუსეთ-ოსმალეთის, პოლონეთის ომების, იტალიისა და შვეიცარიის დაშლის, აუსტერლიცის, პრესბურგის, ფრინდლანდიისა და ბოლოს 1812 წლის ბოროდინოს ბრძოლების მონაწილე, ინფანტერიის გენერალი და უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული უმაღლესი მხედართმთავარი იყო, რომელმაც ნაპოლეონის ჯარების შვიდი იერიშიდან, შვიდივე ბრწყინვალედ მოიგერია და მძიმედ დაჭრილი გარდაიცვალა, რუს მხედართმთავრად არ უნდა მოვისხენოთ.

უმაღლესი სამხედრო სტრატეგი ბაგრატიონი იყო ქართველი და არა რუსი, ვახტანგ მეექვსის ძის იესეს შვილი-იშვილის შვილი.

თუ პეტრე ბაგრატიონი რუსი მხედართმთავარია, მაშინ ჩვენი ცნობილი, სახელგანთქმული გენერლები (მხედართმთავრები): ლესელიძე, ჩანჩიბაძე, კალაძე, ყურაშვილი, თავართქილაძე და სხვები, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომში, ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს: ფრონტის, არმიის, შენაერთების, დივიზიების სარდლობით, რუსი მხედართმთავრები ყოფილან.

ფორე მისულიშვილი იტალიელმა ხალხმა თავის ეროვნულ გმირად გამოაცხადა, მაგრამ ის ქართველია და არა იტალიელი.

სამაყაო ის, რომ საბჭოთა პერიოდში, ქართველთა სამაყო შვილის პეტრე ბაგრატიონის ძეგლი მის სამშობლოში, საქართველოს დედაქალაქში - თბილისში აღმართეს. განა სახიხარულო არ არის ის, რომ გამოჩენილმა ქართველმა მსახიობმა გიული ჭოხონელიძემ ღირსეულად განასახიერა პეტრე ბაგრატიონის გმირი მის მიერვე დადგმულ კონოფილმ "ბაგრატიონში", რომელმაც უამრავი ჯილდო დაიმსახურა მსოფლიო კინოფესტივალებზე.

აი, რას სწერდა 1987 წლის 4 აპრილით დათარიღებულ ჟურნალ "ოგონიოკში" ცნობილი რუსი პოეტი ანდრეი ვოხნესენსკი: "ამას წინებზე, ვიტებსკში მოგზაურობის დროს, გვწვივებ ბოროდინოს ველს. აქ ამ ადგილას, ქართველი თავადის, უნიჭიერის მხედართმთავრის, ინფანტერიის გენერლის პეტრე ბაგრატიონის ნეშტი განისვენებს, რომელიც, ფრანგებთან უსასტიკესი ბრძოლის დროს, გმირულად დაეცა. წინა საფლავიდან ბოროდინოს ველზე ბაგრატიონის ნეშტის გადმოსვენებისას, ხალხს ცხენები აუშვით და თვითონ ჩამდგარან სპეციალურ ოთხთვალაში და ასე რამდენიმე კილომეტრით უტარებიათ: "ქართველმა თავადმა, უდიდესმა მხედართმთავარმა თავი შესწირა მტერს ჩვენს გადასარჩენად!"

ანდრეი ვოხნესენსკი იქვე წერს: "ცნობილია, რომ ბოროდინოს ბრძოლების დროს ნაპოლეონმა წერილი მისწერა ბაგრატიონს: "ბატონო გენერალო! თქვენი ნიჭის პატრონი საფრანგეთის არმიას უფრო დამაშინებელია, რადგან იმდენი, რამდენი ვერცხლი დახვედრისათვის. წინასწარ გაბრძობით საფრანგეთის რესპუბლიკის მარშლობას და ქართლ-კახეთის გვირგვინს. თქვენი სამშობლო ინდოეთში მიმავალ გზაზეა, ხოლო ინდოეთის დაპყრობის გეგმა ჯერ კიდევ ძალაშია. დაფიქრდით, ბატონო გენერალო, ყველაფერი უნდა

გადაწყდეს ახლავე, ხედავთ გვიან იქნება. ხედავთ შეიძლება სამყარო დარჩეს ისეთი საბედნიერო ტალანტის გაერეში, როგორც თქვენ ბრძანდებით!"

პეტრე ბაგრატიონმა ნაპოლეონს უპასუხა: "მის უდიდებულესობას, ფრანგთა იმპერატორს ნაპოლეონ პირველს! ჩვენ, ქართველები, ფიცის ხალხი ვართ, ფიცის გატეხას სიკვდილი გვიჯობს! ჩვენ ალფაში ვართ, ალბათ, აქედან ცოცხალი ვერც ერთი ვერ გამოვალით, ამის მიუხედავად უარს ვამბობ თქვენს წინადადებაზე. პეტრე ბაგრატიონი".

მს ყველაფერი ხომ საამაყოა!

განა საამაყო არ არის, რომ მსოფლიოში აღიარებული ყველა დროის უდიდესი და უმაღლესი მთავარსარდალი, სამხედრო წოდებით - გენერალისიმუსი იოსებ ჯულაშვილი - სტალინი რომ ქართველია? სტალინმა, რომელმაც რუსეთის იმპერიის სათავეში ყოფნისას პლანეტის უსასტიკესი ურჩხული - ფაშისმი, თავის ბუნაგშივე ამოშანდა და მსოფლიო ისხნა შავი ჭირისგან. ომში გამარჯვების შემდეგ სწრაფი ტემპით განავითარა სახალხო მეურნეობა და ყოფილ დეგრადირებულ იმპერიას ატომური ბომბიც შესძინა და ა.შ. ყოფილი სსრ კავშირი მსოფლიო მოწინავე სახელმწიფოთა რიგში ჩააყენა. ეს გააკეთა ქართველი გლეხის შვილმა სოსელიძე, გორის ციხესთან ახლოს მდებარე ქოხში დაბადებულმა, ხალხის პოეტური ნიჭით გამორჩეულმა ყმაწვილმა, ქართული გენის ბრწყინვალე წარმომადგენელმა.

თუ კრეტიზმა და ლავე ტვიჩის პატრონმა ხრუშჩოვმა სტალინის ძეგლზე თავისი ბინძური ხელი აღმართა და მას მრავალი ქართველის (არა მხოლოდ ქართველის) სიცოცხლე შეეწირა, განა დღეს დასაშვებია, ერთი ხელის მოსმით აღებულ იქნას თავის სამშობლოში (გორში) აღმართული დიდი ქართველის ოსებ ჯულაშვილ-სტალინის მარადიული ძეგლი?!

ინებუ სტალინიც ოსიაა!

"კი არ გაგაუქმებთ, არამედ მუხუხუში დაგვამათ" - განაცხადეს საქართველოს მთავრობაში.

ერთხელ კი მოუვიდა თბილისის მერიას ასეთი შეცდომა, როცა საქართველოს მეფეთმეფედ შერაცხული დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლი დედაქალაქის ცენტრიდან ახსნეს და რაიონის ისეთ უადგილო ადგილას დადგეს, რომ ტურისტები და დამთავალიერებლები ახლოს ვერ ეკარებოდა, რადგანაც ძეგლის ირგვლივ ტრანსპორტის განუწყვეტელი - ინტენსიური მოძრაობაა.

თუ ძეგლები ავსენით, რა იქნება თბილისი?..

რა იქნება რომი ძეგლების გარეშე? იქ ხომ დღესაც დგას კალიგულას, ნერონის, კეისარის და სხვა ტირანთა ძეგლები?!

თუ სახელმძღვანელოებიდან ამოღებული იქნება ჩვენი ისტორიული წარსული, მაშინ ბავშვებს, მომავალ თაობას მაინც მივცემთ ისტორიულ ძეგლებთან მისვლის საშუალებას!

რა კარგად წერს თავის წერილში ბატონი ვიოროვი გიგაური ("ასავალ-დასავალი" №40, 2008) იმ პიროვნებებზე, რომლებიც სტალინს უდიდეს ადამიანად მოიხსენიებენ. აბა, გაბედოს შუა აზიაში ჩასულმა და თემურ-ლენგზე უხამსი რამე თქვას. ასეთ კაცს მკაცრად გაუსწორდებიან - თემურ-ლენგი მათი სალოცავი ხატია!

აბა, ჩვენ, მართლმადიდებლებს რა დოჯანა გვბეჭად?

სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით, უფრო მეტად, ქართველები ვაერცვლებოტორებს ჩვენს დიდ ადამიანებზე, თითქოსდა თავის გამოჩენა გვინდოდეს - "აი, ხომ ხედავთ, როგორ არ ვინდობთ ჩვენს თანამემამულეებსაც?" მაგალითად, "სახალხო ფრონტის" თავმჯდომარემ ბატონმა ნოდარ ნათაქემ მთელი სერიოზულობით აღნიშნა, რომ იოსებ სტალინი გვარად ეგნატაშვილია და არა ჯულაშვილი! (ბროშურა - "სისხლიანი პარასკევი").

ლავერენტი ბერიაც, თითქოსდა პავლეს კანონიერი შვილი არ იყო ("კომუნისტი" №60, 1990). თურმე, ლავერენტის დედა, მართა ჯაყელი, ვიღაც მღვდელს შეუცდელია და დაორსულდა. რომ არ გახმაურებულიყო ეს საქმე, ვინმე პავლე ბერიაზე მიუთხოვებიათ და შვილი რომ დაიბადა, ლავერენტი დაურქმევიათ. შემდგომში კი, ეს ყველაფერი, შვილისთვის (ნუ იტყვით) დედას გაუმხელია. ეს იგი, ამ ლეგენდის შემთხვევით, გვეგონებათ, იმ ლოგინის ქვეშ კუმავდა ტუნებს, სადაც "შეცდინეს" მართა ჯაყელი (?).

ლავერენტი ბერიაც, აფხაზეთში, სადაც, მიერეულ მალაქმთიან სოფელში დაბადებულს, ჯერ კიდევ სრულად ახალგაზრდას ეკავა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ვეპერთელა თანამდებობები, შემდეგ კი მსოფლიოს დახვეწისა და კონტრ-დახვეწის ადვირი ეკავა ხელში. ვიღაცეების გასაქილიკებელი გახდა კაცი, რომელიც იყო სსრ კავშირის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მარშალი და გმირი, რომელმაც სრულყოფილად იცოდა რვა ენა - აზერბაიჯანული, სომხური, თურქული, გერმანული, ინგლისური, უკრაინული, რუსული, არაფერს ვამბობ აფხაზურ, მეგრულ და ქართულ ენებზე, რომელმაც ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა. და ეს კაცი ვიღაცეების გასაქილიკებელი გახდა!

როგორი დაბოღმულია ზოგიერთი ინტელიგენტი!

კი, ბატონო, სტალინსა და ბერიას სახელმწიფოს მმართველობის პერიოდში, შეიძლება მიუძღვით ბრალი ზოგიერთ უდანაშაულო პირთა ლიკვიდაციის საქმეში, მაგრამ ეს როლი ნიშნავს იმას, რომ ისინი, ორთავენი, ნაბიჭვრები იყვნენ!

მსოფლიო პოლიტიკოსები სტალინსა და ბერიას უდიდეს ადამიანებად აღიარებდნენ, ხოლო ჩვენთან, საქართველოში, ვიღაც დაბოღმულები, კანში ვერ ეძევიან და აუგად მოიხსენიებენ მათ. ამას ცალკეული ადამიანები ავლენენ, მაგრამ ისინი საზოგადოებაში ჯერ კიდევ ქმნიან ამინდს.

აი, კიდევ ერთი იმ მრავალთაგან ერთი მაგალითი: ისტორიულად, საქართველოს ეროვნულ გმირად შერაცხული ცოტნე დადიანის შესახებ რას წერდა (1975 წ.) პოეტი მურმან ლეპანიძე თავის ლექსში, რომლის სათაურად გულდაგულ შეურჩევია:

"ცოტნე ბამყიღველს"

ხომ არ წამოხვალ შენ ჩვენთან ომში? იქ, ჩვენს ტაბლასთან, ანაზღად გკითხეს, ფუი, კამბეჩი გიცანით ლომში და ჩვენს სამშოში ჩავრიცხეთ იმ დღეს. გაგნათლეთ ტომში, გატეხე პური, აწიე ტიქაც, შენ კუდს იქნევი აქაც და იქაც. სველი ლანჩი გაქვს სივლახის ტობრში, აწი ჩვენი გზები სხვაგვარად

მიდის. იუდას ვერცხლი მოგართვეს ხონით, ჩატეხილია ბურჯები ხიდის, შუა ჩამოდის მდინარე - მოვრჩით!

და კიდევ, მის მიერ სამეგრელოზე დაწერილ ლექსზე არაფერს ვამბობ, იმაზე საკადრისი პასუხი გასცევს. ამბობენ, რომ ეს ლექსები ლეპანიძეს "ხევიდან" დაკვეთით აქვს დაწერილი.

მაგრამ თუ ხარ პოეტი, მეცნევი, პოლიტიკოსი და ა.შ., უნდა გესმოდეს, რომ ღვარძლიანი, აუცი სიტყვებით ვერას არგებ დედა-სამშობლოს!

ასე რომ, ვიყოთ ერთგულნი, ჩვენი სახელოვანი წინაპრების! იშრი პაპაპა, დევნილი აფხაზეთიდან

"ილორის" ბოლოტქმა - აღნიშნული საპირწონედ გვინდა მოვიყვანოთ საქართველოსა და ქართველობის დიდი გულშემატყვიერისა და ჩვენი სულიერების უტყუარი საყრდენის, სულმნათი შემოქმედის ოტია იოსელიანის ერთი შესანიშნავი დეკლარაცია, რომელიც მოდგაწოდ ჩვენმა მეგობარმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ბატონმა ალექსო შინბელიამ.

"პატივცემულო მკითხველო! ბარათი, რომელსაც საგანგებოდ გთავაზობთ, ბალადის დაბეჭდვისას მისთვის წაგამდგარებინა სულგანათლულმა ოტია იოსელიანმა და 2001 წლის ივლისში გამოქვეყნდა ჩემს სააგტორო გაზეთში „სარკმელი საქართველოსი“.

აქვე მოგახსენებთ, რომ სადღესოდ მრავალმხრივ საყურადღებო ამ წერილთან ერთად, ბატონი ოტია იოსელიანის მსგავსად, საჭიროდ მივიჩნეე ჩემი წარმომავლობით იმის დადასტურება, რომ ღვთაებრივი გალაკტიონისა არ იყოს: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“.

სწორედ ეს მაძლევს მორალურ უფლებას, რომ ჩემი ყრმობისდროინდელი მეგობრის, ბატონ როლანდ ჯალაღანიას რედაქტორობით გამოშვებული გაზეთი „ილორის“ საშუალებით, ბატონ ოტია იოსელიანის ბალადს გზა დაველოცო იმ კუთხისაკენ, რომელიც ცოტნე დადიანის მშობელია. ეს მით უფრო უპრიანია, რომ გაზეთისათვის სახელის მიმრქმელი "ილორი" ჩემი მამა-პაპების წმიდათა-წმიდა საგვარეულო სალოცავია. სრულად ამიტომაც წარმოვადგენ ჩემს ვინაობას: ალექსანდრე შალვას ძე, შალვა მსტატიშ ძე, მსტატიშ უზრაბის ძე, უზრაბ ივანის ძე შინბელია".

ბალადა ცოტნე დადიანისა

საით მიხვალ, საით ილტვი, ცოტნე?! წინ რას ხედავ, მწუხრის გზას რად გაჰყურებ? გატაფული ბელაური მიგიშვია, გინდა სცნობდე, საით მიათქარათქურებ?! კმარა სისხლი, მოაბრუნე, ხევი ყორნით გახრულ ძვლებით აივსება. ცოტნე, საით ერეკები ფეხმარდ პუნეს, ცოტნე, რა გეანისება? იქ რა გელის, იქაური შლეგმაც იცის, უმცარამა, არას მცოდნემ, ბედაური შეაჩერე, შეაყენე ბედაური, თავგანწირვა ამოა, ცოტნე! რომელ ჯალათს დააჯერებ, ჭკუამქისეს, ხარკს უკრეფდი მონდოლს ჩუმად, გაუმხელლად,

ოქრო-ვერცხლით გაიცლიდი ტყავის ქისას და ქალწულებს უგროვებდი მხეველად.

ჭკუით საესემ კარგად იცი, მტერი ბევრის მნახველი და გაქნილი გყავს... ოტნეული არ ივანებ, არსად იცდი,-

თავი შენი ვისთან მიგყავს? ვის უტოვებ ამ მთას, ამ ბარს, ვენახს, ტყეს და ტყესაშვიან ველებს?

რაში საით მიგიშვია, ოფლი რომ ბანს, საით მიაგელებე? დაიოკე, მოაბრუნე, ცოტნე, დაუბრუნე შენს დარბეულ, წვალდაქცეულ კერას!

ვერ წახვალ, რად არ ჰმონებ წუთისოფლის ვაგლას ბედი-სწერას?

მწუხრი ფარავს შენს სამშობლოს, არსად ბაღლი... ბაღლს ვინ ჩივის, ჩიტიც არსად მღვრის.

არ გაშინებს, შვილები რომ დაგიოტოლოს უღმობელმა მტრობამ ბედი-სწერის?

ვინ მოგისმენს, რომ განდგომად არ იღვწოდით

და კოხტისთავს ხარკს უჩენდით მტარვალთ, თანაც ამას უმაღლესი და წაგასწროთ დამე ბნელში მავალი.

ცოტნე, უმაღ დაუბრუნდი ოდოშ,

ეს გზა მიდის მოუსაველეთს - ანისს, შირაკავანს.

იქ არავინ შეგიგროდომებს, არ მოგიხდის ბოდიშს და ზარბაყად დგაკლავს! რა? არ იცი?

იცი ეს და... ვერ გააკავებს დეღება, ქარი, ნისლი...

იცი, შენიც დაიღვრება შეთქმულებთან ერთგულებით გაჟღენითი სისხლი...

* * * და იხილეს... იძრა მიწა... ვინ ელოდა დასაკლავად შენი ფეხით მისვლას?! ბუღეში არ დაეცია, უპაპები დაეფხინა წვერილ-წვერილ თვალებს მტრისას.

* * * „დააბნია სამოსელი თვისი“... ბრობ აზვირთდა, ზაფრამ აიტანა...

განიბარცვა, მხარგაკრულმა თაფლი ისვა მტრისო...

მიწვა ქართველთა... * * *

და აყვდა ქარმადანი: - ნონებო, თუ გინახავთ ამოდუნა რწმენა? ამნაირი ზემავალი, მთამადალი?

ამ ღმერთკაცის სიცრუისაც მჯერა! გაუსხენით ხელი, მხარი, გაუშვით და

თავის ქვეყნის გზასა სწიეთ. ჩვენთან დარჩეს, რომ შეგვიდოს ნამარცვი და ნახარბი და რაც ცოდვა დაეაწიეთ!

* * * წმიდა ცოტნე! რა პქმენ, ცოტნე, რა ღვთის მადლი განაჩინე, მტერ-მოყვარეს რა სიბრძნე და რა მირონი წასცხე?! შენ ხალხს რწმენა, ჭირთათმენა გაუჩინე, მტერი განაკაცენე!!!

ფარნაზა ფარაონი

სიტყვის ფორმა "ფარაონი" ებრაულად მიიწვევა, ეგვიპტურად ფორმებად კი ივარაუდება "ფრ-ე"-ს, "ფერ-აა"-ს, "ფერ-ოპ"-ს, "ფარ-ოპ"-ს. სპარსულ პანთეონში "ფარნა" მზის ღმერთია და ამასთანავე ნიშნავს წმინდა ცეცხლს, ნათებას და მზე-მეფის ძალაუფლებას.

"ფარ"-ძირი სამეფო სახელებში ხშირად გვხვდება, მაგალითად სკეითო-სარმატულში არის სამეფო სახელები: სოვლიანურში: ყრნ= აგ ფარნ, ანეფარნ, ჭ ა ეფარნ, პართიულში: ტარპრ= იპრაფარნ, რნბგ= არნბაგ, რზპრნ= ურზფარნ, ხორაზმულში: ყწრ პრნ, ასურულ ლურსმულ წარწერებში გვხვდება: წარპარნ, შიტირ-პარნა= ი რაფარნაპ, იპარნა.

ფრანკების მითიურ მეფეს ერქვა "ფარამონდი". ფრიგიის და პონტოს (ანუ ზღვის) სამეფოს მეფებს ერქვათ "ფარნაბაზი". "ფარ"-ძირიდანაა ქართული სამეფო სახელი: "ფარნავაზი" და "ფარნავაზიანები" და აგრეთვე სხვა გეორგიანული სამეფო სახელებიც: "ფარსმანი", "ფარნაკი", "ქსეფარნევი", "ფარნაჯოში", "ფარსადანი" და "ფარტაზი".

დაბოლოება "აზი" დიდის-აღმატებულის და წარჩინებულის აღმნიშვნელია, რომელიც შემორჩენილია ქართულ სიტყვა "ბუმბაზში". ამავე დაბოლოებისაა მეფის სახელები "გუბაზი", "აზო" და უმაღლესი გეორგიანული დეოთაბის სახელი "არმაზი", რომლის მეორე სახელია "ფარნავაზი". ამასვე უკავშირდება წოდება "აზნაური", "ვაზირი", "აზაზი", რუსული "კიზაზი", სკანდინავიურადაც "ას"-აზ" დიდგვაროვანი ნიშნავს - თუმცა ეს არ უნდა ავკვიროს თათრული ტომების თვისახელებს "ას"-აზში. გეორგიანული "აზ"-ძირისაა ქართული სახელები: "ჯამაზი", "თამაზი", "მადხაზი", "რევაზი", "რამაზი", "აზმათფარა" აგრეთვე გეორგიანული ეთნონიმები: "ლაზი", "ავხაზი"-აზაზი"-აზაზი" და "პელაზი" - ამიტომ აიტანა ამ ეთნონიმებმა "ხან"-ფუძიდან "აზ"-ფუძეზე დასვლა. შესაძლოა ამასვე უკავშირდებოდეს ტოპონიმები "აზია" და "კაკაზია"(კავკასია, რომელსაც ასევე უკავშირებენ კასპისპირეთში მცხოვრებ ხალხს "კასპარებს").

აგრეთვე ქართული სიტყვები: "აზრი", "აზმანი", "დარბაზი", "ლაზიზი", "ნაზი", "ლაზათი" და ა.შ. მერყულად "აზათი" ნიშნავს თავისუფალ და კეთილშობილ ადამიანს.

"აზ" ბოლოსართისებურია მეგრული ბოლოსართი "ეზი" და მედიტერანული "ოზი" - მაგალითად "ანგლოზი", "მაფიოზი" და ა.შ. "აზ"-ძირს უკავშირდება აგრეთვე ქართული ძალის ჯიშის სახელში "ნავაზი", გავრთინილი შევარდენის სახელი "ზაზიერი" და ვეფხვისებური ცხოველის სახელი "ავაზი".

საყურადღებოა "ავაზას" სახელი ბერძნულ-ლათინურად: "ლეონ(ნ)პარდი-პარდუსი", "გეპარდი", "პანტერა"-პან(რ)ტერა). აღსანიშნავია რომ ძველი დროის მეფეები და დეოთაბები ხშირად ავაზის ტყავით არიან მოხილნი. წარმართულ დეოთაბათა და დიდებულთა ვარსკვლავებიდან სამოსელს ქვია "ფალა"-პალა". "ფალ"-ძირი "ფარ"-ძირის სახეცვლილი ფორმაა, აქედან კი სიტყვები: "ფალავანი"(ჩემპიონი), "დიოფალი" (დედოფალი), "მამფალი"(მეფე-მამა), "სოფელი", "მსოფლიო", "უფალი"(ქრისტე) - "უ" თავსართი აქ "უფროს"-ს უმეტეს" ნიშნავს, როგორც ხუცესი და უხუცესი; "უფალოსი" ერქვა "ფარნავაზის" მამას; მეგრული სიტყვა "ფალი" ნიშნავს გაფურჩქნას-აყვავებას-აღმოსვლას, "ფარანი" მეგრულად ნიშნავს დროს, "ფარდი" არის ზღვარი-ხომა - აქედან სიტყვა "ფარვალი" და "შეფარდება", "ფართი", "ფარსაკი"-ფარსაკი ანუ ჩინებული-ბრწყინვალე, "ფარვალი" (თვლების ბრელი), "ფარა" (ფული მეგრულად და ცხვრის "ფარა"), "ფარეხი", "ფარი", "ფარანი" (ინდოევროპული "ფაკოს"-ფაკელ"-ფაკი" - ალექსანდრიის შუქურას ერქვა "ფაროსი"), "ლამპარი", სვანურად "ლიმპარი" აგრეთვე ნიშნავს ჩირაღდანს - სვანეთში დღემდე შემორჩენილია წარმართული დღესასწაული "ლიმპარობა", როცა ღამით სვანები ჩირაღდნებით ხელში ადიან მაღალ მთაზე და გარკვეულ რიტუალებს ასრულებენ. ოლიმპიური ჩირაღდანი ამ "ლიმპარიდან" იღებს სათავეს.

თავსართი "ო" მეგრულად ნიშნავს "სა"-ს - "სარადაცეს", ამ შემთხვევაში "სალიმპარეს". ნ.კ. შირინგელის აზრითაც ოლიმპიური ასპარეზობა პელოპონესში კოლხეთიდან არის შესული. მე კი ვიტყვი რომ ეს კოლხური ტრადიცია ადვილზე დახვედით შემოსულ ბერძნებს. "ფარნ"-დეოთაბას შესაძლოა უკავშირდებოდეს ცეცხლო-

ვანი ფრინველი "ფასკუნჯი" - ინგუშურად "ფარა ხას-ილიგი" - ბერძნულად "ფენიქსი", რომელიც იწყება და შედეგ ფერფლიდან აღსდგება. ასევე "ფარშავანი". ძველქართულად სამეფო სახასხლეს ერქვა "პალატი". პლინიუს უფროსს იბერიის დედაქალაქად მოხსენებული აქვს "ფარმაზი", იგივე "გერმასტუსი"(გერმასტუსი), რომელიც მდებარეობს მდინარე "ნეორისის"(იორის) პირას - აქ ლაპარაკია არა არმაზზე, არამედ უჯარმაზე, რომელიც მეფე აღსართანის დრომდე კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია აგრეთვე რომ პლინიუსი დავითგარეჯის უდაბნოს ეპახის კოლხეთის უდაბნოს, რომელიც "პარიადრის" მთებამდე მდებარეობს - ეს ადგილებს მოსახრებას, რომ კახეთ-კუხეთის ამოსავალი ფორმაა კოლხეთი - "პარიადრის" მთებში კი უნდა ვიგულისხმოდით მთების ჯაჭვი, რომელიც იწყება დღევანდელი ყარაბაგიდან სევანის ტბის გასწვრივ ვიდრე მესხეთის მთებამდე. ბერძნულ წყაროებში "პარიადრის" მთები მოხსენიებულია "გოგარენის" სამხრეთ მიჯნად, "გოგარენი" კი ღორებს მხარეა, რომელიც ისტორიული საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომ უცვლიან ადგილმდებარეობას "პარიადრის" მთებს არმენიული "მეციერენი", "გოგარენს" კი ქვემო ქართლად და ჯავახეთად ნათლავენ.

სტრაბონი წერს რომ "პარიადრის" მთები იბერიას, აღბანეთსა და არმენიის შორისააო. ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული "ფარისოსი" იგივე "პარიადრია", რომელიც გამოიარა სასომხეთში ლაშქრობიდან გამობრუნებულმა ახოკის და არმაზელის ჯარმა. "ფარ"-ძირითაა ნაწარმოები სხვა გეორგიანული ტოპონიმებიც: "ფარანა", "საფარა", "ფარცხისი", "იფარი" (სვანეთის), "ფარნაკია" (ლაჩეთის), "ფალიასი" (გალეების მითიურ ქალაქი), "ფალია" (ეგვიპტის ერთერთი სახელია), "პალესტინა", "პალიასტომი" ("პალესტინა" (იტალიაში), "პარხალი", "პარისი" - საფარსავთის დედაქალაქი, რომელიც დაარსეს იტალიიდან გადასულმა პელაზგური მოდგმის "ფალისებმა"(პარისებმა), "მონტ პარნასი" (მთა პარიზში), "პარნასი" (მთა პელაზგების საბერძნეთში), "პართია", "სპერი", "სიპარი", "სპარსეთი", "სპარტა" ა.შ.

ბაპუზ მორბოშია

რეაბილიტაცია თუ გარბაროსობა?!

რას ერჩიან ქალაქ ზუგდიდის დადიანების უნიკალურ პარკს?

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, იდეოლოგიურად მოტივირებულმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ზუგდიდში ბევრი თავისუფალი ტერიტორია იყო, მასშტაბური საფეხურით სტადიონისა და საცხეთოსნო იმპროვიზირებული მშენებლობა მოინდომა, მაინცდამაინც უნიკალური, სრულიად საქართველოს სიამაყის, დადიანების პარკის მნიშვნელოვნად განადგურების ხარჯზე. პარკი ფაქტობრივად განახევრდა. იყო წინააღმდეგობის გაწევის სერიოზული მცდელობები, მაგრამ უშედეგოდ. იმდროინდელი ხელისუფლება დიად აღიარებდა დიქტატურის აუცილებლობას და მის მიმართ რაიმე წინააღმდეგობის გაწევა უაზრობას წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ პარკი, რომელიც განაშენიანებული იყო დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტთან ჩამოტანილი უნიკალური ჯიშის ხეებით, მკვეთრად დაზიანდა, მაგრამ იმედი, რომ ის როდისმე აღსდგებოდა, მაინც ყოველთვის იყო.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებში, ემზადებოდნენ რა საბჭოთა იმპერიის მაღალჩინოსნის შესახებ დრად, დადიანების პარკის მოედნის ცენტრში აიგო შადრევანი, რომლის მშენებლობის დროსაც განადგურდა დადიანების დროინდელი კერამიკული სადრენაჟე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ნიკოსეული სასახლის

დაცვას წყლის ნაკადებისაგან, ხოლო მუხუშუმის თანამშრომელი ქალბატონი, რომელიც ეს ვანდალიზმი გააპროტესტა, სამსახურიდან განათავისუფლეს. ნიკოსეული სასახლე დღესაც დაუცველია წყლის მოძღვებისაგან, რაც მის არსებობას სერიოზულ, შესაძლებელია, უიმედო საფრთხესაც კი უქმნის.

გასული საუკუნის დასასრულს, საქართველოში "მოქალაქეთა კავშირის" თვითნებობის დროს, უფრო სარჩევნო პიარისათვის, უხეშად იქნა "აღდგენილი" დადიანების პარკის მთავარი მოედნის დასავლეთი მხარის ქვის დობე, რომელიც არსებული სახით არ შეესაბამება დობის ისტორიულ, მეტად ლამაზ იერ-სახეს, მით უმეტეს, რომ მისი უმცირესი ნაწილი შენარჩუნებულია და, სრული აღდგენის დროს, აუცილებელი იყო მისი აღდგენა პირველადი სახით.

შემდგომში, "ნაციონალური მოძრაობის" ასევე თვითნებობის დროს, კეთილმოწყობის საბაბით, მოხდა დადიანების პარკის მთავარი მოედნის რეკონსტრუქცია, რომლის განხორციელების დროს დაშვებულ იქნა მიუტკეველები დარღვევები. კერძოდ, მთლიანად მოედანს, უხეშად, ზედ დაემატა მიწაყრული, რომელმაც საგრძნობლად აამაღლა მოედნის ზედაპირი, რომლის შედეგად, დადიანების დედოფლისა და ნიკოსეული სასახლეები, არსებითად, საგრძნობლად ჩაძირა მიწაში. ამ მიწაყრულის ბალანსს წარმოადგენდა, რო-

გორც უხეში კვალი-დობი, ასევე, ნარგავ-ბოსათვის სრულად გამოუსადეგარი თიხა, რომელიც ამოღებული იქნა მიწიდან დადიანების პარკში, რა თქმა უნდა, სრულიად უკანონოდ, ეგრეთ წოდებული "საპრეზიდენტო რეზიდენციის" მშენებლობის დროს. უმძიმესი საშიშროება შეექმნა პარკს "ნაციონალური" ხელისუფლების მოღვაწეების მიერ პერიოდში. ხელისუფლების უმაღლესი პირები ამჟღავნებდნენ პირდაპირ დაინტერესებას, რომ დადიანების ისტორიული პარკის ტერიტორია ხელეყოთ და მიესაკუთრებინათ. ამაზრუნდა, რომ ეს მოტივირებული იყო პირადი, კომერციული ინტერესებით.

პარკის ამჟამინდელი მდგომარეობა არის კატასტროფული და ზუგდიდის მკვიდრთათვის უადრესად ტრაგიკული. მთლიანად დაინგრა სტადიონი და, მიუხედავად იმისა, რომ გაჩნდა გარკვეული წინაპირობა და იმედი პარკის განაშენიანების სრულყოფილად აღდგენისა, ისტორიული პარკის ტერიტორიაზე ხორციელდება მეტად ცინიკური, ბარბაროსული ძალადობა. მთელი ყოფილი სტადიონის ტერიტორია, ვითომ რეკონსტრუქციის საბაბით, ძირითადად, დაფარულია ქვის ფილებით, რაც, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად არ შეესაბამება ამ ტერიტორიის რაიმე დირსეულ ფუნქციონირებას, რაც ყოველად გაუგებარია. ამ ტერიტორიაზე შენდება დიდი მოცულობის ყოველდღიური უსახლო, ეგრეთ წოდებული "ოუსტიციის სახლი", რომელიც თავისი ამბიციური

ზომით აგრესიულად ფარავს პარკის ნანატრ, მიმზიდველ იერს. აგრეთვე, ამ ტერიტორიაზე უკვე გამზადებული უზარმაზარი პერიმეტრის ზემოქვეყლი გრანდიოზული კერძო სასტუმროსათვის.

მიანიათ რა, ეს ყველაფერი დანაშაულებრივ ქმედებად, ზუგდიდის მკვიდრთათვის განაღდა ძალიან დიდი კიოხვა: რას ერჩიან სრულიად საქართველოს სიამაყეს, დადიანების ისტორიული პარკის ტერიტორიას? არგუმენტი რომ აღნიშნული დანაშაულებრივი სამშენებლო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და განსჯას არ ექვემდებარება, მკრეხელობაა, რამეთუ ყოველი, ვინც აცნობიერებს, რომ დადიანების უნიკალური პარკი დღემდე მშობლის კვართის სავანაა, ანაზ ვერ შეეგუება.

დღევანდელ დღეს, როცა საქართველოს მართავს კომპეტენტური, ეროვნულად მოტივირებული სააღმსრულებლო ხელისუფლება, ჩვენი აზრით, სასწრაფოდ უნდა შეწყდეს დადიანების ისტორიული პარკის ტერიტორიაზე ყოველგვარი სამშენებლო სამუშაოები და კომპეტენტური სათავაგობო კომისიის მიერ სასწრაფოდ შესწავლილი იქნას ამ განადგობის ყველა დანაშაულებრივი გარემოება. სრულიად საქართველოს სიამაყე, ქალაქ ზუგდიდის დადიანების უნიკალური ისტორიული პარკი უნდა აღსდგეს მთელი თავისი პირველყოფილი სისრულით!

ვალერი ძოზალია, მხატვარი, ზუგდიდი

"ანუელა" სცენაზე ეპროკავშირის დროშაში გახვეული იღვა და საქართველოს ეპროკულ ორიენტაციას განასახიერებდა...



19 აპრილს იყო გამოცდა იმისა, შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველო ხერხემალში გატყდეს. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის ყოფილი შენობის წინ გამართულ "ნაციონალური მოძრაობის" საპროტესტო აქციაზე განაცხადა. ევლადიმერ პუტინმა ოთხნახევარი წლის წინ ვერ აიღო თბილისი... იმიტომ, რომ ჩვენ დავეუქით აქ იმიტომ, რომ ჩვენ ჩაკვიდეთ ერთ-

მანეთს ხელი. იმიტომ, რომ ჩვენი მეგობრები ჩამოვიდნენ აქ ჩვენს დასახმარებლად. აქ პუტინი კი არ ჩამოვიდა, ჩამოვიდა პრეზიდენტი კაჩინსკი, პრეზიდენტი იუშენკო, პრეზიდენტი სარკოზი, ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი. და დღეს უდიროსობაა, როდესაც იმ ადამიანს, რომელმაც მოგვცა საპროტესტის სისტემა, რომლითაც ჩვენ ჩამოვყარეთ პირველად ისტორიაში 12 რუსული თვითმფრინავი, ჩვენ ვიყავით პირველი ქვეყანა, რომელიც რუსეთმა მთლიანად ვერ დაიპყრო სრულმასშტაბიანი ინტერვენციის შედეგად. ამ ქვეყნის პრეზიდენტს, იუშენკოს, საქართველოს მთავრობამ გუშინ გაუგზავნა საპნისა და შამპუნის ანგარიში, რომელიც მას ემართა თურქი ქართველი ხალხის. ასეთი საქართველო გვიჩნდა, სადაც მეგობრებს ასე ხვდებიან? ჩვენ ონიშჩენკოს ბოდიშებს უნდა ვუხვდიდეთ, ვეროპას დედას უნდა ვგვინებდეთ და იუშენკოს აბანოს ანგარიშს უნდა ვუგზავნიდეთ?!

რომ არ გვიინდა, ეს ძალიან კარვად გამოჩნდა დღეს, - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. ქვეყნის მეთაურის განცხადებით, "ჩვენი მტერი გვეუბნება, თქვენი არჩევანი არის პლიან მარტვი - უდიროსობა და დანარჩენი ქვეყნის ოკუპაციას შორის. თუ არ აიღებთ ხელს ღირსებაზე, ჩვენ მოვალე და დანარჩენი ქვეყანასაც დაგვიბრუნებთ. თუ ჩვენ ავირჩევთ უდიროსობას, ჩვენ მივიღებთ სრულ ოკუპაციას". პრეზიდენტმა "დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის, ნინო ბურჯანაძის გააქტიურების სურვილის შესახებ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაც გააკრიტიკა და ბურჯანაძეს "კრემლის მეგობარი", საქართველოს მთავრობას კი "ნახევრად მეგობარი" უწოდა. "ახალ მთავრობას სურს, თხოვნიც იყოს ნინო ბურჯანაძე - ვინც პუტინის მეგობარია, რათა ხალხმა არჩევანი გააკეთოს მხოლოდ ცუდსა და უარესს შორის, აიჩიოს ან კრემლის მეგობარი ბურჯანაძე, ან კრემლის ნახევრად მეგობარი მთავრობა. მინდა ყველა ვუთხრო, ქართველი ხალხი არჩევანს გააკეთებს არა მოღალატეებსა და ნახევრად მოღალატეებს შორის, არამედ აპროტესტებსა და კიდევ უფრო პატივტყობის შორის", - განაცხადა სააკაშვილმა. P.S. ასე უსახლოდ, აქციაზე 7 ათასობით მონაწილის მეგრებით დამთავრდა თავისი დღეები ექს-მმართველმა პარტია "ნაციონალური მოძრაობა", რომელიც 9 წელი ატეორობდა მთელ ქვეყანას. მართალია, მისი ლიდერები ტრიბუნდან ხმას იხდენ და "ახალი ნაციონალური მოძრაობის" დაბადების შესახებ აცხადებდნენ, მაგრამ დღეს საქართველოში ყველამ დაინახა, რომ "ბავშვი" - მკვდრად შობილია...

რუსეთის მისახიროთ, სადღეგრძელოებიც იუშენკოს და კაჩინსკის პატივცემვად, მოცეკვავე სტუდენტო და მოსწავლე ახალგაზრდობაც, რომელიც მომიტინგეთა უმრავლესობას შეადგენდა. ხოლო მიტინგის შემდეგ, რომელიც არასრულ 2 საათს გაგრძელდა, საქართველოში მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, რაც დასამახსოვრებელი იყო (სცენაზე უშუალოდ სააკაშვილის და მერაბიშვილს გვერდით მდგომ ცნობილ "ქათამზე" მეტსახელად "ანუელა" (კიორე მამაზიანი), რომელიც ნაციონალურმა ახალგაზრდული მოძრაობა "პატრიოტების" ხელმძღვანელმა (!) დანიშნულ და კარგი გრანტი მისცეს... "ანუელა" სცენაზე ეპროკავშირის დროშაში მჭიდროდ გახვეული იღვა და საქართველოს ეპროკულ ორიენტაციას განასახიერებდა...

სამცხოვრობი

ქვეყნის ინტერვიუ პატრიარქთან: "მე დიდად დაგალებული ვარ მამა შიოსთან"



რას იხსენებს პატრიარქი თავის მოძღვარზე "მეუფეო, აღსარებისთვის მოემზადე!" "მამა შიომ პატრიარქობა მიწინასწარმეტყველა"

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს თავის სულიერ მოძღვარზე, არქიმანდრიტ შიოს (ძიძავა) ესაუბრა სენაკისა და ჩხორიწვეუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი). ინტერვიუ ჩაწერილია 2012 წლის 27 დეკემბერს.

– დაგვლოცეთ, უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო! უპირველესად, მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ გამონახეთ დრო და დაგვთანხმდით ამ საუბარზე. რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება ინტერესი თქვენი სულიერი მოძღვრის, არქიმანდრიტი შიოს პიროვნებისადმი და ეს ინტერესი განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როდესაც ჩვენ აღვნიშნავთ თქვენს საიუბილეო წელიწადს – პატრიარქობიდან 35-ე და დაბადებიდან მე-80 წლის დღისშესანიშნავ თარიღებს. მრევლს სურვილი აქვს, მეტი იცოდნენ თქვენი მოძღვრისა და თქვენთან მისი ურთიერთობის შესახებ. როგორ გაიცანით მამა შიო, როცა ბათუმ-შემოქმედის მღვდელმთავარი ბრძანდებოდით?

– მამა შიო ძიძავა არანეულებრივი პიროვნება იყო. ის არ ჰგავდა სხვა სასულიერო პირებს; იყო ძალიან უბრალო პიროვნება და ამასთან ძალიან განათლებულიც.

სემინარია ჰქონდა დამთავრებული რეფოლუციამდე და როგორც ვიცი, რომელიმეც გამომცემლობაში მოღვაწეობდა, ჟურნალისტი იყო.

სენაკში პატარა სახლი ჰქონდა – ერთი ოთახი და მიწის ნაკვეთი. მამა შიოს შვილიც ჰყავდა, მაგრამ მასთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა, რადგან მიანდა, რომ ის ურწმუნო ადამიანი იყო. მასთან არავითარი მიმოსვლა და მიმოწერა არ ჰქონდა.

მამა შიო ახლოს გავიცანი, როდესაც უწმინდესი და უნეტარესი ეფრემის ლოცვა-კურთხევით ბათუმში ჩამოვიდა. ეპარქიაში მოძღვრების ნაკლებობას განვიცდიდით და მამა შიო მარხებში გვეხმარებოდა. ძალიან მომწონდა მისი უბრალოება. იმდენად თავმდაბალი იყო, ზოგიერთი დასცინოდა კიდევ.

– ხომ არ საღლოსობდა?

– დიახ, რა თქმა უნდა, საღლოსობდა და ამას თვითონაც ამბობდა: "მე საღოსი ვარო." იმ პერიოდში იგი მამა კონსტანტინეს (ქვარაია) სულიერი შვილი იყო. არქიმანდრიტი შიოც და არქიმანდრიტი კონსტანტინეც თეკლათის დედათა მონასტერში მოღვაწეობდნენ და ამავე მონასტერში განისვენებენ.

ვთხოვე, ჩემი მოძღვარი გამხდარიყო და იმ დროიდან აღსარებებს მას ვაბარებდი.

– რამდენ ხანს ცხოვრობდა მამა შიო ბათუმში? თუ სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე?

– მარხებში ჩამოდიოდა და რჩებოდა, მაგალითად, 1 თვით და მერე კვლავ სენაკში ბრუნდებოდა. ასე ამბობდა: "სენაკში სახლი მაქვს, რომლის კარი არასოდეს იკეტება და თუ ვინმე მივა, თავისუფლად შეუძლია შევიდეს და მოისვენოს". მისი სახლი სულ ერთი პატარა ოთახისგან შედგებოდა, სადაც ორი რკინის საწოლი, მაგიდა და რამდენიმე სკამი ედგა, სხვა არაფერი – არც თეთრეული ჰქონდა და არც სხვა კომფორტი. ასეთი ცხოვრების წესი წარმოაჩენდა მის სიმდაბლეს და უბრალოებას. ძალიან ფაქიზი პიროვნება იყო. მასხენდებდა, როგორ იბარებდა ჩემგან აღსარებას.

როცა შეამჩნევდა, რომ ძალიან ვწუხდი

ჩემს ცოდვებზე, აუცილებლად გამამხნევებდა და მეტყვოდა: "მეუფეო, ღმერთმა შეგინდოს, მეც ჩამიდგინა ასეთი ცოდვა".

დარწმუნებული ვარ, მას ასეთი რამ არასდროს შემთხვევია, მაგრამ ჩემთვის მდგომარეობა რომ შეემსუბუქებინა, თვითონაც იბრალვებდა ჩემს ცოდვებს.

მოგვიანებით, როდესაც სოხუმში გადამიყვანეს, მამა შიო იქაც ჩამოდიოდა. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში სამღვდელოება არ გვაკლდა, ამიტომ მხოლოდ აღსარების მისაღებად გვეწვეოდა ხოლმე.

მასხენდებდა, ერთხელ, მისი მორიგი ჩამოსვლის დროს, შევნიშნე, რომ ჯვარი შავ ბაფთაზე ჰქონდა შებმული და ვკითხე: "მამა შიო, ჯაჭვი რა უყავი?" მიაბო, რომ მისი ჯაჭვი მეზობლის ქალს მოეწონა და ნაწილი მოაწვევია; იგი ისე დამოკლდა, აღარ შეიძლება ტარება, ამიტომ მთლიანად ვაჩუქე მეზობელსო. ეს ამბავი რომ შევიტყვე, მამა შიოს ჯაჭვიც ვაჩუქე და ახალი ჯვარიც...

განსაკუთრებით საოცარი იყო მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი. წესად მაქვს, რომ დიდ ხუთშაბათს განსაკუთრებით ვემზადები ზიარებისთვის და ოთხშაბათს აუცილებლად ვაბარებ აღსარებას. ეს კარგად იცოდა მამა შიომ. მასხოვს, იგი უკვე ცუდად იყო, ამიტომ აღარ ველოდი მის ჩამოსვლას. რეზიდენციის ეზოში ვიჯექი, უეცრად მოვიხედე და ვხედავ, ორ ადამიანს მოჰყავს უძღური მამა შიო. გაეფიქრე, ნეტავ რა საქმე აქვს, რომ ასეთი ავადმყოფი შეწუხდა-მეთქი. ის კი მოვიდა და მითხრა: "მეუფეო, აღსარებისთვის მოემზადე!" წარმოიდგინეთ, ასეთი მძიმე ავადმყოფი ჩემთან აღსარების მისაღებად ჩამოვიდა! აღსარება ვუთხარი. ძალიან მძიმედ იყო, მორაობა უჭირდა, თითქმის ვერ დადიოდა. ვიფიქრე, ალბათ დარჩება-მეთქი, მაგრამ არ დარჩა. იმავე დღეს უკან წაიყვანეს... ამ ამბის შემდეგ ერთი კვირის თავზე სოხუმში დები შუშანიები და მათთან ერთად სხვა მორწმუნეები ჩამოვიდნენ. შუშანიებმა მითხრეს: "მამა შიო ძალიან ცუდადაა და სულ იბახის: "მეუფეო, მეუფეო" ალბათ, თქვენ გისმობთ და არავის იკარებს". სასწრაფოდ მის მოსახსენებლად გავემგზავრე, თან დეკანოზი მაქსიმე კონცვეინი წავიყვანე; ყოველი შემთხვევისთვის, თან წავიდე უწმინდა ზიარება. მამა შიოსთან ჩავედი, მძიმედ იყო. მუცელი აწუხებდა და ტკივილისგან ყვროდა. მისი შვილი იყო ჩამოსული, რომ მამის შემკვიდრებოდა მიეღო. მამა შიოს კი არაფერი ჰქონდა, იმ პატარა ბინის გარდა.

საჩქაროდ მოვუხმეთ მამა კონსტანტინეს, რომ ავადმყოფი ეზიარებინა. მამა კონსტანტინემ თავი შეაკავა მისი ზიარებისგან: წველი აქვს დალეული და არ შეიძლებაო. ვცადე, დამერწმუნებინა, რომ ყველა შემთხვევაში შეიძლება მძიმე ავადმყოფის ზიარება, მაგრამ ვერაფრით დაგვაჯერე.

ბოლოს შევედი მამა შიოსთან და ვკითხე: "მამაო, გინდა, მე თვითონ გაზიარებ?" უმაღლესი დამთანხმდა: "შო, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!" ეშინოდა, უზიარებლად არ გასულიყო ამ ქვეყნიდან. ლოცვებს ეუკითხავდი, თან ვშიშობდა: ვითუ ზიარება ვერ მოასწროს-მეთქი და სულ ოფლში ვიწურებოდი.

ღვთის წყალობით, მამა შიო ეზიარა. მე გვერდით სკამზე მივუჯექი, მამის მან პატრიარქობა მიწინასწარმეტყველა. გადმომხედა, ხელი შემახო მუხლზე და მომეძღვრეს: "ჩემო პატრიარქო!" "მე პატრიარქი არ ვარ, მიტროპოლიტი ვარ-მეთქი", – შევუსწორე. მან კი კვლავ გამიმორა: "პატრიარქო, პატრიარქო!"... მამა შიო იმ დამითვე გარდაიცვალა. რომ არ მეზიარებინა... თუმცა არ ვიცი, შეიძლება, ღმერთს არ გავყვანა უზიარებელი...

– მიგვანია, რომ მამა შიო XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოღვაწე იყო, აღმსარებელი და უთუოდ დიდი პიროვნება! გარდა ამისა, ასეთი დიდი სულიერი შვილი ჰყავდა თქვენი სახით. თავისი მოძღვრობით დიდი წვლილი შეიტანა მომავალი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღზრდაში! ეს განსაკუთრებით სამაგვია სენაკის და ჩხორიწვეუს ეპარქიის მკვიდრთათვის, საიდანაც იყო იგი წარმოშობით და სადაც მოღვაწეობდა. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია დადგეს საკითხი მისი კანონიზაციის შესახებ?

– მასხოვს, ჯერ კიდევ არქიმანდრიტი ვიყავი, ორი ჯერით დაჯილდოებული, როდესაც უწმინდესისა და უნეტარესი ეფრემის ლოცვა-კურთხევით წმინდა სინოდში შემიყვანეს სათათბირო ხმის უფლებით. ამიტომ ყველა საკითხზე შემძლო აზრი გამომეთქვა. მამა შიოსთვის კათოლიკოს-პატრიარქს, რომ მამა შიოსთვის არქიმანდრიტის წოდება მიენიჭებინათ. იმ დროს იგი იღუმენი იყო. პატრიარქი დაფიქრდა და მითხრა: თუ მამა შიოს არქიმანდრიტის წოდებას მივცემთ, მამა შიოს მოძღვარიც, მამა კონსტანტინეც უნდა დაჯილდოვდეს. მამა შიოს, ორივე დაჯილდოვებული-მეთქი, ვთხოვე; და ასეც მოხდა.

– გამოდის, რომ თქვენ ეპისკოპოსობამდეც იცნობდით მამა შიოს?

– კი, ვიცნობდი, ჩამოდიოდა ხოლმე ჩვენთან...

მასხოვს, ექიმებმა მირჩიეს მეჩვენებინა სანატორიუმში მემკურნალა. მამა შიოსთვის მიტროპოლიტი ვიყავი და მამა შიოსთან უკვე ახლო ურთიერთობა მქონდა. ერთი დღით ადრე გავემგზავრე, სენაკში მამა შიოსთან ჩავედი. იმ დღეს მასთან უნდა დავრჩენილიყავი. ეს ამბავი მეზობლებმა რომ შეიტყვეს, აღარ მოგვახსენეს. იცოდნენ, მამა შიოს არავითარი პირობები არ ჰქონდა, ამიტომ გვთხოვდნენ: ჩვენთან წამობრძანდით და მოისვენეთო, ყველა გვეპატიებოდა. მტკიცედ ვუთხარი: მამა შიოსთან უნდა დავრჩე-მეთქი. მამა შიოს მეზობლებმა მამა შიოს სახლის დალაგება დაიწყეს. ჩვენ ეზოში ვისხედით, მათ კი სულ მორეცხეს და დაწმინდეს იატაკი და კედლები. ბოლოს ლოგინი და თეთრეული მოვკვებინა.

მასხენდებდა კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა. იყო ერთი ბერი, წარმომავლობით თავადი – ისაია ჩიქოვანი. მამა შიომ იმ ბერთან ერთად მეჩვენებინა სანატორიუმში მომინახულა. ექიმებმა დაინახეს თუ არა, ატეხეს ყვირილი "ძიძა მოდის!" ძალიან უყვარდათ იგი; უნდოდათ, ჩვენთვის პატივი ეცათ და 3 ჭიქა რძე მოგვართო. პეტრე-პავლობის მარხვა იყო. მამა შიომ ლოცვა თქვა, მე ვაკურთხე და რძე დავლიეთ. ბერი რძეს არ შეეხებოდა და თვალბეზვით ხელი აიფარა – ვითომ ვერ ვხედავ, როგორ სვამო. მამა შიო მომიბრუნდა და მითხრა: არ გეწინოს მისგან, მეუფეო, ჯერ იმ სიმაღლეზე არ არის, რომ რძე დალიოსო...

მიმანია, რომ მამა შიოს წმინდანად შერაცხვა ჯერ ადრე. მაგრამ ვფიქრობ, მისი კანონიზაცია ადრე თუ გვიან მაინც მოხდება.

მასხოვს, როცა აღსარების შემდეგ შენდობის ლოცვას წამიკითხავდა, მომეხვეოდა და მეტყვოდა: "მეუფეო, ახლა შენ ანგელოზი ხარ, ცოდვები გეპატიო!" ძალიან მახარებდა ეს სიტყვები და მისი ასეთი მოწყალება.

..მე დიდად დაგალებული ვარ მამა შიოსგან... მამა შიო საოცრად მოწყალებული იყო ადამიანების მიმართ. მისი მოძღვარი, მამა კონსტანტინე, უფრო მკაცრი და მომთხოვნი იყო და ცოტა დისტანციურიც, ადვილად არ იკარებდა ადამიანებს. მამა შიო კი ღია, უშუალო ადამიანი იყო, ნებისმიერს შეეძლო მასთან მისვლა.

შემოწირულობას თუ მიიღებდა, მაშინვე მეზობლებს ჩამოურიგებდა ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ახლა განსაკუთრებით ლოცულობს ჩვენთვის და საქართველოსთვის!

– მინდა ასევე შეგვიტოხოთ სენაკში მოღვაწე დეზუმი, იღუმენია ფავსტოსა და სქემონაზონი აკეფსიმე შუშანიებზე. იქნებ ორიოდე სიტყვა მათზეც გვითხროთ?

– სულ ერთ-ორჯერ შევხვედრივარ დეზუმი შუშანიებს. ფავსტო იღუმენია იყო, აკეფსიმე – სქემონაზონი. აკეფსიმე ჩუმი იყო; ფავსტო – უფრო აქტიური; ნაკითხი, განვითარებული ადამიანი იყო. ბევრი რამ იცოდა და ახსოვდა, მაგრამ ცოტა ამაყიც იყო.

დეზუმი შუშანიები დიდი მოღვაწეები იყვნენ. მათ, ფაქტობრივად, გადაარჩინეს ღირსი ალექსისი (შუშანია) ბერის საყვანე.

– მინდა ასევე შეგვიტოხოთ სენაკში მოღვაწე დეზუმი, იღუმენია ფავსტოსა და სქემონაზონი აკეფსიმე შუშანიებზე. იქნებ ორიოდე სიტყვა მათზეც გვითხროთ?

– სულ ერთ-ორჯერ შევხვედრივარ დეზუმი შუშანიებს. ფავსტო იღუმენია იყო, აკეფსიმე – სქემონაზონი. აკეფსიმე ჩუმი იყო; ფავსტო – უფრო აქტიური; ნაკითხი, განვითარებული ადამიანი იყო. ბევრი რამ იცოდა და ახსოვდა, მაგრამ ცოტა ამაყიც იყო.

დეზუმი შუშანიები დიდი მოღვაწეები იყვნენ. მათ, ფაქტობრივად, გადაარჩინეს ღირსი ალექსისი (შუშანია) ბერის საყვანე.

პოეზიის კუთხე

დრო, დრო აღნიშნე!

სამი სათრეველა

თქმული თბილისში, რუსთაველზე, პარლამენტის შენობის წინ 2013 წლის 19 აპრილს ნაცების მიერ გამართულ აქციასთან დაკავშირებით

ბიშნ ნუ მივშვებო

ნებასა!

ვინც დაგვცა, წაგვაკრწინა, კუდის ქიციანით, ცანცარით, ზოგჯერ მთქმელია მწარისაც, გიჟი როა და რაც არი.

და ნუ მიეუშვებთ ნებას,

თორემ კვლავ შეგვყრის სნებას.

თან ყველა იმედს წანისლავს

თავში ქვით, თვალში – ნაცარით,

შემარცხვენელი მამისა,

დედის და მამინაცვალის!

შტრიხები მეორე

კორტრეპიტისათვის

მოკლულები ცოცხლებიდან,

რუსთაველზე როცა დეზუს

მომზირალი ცოცხებიდან

ორატორი ენაბლუი.

მესამეს ბასაბონაღ

თქმული

შეგახსენებთ ბაქრაძეს

ცოდვა-მადლად აქ რად ძეგლს,

ოცდაექვსში მამისა,

ვინც მოკლეს და გაისრისა,

რადგან კითხვებს ისევ ბადებს,

სისხლი, ცას რომ შეჰდალადებს!

უკვე საშიში

არაშერი!

ფიქრი, რომელიც დაბადა ჩემი

მეგობრისა და კოლეგის, ბატონ

როლანდ ჯალაღანის მიერ ნა-

თარგმნა სერგეი კრემლიოვის

წიგნმა „ბერია მეოცე საუკუნის

საუკეთესო მენეჯერი.“

„Однажды, лебедь, рак да щука.“

ეწვივნენ ერთად იმ ვიწრო

შუქას,

სადაც კრილოვის ორკესტრი

უკრავს

და ტვირთს ქაჩავდნენ ხან წინ,

ხან უკან,

რომ შეეცვალათ მსოფლიოს

რუკა...

თუმცა საშიში არაფერია,

არც სტალინი ჰყავთ და არც

ბერია!

ალექსანდრე შინბელია

ბახარიების გვარის დალოცვა
2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს ბახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალიან დაწერა (დახატვა), რისთვისაც "ლიბერთი ბანკში" გახსნილია ანგარიში. GE36LBO11199431911000 (პ.ა. ლიანა ბახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა ბახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახუტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ ბახარია.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-217

პროფესორები დ. ჩუბინაშვილი და მ. ჯანაშვილი, თანამედროვე პერიოდში, პროფესორი ვ. გოილაძე და ზოგიერთი სხვები, ამტკიცებენ, რომ „წმ. ნინო, ისევე როგორც წმ. გიორგი კაპადოკიელი ქართველია“. დ. ჩუბინაშვილი აიგივებდა რა კაპადოკიას ჭანეთთან, წერდა: „ესეც უნდა ვთქვათ, რომ წმ. გიორგი იყო კაპადოკიელი და ამის გამო მთელს საქართველოში ძალიან პატივცემული, ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთაწერი ნინო, აგრეთვე კაპადოკიელი და მცოდნე ქართულის ენისა, უამისოდ არ შეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთა.“ მ. ჯანაშვილი იხიარებდა დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ წმინდა ნინო: „ჩამომავლობით იყო ქართველი – ჭანი – მეგრელი“ (იხ. დ. ჩუბინაშვილი – ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეობა, ჟურ. „ივერია“, 1877, №14, გაგრძელება ორ მომდევნო ნომერში; მ. ჯანაშვილი – ისტორიული სურათები, გვ. 86. ყველა ეს მასალა მოტანილი გვაქვს ჯ. გამახარაძის წიგნიდან „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“, გვ. 58 და 96). ზოგადად კაპადოკიელთა და კონკრეტულად წმ. ნინოს ქართველობას ადასტურებს ვ. გოილაძე და სხვა მრავალი მეცნიერი.

პროფ. ბიჭიკო დიასამიძე ამბობს, რომ ეგრისში (კოლხეთში) ქრისტიანობის, ჯერ კიდევ I-II საუკუნეებში გავრცელება და შემდეგ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, უპირველესად განაორბეული იყო იმ სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით, რომელიც იმ დროს ლახიკა-ეგრისში იყო შექმნილი. და მიუთითებს, რომ ბოლო პერიოდამდე საკამათო იყო დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღი (დრო) და ადასტურებს: ლახიკის მეფემ ქრისტიანობა 323 წელს მიიღო, რომელიც ითვლება კოლხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების წლად, რითაც საბოლოოდ გააკეთა არჩევანი დასავლეთ ევროპული ცივილიზაციისაკენ. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ქრისტიანობას დასავლეთ საქართველოში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა I-II და III საუკუნის პირველ ნახევრიდან, რომელიც შემოიტანეს იერუსალიმში და მდ. ევფრატის მიდამოებში (მდინარის სათავეებთან და ქვემო წელში) მცხოვრებმა მეგრულ-კოლხებმა. მათ იქვეს ქრისტიანობის გავრცელება საბერძნეთში, ესპანეთის თანამედროვე იბერიაში, აღმოსავლეთ საქართველოში. ქრისტიანულმა რელიგიამ დიდი სამსახური გაუწია არსებულ წერილი პოლიტიკური ერთეულების – აფშილეთის აბაზგეთის, სანიგეთის, სვანეთის – ლახეთის კოლხეთის ირგვლივ გაერთიანებას. შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ამ პერიოდში ეგრისის სამეფოში სახელმწიფო საკანცელარიო ენა თავიდანვე იყო კოლხურ-ზანური ენა, ხოლო ღვთისმსახურების ენა V საუკუნიდან იყო ქართული ენა. (ბიჭიკო დიასამიძე, ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეებში), თბ., 2001, გვ. 53, 64).

ქართლის მოქცევის თარიღის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, ასახელებენ სხვადასხვა თარიღს: ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს 337 წელს, კ. კეკელიძე 355-356 წლებს. ნოდარ ლომოური აკრიტიკებს სხვადასხვა შეხედულებებს და ქართლის მოქცევის თარიღად თვლის 325-330 წლებს შორის პერიოდს. ამ მოსაზრებას

ეთანხმება პროფ. ვახტანგ გოილაძე და მიუთითებს 324 (325) წელს, როდესაც ქართლის ეპისკოპოსი ხდება იოანე ნ. ლომოურის აზრით ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ცხადდება ქართლში ამ რელიგიის ოფიციალურად გამოცხადების თანადროულად. (ნოდარ ლომოური კოლხეთის ისტორიისადმი მიძღვნილი აქვს შრომები: კოლხური სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, ნოქალაქე-არქეოპოლისი, ციხე-გოჯი და სხვა შრომები). ამას ეთანხმება ვ. გოილაძე, ბ. დიასამიძე; ასე რომ ქართული ისტორიკოსები ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად თვლიან 323 წელს. ვ. გოილაძე წერს, ქართლის სამეფო კარმა და მოსახლეობამ ქრისტიანობა 318 წელს აღიარა – ნიკეის კრების დაწყების წინ, ხოლო ეგრისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ნიკეის კრების წინა ხანებშია საძიებელი. (ე. ი. ამ კრებამდე დიდი ხანით ადრე). ასე რომ, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად დასუსტებული არ არის. რამაზ პატარიძის აზრით, 311 წელს მოიქცა ქართლში. როგორც ითქვამს, არ გამოირჩევა, რომ ეს 319 წელს მომხდარიყო. ზოგიერთი მეცნიერი ეგრისში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების თარიღად 323 წელს იმიტომ მიაჩნია, რომ ეგრისის (ლაზიკის) მეფემ ქრისტიანობა მაშინ მიიღო, მაგრამ ამ რელიგიის გავრცელებას არა თუ ხელს უშლიდა, არამედ ყოველნაირად უწყობდა ხელს მის გავრცელებას, არა მარტო ეგრისის სამეფოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

იგივე ავტორი ამბობს: მუშეებს ქართლში ძლიერი ადგილობრივი კულტურა დახვდა. ეს კულტურა ძვ.წ. XII ს-ში შექმნილი დაიოხისა და კოლხის გაერთიანებულ მომდინარეობდა და გენეტიკურად ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურასთან იყო დაკავშირებული და ასევე: ადრექრისტიანული ქართული კულტურის ფესვები შორეულ წარსულში იდებს სათავეს, ამას საფუძვლად უდევს ერთი მხრივ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. XII ს-ში შექმნილი დიოხისა და კოლხის გაერთიანებიდან გამომდინარე კულტურული ტრადიციები, მეორეს მხრივ ძვ.წ. 676 წლის შემდეგ ქართლში დიდი ტრადიციების მქონე მუშე-მესხების შემოტანილი კულტურა. (ვახტანგ გოილაძე, ასურულ მამათა სამშობლო და საქართველო, გვ. 97, 102-108, 112-113).

შუამდინარეთის „მარგალიტად“ წოდებული, ქრისტეს მფარველობის ქვეშ მყოფი ქ. ედესა ერთ-ერთი უმდიდრესი და ამავე დროს, სავაჭრო გზაჯვარედინი იყო, სადაც სავაჭროდ ჩადიდებულ სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის იყვნენ იბერები და ლახები, დასავლეთ საქართველოდან, ინდუსები, კობრები, ეთიოპები და სხვები. ბიზანტიანის 502-506 და 540-542 წლების ომებში თავი ისახელეს ქართველმა უფლისწულმა, მხედართმთავარმა ფარსმან კოლხმა, ხოლო მეორე ომში, მეორე უფლისწულმა პერანიმ, რომელიც ქ. ედესას იცავდა – ირანელებმა ვერ შეძლეს ქრისტეს ნაკურთხი ქალაქის ადგება. ფარსმან კოლხის შვილები და შვილიშვილებიც ბიზანტიის სამხედრო სამსახურში იყვნენ. ჩრდილოეთ შუამდინარეთის ერთ-ერთი დიდი ქრისტიანული ცენტრი იყო ქ. ედესა, რომელიც ქართველთა (კოლხთა) საკუთრებად ითვლებოდა. აქ იყო დიდი ქართველური კერა. VII საუკუნემდე, არაბების მიერ მის დაპყრობამდე ქ. ედესა იყო მთელი აღმოსავლეთის განათლებისა და კულტურის ცენტრი. იქ, ქართლში წასვლამდე მოღვაწეობდნენ ასურელი მამები. ედესალებად ითვლებოდნენ V საუკუნის ორი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი და საეკლესიო მოღვაწე ივერთა იბერიელი. ასევე, ჯუანშერის მიხედვით ედესაში (ერაქში) რვა წელი გაუტარებია ქართლის დედოფალს სავადუნტს – გორგასლის დედას და მის ასულს ხუარანტეს. ჩრდილოეთ შუამდინარეთის მთავარი ქალაქი ანტიოქია – ედესა, II საუკუნის შუახანებისათვის უკვე ძირითადად ქრისტიანული იყო. ქრისტეს ერთ-ერთ მოწაფეს თათოსს ედესაში ქრისტეს სუფრას შეუტანია, რომელიც ამჟამად ინახება ქ. ტურინში (იტალია) წმინდა იოანე ნათლისმცემლის ტაძარში.

მწელი წარმოსადგენია ის სიძნელეები, რომლებიც წმინდა ანდრეას, სვიმონ კანანელს, მატათას და წმინდა ნინოს გადაუტანიათ საქართველოში ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგებისათვის, ქრისტიანობის გავრცელებისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლისათვის.

ქართულმა ეკლესიამ V საუკუნიდან ავტოკეფალია მიიპოვა. ისიც ცნობილია, რომ სპარსელებისა და სხვა ძალებისაგან ქვეყნის გადარჩენისა და აღმშენებლობისათვის აუცილებელი იყო სარწმუნოებრივი ერთიანობა. მეფე დანიმ (დანი უჯარმელმა მამის – ვახტანგ გორგასლის ანდრეი ადასრულა და დედაქალაქი თბილისში გადმოიტანა (ნატახტარიდან). (ვახტანგ გორგასლის ძემ) დიდი ღვაწლი დასდო ქრისტიანული სარწმუნოების შემდგომ განმტკიცებას. დანის მეფობის დროს გარდაიცვალა ქვეყნის ავტოკეფალური ეკლესიის პირველი კათალიკოსი (საკათალიკოსოს ცენტრი ჯერ მცხეთაა) პეტრე, რომლის ადგილი დაიკავა მცხეთის მთავარეპისკოპოსმა სამოელმა. ავტოკეფალიის მიღების დროიდან, და უფრო ადრეც, ქართულ ენაზე არსებობდა სახარებები „ეფანგელი“, პავლენი (ეპისტოლენი), „ასურგანნი ფსალმუნნი“ (დავითნი) და სხვა. ქართულად არსებობდა ლიტურგიკული პრაქტიკისათვის აუცილებელი საღმრთო წერილის (ბიბლიის) ძირითადი წიგნები, იერუსალიმში სასტუმროც კი აუგიათ ქართველი და ბერძენი მოგზაური მლოცველების თავშესაფარად, შემდგომში „იბერთა მონასტრის“ სახელით რომ იყო ცნობილი.

ქართველები და საქართველო რომ უძველესი დროიდან დაკავშირებული იყო იერუსალიმთან, ამას გვიჩვენებს XX საუკუნეში აღმოჩენილი იერუსალიმური (ქართული) წარწერებიც. 1946 წლიდან კათოლიკეთა იერუსალიმის პატრიარქის ალბერტ ფოროს თაოსნობით იერუსალიმში, იორდანის უდაბნოში წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს ხელმძღვანელობით. ბეთლემის მახლობლად, სიარულ დაბანის ჩრდილო-დასავლეთით, ბირელ-ყუტის მიდამოებში, სხვა ძეგლებთან ერთად აღმოჩნდა ქართული, ბეთლემის ანუ ლახთა მონასტრის ნანგრევები ქართული წარწერებითა და სხვა მნიშვნელოვანი ექსპონატებით. იგი VII საუკუნის პირველ ნახევარში დაანგრეულა მუსულმანთა შემოსევების დროს. მონასტერში შემონახული მოზაიკური იატაკის ასომთავრული წარწერებში მოთხრობილია, რომ ეს იატაკი მოუპირკეთებია ვინმე იოსიას ანტონის წინამძღვრობის დროს, აგებული იყო იოსიას მიხედვით და დასავლეთ საქართველოდან, ინდუსები, კობრები, ეთიოპები და სხვები. ბიზანტიანის 502-506 და 540-542 წლების ომებში თავი ისახელეს ქართველმა უფლისწულმა, მხედართმთავარმა ფარსმან კოლხმა, ხოლო მეორე ომში, მეორე უფლისწულმა პერანიმ, რომელიც ქ. ედესას იცავდა – ირანელებმა ვერ შეძლეს ქრისტეს ნაკურთხი ქალაქის ადგება. ფარსმან კოლხის შვილები და შვილიშვილებიც ბიზანტიის სამხედრო სამსახურში იყვნენ. ჩრდილოეთ შუამდინარეთის ერთ-ერთი დიდი ქრისტიანული ცენტრი იყო ქ. ედესა, რომელიც ქართველთა (კოლხთა) საკუთრებად ითვლებოდა. აქ იყო დიდი ქართველური კერა. VII საუკუნემდე, არაბების მიერ მის დაპყრობამდე ქ. ედესა იყო მთელი აღმოსავლეთის განათლებისა და კულტურის ცენტრი. იქ, ქართლში წასვლამდე მოღვაწეობდნენ ასურელი მამები. ედესალებად ითვლებოდნენ V საუკუნის ორი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი და საეკლესიო მოღვაწე ივერთა იბერიელი. ასევე, ჯუანშერის მიხედვით ედესაში (ერაქში) რვა წელი გაუტარებია ქართლის დედოფალს სავადუნტს – გორგასლის დედას და მის ასულს ხუარანტეს.

ჩრდილოეთ შუამდინარეთის მთავარი ქალაქი ანტიოქია – ედესა, II საუკუნის შუახანებისათვის უკვე ძირითადად ქრისტიანული იყო. ქრისტეს ერთ-ერთ მოწაფეს თათოსს ედესაში ქრისტეს სუფრას შეუტანია, რომელიც ამჟამად ინახება ქ. ტურინში (იტალია) წმინდა იოანე ნათლისმცემლის ტაძარში.

პალესტინაში არაბთა ბატონობამ მოშალა სამონასტრო ცხოვრება და მრავალი ქართული (არამარტო ქართული) ეკლესია-მონასტერი გაანადგურდა.

პეტრე იბერის სამოქალაქო სახელი იყო მურვანოსი (მარუანი) (407/411-491),

რომლის აღზრდაში დიდი როლი შეასრულა კოლხეთიდან მეფის ოჯახში (მურვანოსის მამის) მოწვეულმა ცნობილმა ფილოსოფოსმა მითრიდატე ლახმა, 12(?) წლის მურვანოსი გაავაზნეს კონსტანტინეპოლს და თან გააყოფეს მითრიდატე ლახი. მურვანოსმა ბიზანტიის დედაქალაქში ბრწყინვალე განათლება მიიღო. მითრიდატე სიცოცხლის ბოლომდე მურვანოსის თანამოაზრე და თანამოღვაწე იყო. ისინი ზაქარია ქართველთან (პეტრე იბერის ცხოვრების აღმწერი) და სხვა რამდენიმე ქართველთან ერთად გადასახლდნენ ესტინაში, სადაც ბერებად აღიკვეცნენ. ამის შემდეგ ისინი ცნობილი არიან პეტრე იბერის და იოანე ლახის სახელებით. 445 წლიდან პეტრე და იოანე მღვდლებად აკურთხეს, ხოლო 452 წლიდან პეტრე ეპისკოპოსად დაინიშნა.

ორივე სიტყვით, უფრო ვრცლად გვინდა ვთქვათ მითრიდატე ლახზე და პეტრე იბერიელზე.

1998 წელს ჟურნალ „აიაში“ გამოქვეყნდა მწერლის, პოეტის, ჟურნალისტის, მკვლევარის ნოდარ დარასხველიძის წერილი „სომხური დამწერლობა იოანე ლახმა, ანუ იეროთელმა შექმნა“, რომელშიც გადმოცემულია V საუკუნის ქართველი პოლიტიკოსი (ენების მცოდნე), ეგზეტიკოსი, დამწერლობამცოდნე, ასტრონომი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, კოლხური აკადემიის უკანასკნელი პატრიარქი, მითრიდატე ლახის (შემდგომში იოანე), აღმზრდელი, მოძღვარი და ნათლია იბერიის უფლისწულისა“ იოანე ლახის.

შალვა ნუცუბიძის აზრით, მითრიდატე (იოანე) ლახი 25 წლისთა უფროსი ყოფილა თავისი მოწაფე პეტრე იბერიელზე. მკვლევარები კამათობენ პეტრე იბერიელი 407 თუ 409 წელს დაიბადა. ერთი კი ცხადია მეფისწული დაბადებულია 407 და 412 წლებს შუა.

414 წელს იბერიის მეფემ გადაწყვიტა თავისი 7 (?) წლის შვილი გაეგა (შემდგომში მარუანი, მურვანოსი ნაბარნუგი, პეტრე, დიონისე აეროპაგალი) მძევლად სპარსელებისათვის კი არა, არამედ ერთმორწმუნე ბიზანტიელებისათვის მიეცა, ამიტომ უფლისწულის აღსაზრდელად ვარაზ-ბაკურმა მცხეთაში მოიწვია კოლხი სწავლული ჯალ-ი ანუ ქუჯი ეგრისელი. ჯალმა (ქუჯი ეგრისელმა) მცხეთაში ჩამოაყალიბა სკოლა, რომელშიც იბერიის უფლისწულთან ერთად სწავლობდნენ სხვა ახალგაზრდებიც, მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ პეტრე იბერიელის ძიძის შვილიშვილები – კატა და მურვანოსი, რომლებიც 422 წელს კონსტანტინეპოლში გააყენენ უფლისწულს.

ამგვარად, კოლხურმა აკადემიამ 414 წლიდან 422 წლამდე ქუჯი ეგრისელის (მითრიდატე ლახის) სახით, ეტეობა მცხეთაში გადმოვიდა. ჩანს, ის აღნიშნულ პერიოდში კოლხეთის აკადემიის მოძღვართ-მოძღვარი (რექტორი) იყო.

ბიზანტიური ორიენტაციის სწავლულმა პოლიტიკოსმა ქუჯი ეგრისელმა ბიზანტიასთან იბერიის და აღბანეთის დაახლოების მიზნით, 421 წელს, 52 ნიშნის ალბანური ანბანის შექმნა დაასრულა.

„უფრო ადრე – წერს ნოდარ დარასხველიძე, – 414 წელს მცხეთაში ქუჯი ეგრისელმა იბერიის უფლისწული გაგა მონათლა – დიონის სოკრატის ძე აეროპაგალი შეარქვა. სამომავლოდ ასეთი სახელი უფრო შეეფერებოდა ბიზანტიურ გარემოცვაში მყოფ უფლისწულს – მძევალს.“

430 წლის II მაისს კონსტანტინეპოლში დიდი ზემოთ აღნიშნეს მისი დაარსების 100 წლისთავი, რომელზეც მითრიდატე ლახმა კონსტანტინეპოლის სამეფო კარზე კუბიკულარის თანამდებობა მიიღო, ხოლო 23 წელს იბერიის უფლისწულს სამეფო კავალერიის წინამძღვრობა შესთავაზეს, რომელიც მეღვინეთუხუცესის თანამდებობის უახლოვებოდა, მაგრამ იბერიის უფლისწულს სამხედრო კარიერა კი არა, თეოლოგია და ფილოსოფია იტაცებდა.

„428 წელს სომხეთში (არმენიაში) არშაკიდების დინასტია დაემხო. სომხეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს, სპარსეთი და ეპატრონა, დანარჩენს – ბიზანტია. სომხეთმა (არმენიაში) სახელმწიფოებრიობა დაკარგა.“

კლიმენტი შელია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული ცეკვის ჯაღოქარი რეზო ბულია 80 წლისაა



ბატონმა რეზომ 1944 წელს მიიღო პირველი ნათლობა სცენაზე – ზუგდიდის ეთნოგრაფიულ ანსამბლში კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. 1952 წლიდან 1965 წლამდე ცეკვადა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, სადაც მისი ქორეოგრაფები იყვნენ დავით ჯავრიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ავთანდილ თათარაძე და კოწი მანჯგალაძე. ამრიგად, რეზო ბულია უკვე 70 წელია ერთგულად ემსახურება ქართულ ხელოვნებას.

ბატონი რეზო და მისი თანატოლები ცეკვავენ სცენაზე და ღია ცის ქვეშ, აუტანელ სიცხესა და გაუსაძლის სიციხეში, ომისა და მშვიდობის დროს, ხშირად მშვიდ-მშვიდვალეობით, რადგან ცეკვა მათთვის გახლდათ არა მხოლოდ სცენური რიტუალი, არამედ სიცოცხლის ნაწილი, სილამაზისა და სრულყოფილებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, ხელოვნებისადმი ფანატიკური სიყვარული...

ჩვენი ქორეოგრაფიული ხელოვნების ბერძენი მოწოდებით იხსენებს იმდროინდელ მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც დიდ შრომას ეწეოდა საქართველოს კუთხე-კუთხულებში შემონახული ფოლკლორული მასალების შესანარჩუნებლად. შემდეგ, ამ საზოგადოებას გამოეყო ხელოვნათა გარკვეული ჯგუფი, რომელთაც შექმნეს ქორეოგრაფიული მოღვაწეთა კავშირი, რომელსაც თავიანთობდნენ თენგიზ სუხიშვილი და თენგიზ უთმელიძე, ამჯამად კი ქორეოგრაფთა კავშირს თავმჯდომარეობს ბატონი რეზო ჭანიშვილი. სწორედ ამ ქორეოგრაფიულ ოჯახს აკისრია დღეს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სიწმინდეების დაცვა, იმ **“მოღვაწეების”** თავდასხმებისა და სრულიად დაუსაბუთებელი კრიტიკისაგან, რომელთაც არასოდეს უგემნიათ სცენის მტკვარი.

“ჩვენ ვინც ხელოვნებაში ყოფნის შვიდი ათეული წელი გადაცილებულ პატიოსნად და დიდსულოდ აღმართი ავიარეთ და ახლა დიდმართში მივაბიჯებთ, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის ქართული ქორეოგრაფიის “გრავალის” მცველთა მიმართ!” – აღნიშნავს ბატონი რეზო თავის ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში.

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ხელოვნების სახლში, ჩატარდა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სიწმინდეებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ აკადემიკოსები, პროფესორები, კომპოზიტორები, მხატვრები და ქორეოგრაფები: ბატონები შალვა ნუცუბიძე, შალვა მშველიძე, გრიგოლ კოკელაძე, პავლე ხუტუა, სოლომონ ვირსალაძე, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ალექსანდრე ახვლედიანი, დიდი გვარამაძე, ნონა გუნია, ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ავთანდილ თათარაძე, კონსტანტინე მანჯგალაძე, მიშა ბახტაძე, რუბენ ჭოხონელიძე, გიორგი სალუქვაძე, ენვერ ხაბაძე, შოთა ჩახავა, ბუხუტი დარახველიძე, სოსო ციმაკურიძე, მიხეილ შუბაშიკელი, მიხეილ რაქვიაშვილი, მიხეილ კობეშვილიძე...

ეს გახლდათ ქართული ქორეოგრაფიის ხეიმი, სადაც განიხილებოდა ამ სფეროში არსებული პრობლემები, რათა დახვეწილ-


ყო შემდგომი მუშაობის სტილი და მეთოდოლოგია (სამწახაროა, რომ დღეს ამგვარი ღონისძიებები არ ტარდება, რაც დადასტურებულია კიდევ დღევანდელ ქორეოგრაფიულ სკოლას).

ბატონი რეზო გულისტკივილით აღნიშნავს, რომ უზომოდ იზრდება ცეკვის ტემპი, ბრმად გადმოაქვთ სხვა ეროვნების ხალხთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ზოგიერთი ელემენტები თუ ილეთები, ტრიუკები, მუხლებზე მდლიდან დაცემა, ჯამბაზური ილეთები, რაც კატეგორიულად მიუღებელია ქართული ქორეოგრაფიისათვის, უკარგავს მას ეროვნულ სახესა და ხიბლს.

არ შეიძლება არ გაიზიარო ბატონი რეზოს გულისტკივილი და აღშფოთებაც კი, ერთ-ერთი სატელევიზიო **“შოუს”** მიმართ, სადაც ქართული ქორეოგრაფიის ვეტერანებმა, ამ სფეროს დეველოპმენტის ადამიანებმა დაგმეს ქართულ ცეკვებში აბსოლუტურად უცხო და მიუღებელი ელემენტების შემოტანა. სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ ვეტერანთა შენიშვნები გაეთვალისწინებინათ, ახალგაზრდა ქორეოგრაფებმა ვეტერანი კოლეგები ღამის არქაიზმსა და ყოველი სიახლისადმი ბრმად სიძულვილში დააღანაშაულეს.

გაგიხარიათ, ნოვაცია კარგი საქმეა, მაგრამ დიდი სიფრთხილად საჭირო ხელოვნების იმ დარგთან მიმართებაში, რომელმაც საუკუნო ქართველებს გაუძლო, არასოდეს ეგუებოდა გარე თუ შიდა მტრების დაუნდობელ შემოტევებს და ღამის სიბრძნით თუ სახეობით რიტუალები უღამახესი ქორეოგრაფიული ხელოვნების სახით მოიტანეს ჩვენამდე.

– ხალხნო, ხელში თურაშაული გიჭირავთ და ტყეში პანტას ეძებთ! – გულდაწვევით აღნიშნავს ბატონი რეზო და შეგვახსენებს წიგნს **“ასი მგერული სიმღერა”**, რომელიც გოდერძი ბუიას თავიანთობით და კუკური ჭოხონელიძის, ანზორ ერქომაიშვილისა და ვახტანგ როდონაიას მხარდაჭერით გამოიცა და თან ერთვის ნოტები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. იუბილარი ასევე მადლიერების სიტყვებით მოიხსენიებს ქართული ხელოვნების უანგარო მოღვაწეებს ნუნუ ღვინერაის, ჯემალ რეხვიაშვილს, დათო სხირტლაძეს და სხვა დეველოპმენტის ხელოვნებს.



არ შეიძლება სათანადო პატივი არ მივაგოთ ქართული ქორეოგრაფიის **“გრანდების”** რეზო ჭანიშვილის, ჯანო ბაგრატიონის, ფრიდონ სულაბერიძის, რეზო ჭოხონელიძის და სხვათა აზრს, რომელთაც საკუთარი მხრებით აქვთ ნაზიდი ქართული ქორეოგრაფიის ავტორები. ასეთი შემთხვევისათვის ბატონი რეზო მოხდენილად იყენებს პოეტ იოსებს გრიშაშვილის ერთ-ერთი ლექსის გმირი ყარაჩოხელის მიერ ნათქვამ სადღევანდელს: **“ეს გაუმარჯოს იმ მთვარეს, რომელიც მთვრალ კაცს გზას უნათებს და ეუბნება: ე, მუდრეგ, იქით ორმოა, არ ჩაეარდუ, კარგი გზით გაიარეო”**.

ძნელია გაზეთის თუნდაც რამდენიმე გვერდზე გადმოვცეთ ის გულისტკივილი და კონცეპტუალური შენიშვნები უმშვენიერესი ქართული ცეკვის მიმართ, რასაც ბატონი რეზო ბულია გამოთქვამს იმ თანამდროვე **“ქორეოგრაფთა”** მიმართ, რომელთაც ღამის სურბულ პაქრობად აქციეს სასცენო ქორეოგრაფიული სფერო, სადაც გოგონები ვაჟებიც ცეკვავენ და პირიქით, სადაც დარღვეულია ტრადიციული ქართული ეროვნული ფორმა, სადაც ურთულეს ქორეოგრაფიულ ილეთებს სალტო-მორტალე და უაზრო მალაყები ცვლიან, გოგონები ტლინკობენ, ვაჟებს კი ვაბაღახის ნაცვლად თავები რაღაც ფლასით აქვთ **“დამშვენებულნი”**...

სწორედ ასეთ შემთხვევაზე ამბობენ: **“აირია მონასტერი, ძაღლი პარტრონს ვერა სცნობსო”**...

იმედი გვაქვს, რომ ბატონი რეზო კვლავაც ითანამშრომლებს გაზეთ **“ილორთან”** და ხშირად მოგვაწვდის წერილებს ქართულ ქორეოგრაფიისათვის დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე, რასაც დიდი სიამოვნებით დავუთმობთ ჩვენი გაზეთის გვერდებს!

ფაქტია, რომ ქართული ქორეოგრაფია გადასარჩენია ჩვენი **“გავეროპელეზულ-გათანამედროვეზულ მოღვაწეთა”** ხელყოფისაგან და ეს სწორედ ბატონი რეზოსთანაა გამოცდილების მქონე პროფესიონალებს ხელეწიფებათ, რომლებიც არა მხოლოდ ცეკვავენ სცენაზე, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ ავალიბებდნენ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას!

დიდი მადლობა მინდა შევეთვადო ბატონ რეზო ბულიას, რომელმაც, პირადი წინაწერით, საჩუქრად გამომიგზავნა შესანიშნავი წიგნი **“წინაპართა ნაპეალევეზი”**, რომელშიც დაბეჭდილია ქართული ხელოვნების დიდსულოდ წარმომადგენელთა ბიოგრაფიები და გამოქვეყნებულია მდიდარი ფოტომასალა.

დიდად სახიზარულოა ისიც, რომ აღნიშნულ წიგნში წარმომჩენილი არიან ქართული სასცენო ხელოვნების ამგდარები სამეგრელოდან: ძიკი ლოლუა, ივანე ჩომახია, კიწი გეგეჭკორი, ბეგლარ და ქონია აკობიები, იოსებ გუნავა, ვალიკო კეშულარია და სხვა დიდსულოდ მამულიშვილები, რომელთა დეველს სათანადოდ დააფსებს გაზეთი **“ილორი”**, მათი ბიოგრაფიების გამოქვეყნებით.

სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”**, გაზეთი **“ილორი”**, ბატონი რეზო ბულიას ხელოვნების თავიანთმცემლები ულოცავენ დეველოპმენტის ადამიანს დაბადებიდან 80 წლის მიუბილეს, უსურვებენ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და მაღალნაყოფიერ შრომას, რაც ესოდენ აუცილებელია ქართული ეროვნული ქორეოგრაფიის შემდგომი წინსვლისათვის!

როლანდ ჯალაღანია, გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი

ბილოცავთ, ბატონო რეზო!

ზუგდიდი მართლაც გამორჩეული ქალაქია, მე ვიტყვოდი – ცოტა უცნაურიც კი. ამ ქალაქს მუდამ ამშვენებდნენ არაჩვეულებრივი ადამიანები.

წესიერებით, ნიჭიერებით, თვალშისაცემი ინდივიდუალურობით თუ კოლორიტულობით დაჯილდოებული პიროვნებები ახლაც არ აკლია ოდიშის ამ უღამახეს

ქალაქს და აქაური მეგრელებიც არც თუ უსაფუძვლოდ ამავობენ თავიანთი თანამოქალაქეებით.

მგონი, კალამი გამეცქია და დროა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლავთ სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ზუგდიდელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი ბატონი რეზო ბულია.

მე არ ვაჭარბებ – ამ ადამიანის ცეკვა **“ყაზბეგურზე”** ლეგენდებს ჰყვებიან ხელოვნების ჭეშმარიტი **“გურმანები”** და რიგითი დამფასებლები.

ბატონი რეზოს კარიერა განსაკუთრებით გამორჩეული და წარმატებული გახლდათ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. იგი ბრძანდება ლეგენდარულ ანსამბლ **“ჩელას”** ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი. ბატონი რეზო ერთპიროვნულად აღიარებულია ქართული ქორეოგრაფიის ჭეშმარიტ მეტრად და განა ეს არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ მისი სახელი უკვდავყოფილი იქნას ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში?!

დრამა მწამს, ბატონი რეზო ბულიას უშრეტო შემოქმედებით მუდამ ვიამაყებთ ჩვენ – მისი თანამედროვეებიც და ჩვენი შთამომავლებიც...

ახლა კი, დროა განაცხადო ჩემი ამ



მცირე ადრესის დაწერის ნამდვილი მიზეზი. ბატონი რეზო ბულია, თურმე, 80 წლის გამხდარა! მისი ახალგაზრდული შემართების შემხედვარეს ამის დაჯერება, ალბათ, გაუჭირდება, მაგრამ ფაქტია – რეზო ბულია უკვე მეცხრე ათეულ წელს მითოვლის!

თავად ბატონი რეზო კი – ზუგდიდის, სამეგრელოს და სრულიად საქართველოს სიამაყე – ყოველივე ამას მისთვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორით უყურებს. თითქოს ახლა იწყებდეს სახელოვნო კარიერას, ისეთი შემართებით საუბრობს სამომავლო გეგმებზე.

ნამდვილად მეამაყება, რომ ეს ლეგენდარული პიროვნება სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** ზუგდიდის ოფისის ხშირი და სასურველი სტუმარია!

გულითადად ვულოცავთ ბატონ რეზოს 80 წლის იუბილეს!

უსურვებთ კიდევ მრავალი შემოქმედებითი წარმატებით აღსავსე ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

დაე, ზუგდიდელებს, და არა მხოლოდ ზუგდიდელებს, მრავალი წელი ნუ მოჰკლებოდეთ მისი შემოქმედებითი ტკობაც და მხოლოდ მისებური – რეზოსებური, უადრესად საინტერესო და ღამაზი სიარულის მანერის ხილვაც. აკი, მისი სიარულის მანერაც თავისებური სავიზიტო ბარათია ზუგდიდქალაქისა...

ზურაბ კვარაცხელია, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი, ზუგდიდი

ალსარება მეუფე ბენედიქტუს (ბეჯით ჯალაღონია) წინაშე!

სათაყვანო მეუფე, ამ რამდენიმე დღის წინათ, ღვთის ნებით, შემთხვევით ჩამივარდა ხელში თქვენი ბროშურა ნანინა, სადაც სრულიად სამართლიანად მიმითითებთ ჩემს მიუტკეველ შეცდომაზე, რომელიც არ ვიცი, როგორ დაეწყო და, თქვენ რომ მაპატიოთ, მე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, როგორ ვერ გავიხარე, რომ მწერლობის განახლების გარეშე ვერავითარი კანონი ვერ დაიცავს ენას გადაშენებისგან. იმედია, ჭკუშმარტი ღვთის მსახური დამესმარებით ამ უმძიმესი ცოდვისგან განთავისუფლებაში.

ებრაელები წმინდა ენას უწოდებენ ებრაულ ენას, მაშინ, როდესაც მათ, პირველადი ენიდან დაწყებული, რამდენჯერმე იცვალეს თავიანთი მეტყველება და ისტორიულად ცნობილი, პროტოებრაული ენის ოთხი წინარე ენა – “თაობა” აფროაზიური, სემიტური, ნეოანტიკური და არამეული (იხ. გამრეული – ივანოვის წინარე ენათა რღვევისა და ახალთა წარმოშობის სურათი) კარგა ხანია განისვენებენ ისტორიის სასაფლაოზე. ხოლო დღემდე ცოცხალი, ნამდვილად წმინდად დარჩენილი, ადამურ-იფეტურ-იბერიული, იგივე, დღეს მეგრულად წოდებული ენის დღემდე არსებობა ვერ მოუნდებია ზოგ ჩვენს „პოპმეს“ და გააფთრებული იბრძვის მისი საბოლოო მოსპობისათვის.

ფიქრობთ, არამარტო ქართველ ერს, არამედ მთელს კაცობრიობას სოდომისა და გომორის ცოდვებზე არანაკლები ცოდვა აწევს კისერზე იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის, დედამიწაზე ამ უწმინდესი და უნიკალური ენის, დაუცველობისა და დაუფასებლობის გამო. სწორედ, ამ ენის უარყოფამ და მისი ღვთიური ფესვების ამოძირკვისათვის ბრძოლამ ჩააყენა ქართველი ერი დღევანდელ მდგომარეობაში და მხოლოდ ამ ცოდვის აღიარებამ და გულწრფელმა მონანიებამ შეიძლება ისხნას იგი გადაშენებისგან.

ეტყობა, დაწუნებული და მრავალი საუკუნის განმავლობაში დათრგუნული მეგრული ენის ღირსებისა და უნიკალურობის დღის სინათლეზე ამოტივტივებამ დააფრთხო ამ ბოლო წლებში ბევრი ჩვენი „მოძმე“. მაგრამ, ალბათ, მათ არ იციან, რომ ღვთიური კანონზომიერებების უგულვლყოფა და მის წინააღმდეგ ბრძოლა საბედისწეროა.

მაღლობა უფალს, ისედაც ცოდვილი, არ გამიმეტა იმისათვის, რომ დამატებით, უმძიმეს ცოდვამოკიდებულს მეგლო ამ წუთისოფელში და რამდენადმე მაინც, რომ შეემსუბუქებინა ეს ტვირთი, მომივლინა თქვენი თავი. მაღლობა უფალს, რომ ყვარებივარ და თქვენი პირით შემახსენა: მისი ნების გარეშე გადადგმული, ანუ მრავალჯერ გაუზომავი და აუწონავი ნებისმიერი ნაბიჯი შეცდომაა, უხედავსთან შესარწმელად ღვთის მოდუნების შედეგია და არარაობაა ადამიანი, რომელსაც ეს მიზანი არ ამოძრავებს.

მეუფეო, აღმაფრთოვანა თქვენმა „ვეფხისტყაოსნის“ უხადო თარგმანმა. მეცოდება ადამიანი, რომელსაც, ვითომცდა, საქართველო უყვარს, მაგრამ იბერიული (მეგრული) ენა არ იცის. რომელიმე სხვა ენაზე ისე სრულყოფილად განა შეიძლება გადასცეს გენიალური რუსთაველის მიერ დაფიქსირებული ღვთაებრივი და შეუვალე კანონისა „რასაცა გაცემს შენია, რას არა – დაკარგულა“, როგორც თქვენს თარგმანშია: „გოჩანქუნი – გესქანებუ, ვაგოჩია – მეიყოთაშ“ (გაცემს – შენი [გა]ხდება, არ გავც და – დაგიკარგავს)? სიტყვაში გოჩანქუნი ბოლოსართი – ნი ვერ ვთარგმნე ქართულად და განა რომელიმე ენა შეიძლება მის ზუსტად თარგმანს? სამწუხაროდ, ჩვენს საერთო სალიტერატურო ენას, მიუხედავად იმისა, მსოფლიოში ყველაზე დახვეწილ და კლასიკურ ენად არის აღიარებული, ჯერ კიდევ არა აქვს ის გამო-

სახველობითი ძალა, როგორც იბერიულს და, სწორედ, ეს აწვითებს ტ. ფუტკარაძეს და მის დამკვეთ უწმინდურ ძალებს. აღსანიშნავია, რომ ხაზგასმა იბერიული ენის სიძლიერისა, მის წინააღმდეგ გამართულმა ბრძოლებმა მაიძულა, თორემ იმ მიზნით არ დამისახავს, რომელიმე ენა დაიხაროს, რადგანაც უხედავს შემოქმედისთვის ყველა ენა და ხალხი ერთნაირი მნიშვნელობისა და არავის აქვს უფლება ჩაგროს სხვა, მაგრამ ამორალურია და არც იმის უფლება აქვს ვინმეს აუკრძალოს სხვას თავისი შესაძლებლობის გამოვლენა, საკუთარი შესაძლებლობის დანრდილების შიშით. სწორედ, ასეთი შიშის გამო წერს ბ-ნი ტარიელი თავის ინკოგნიტო მეგობარს: „... თუ ვერ მივადწიეთ მეგრული ენის დაღვრებად საერთაშორისო აღიარებას, ქვეყანა დაგვეტყუა თავზე“-ო.

სიტყვაში გოჩანქა (გა-ცემა) – სულიერი სიბრძნის გაცემაზე საუბარი, მაგრამ რომ არა იბერიული გ, -დან ნაწარმოები, გამაკეთილშობილებელი წინსართი გა, ფუძის – ჩამა (ჭმევა) და მისი დამახინჯებული ფორმა – ცემა(რტემა) განა ერთიდაიგივე მნიშვნელობის გამოხმატყუა?

არქაულ ფორმაში ჩ, მ, ჩ, ნიშნავს აჭამა-ს, მ, მე-ს, ე.ი. თანამედროვე გრამატიკის დონეზე ჩ, მ, ნიშნავს აჭამა მეს, ზოგადად, ჭმევას.

ჭმევა, ანუ დაპურება მშვიერისა, თუნდაც მატერიალურზე იყოს საუბარი, ღვთიური თვისებაა, ხოლო ამ ადამიანდელი არქაული ფორმის წინადადების უზრდოდ გახმოვანებული და ტრანსფორმირებული ფორმა ცემა (— ჩემა –ჩ, მ,) ველურთა, და ღვთის მოძულეობა წესია და ვინც ჯიუტად ადგას ღვთის საწინააღმდეგო, გაველურების გზას, იმათგან თავის შორს დატყუროს თავისი დამრთი არ დაგვერახავს. დამრთმა დაგვიფაროს ტ. ფუტკარაძისა და

მათ დამკვეთთაგან – ჩვენი ქვეყნის ისტორიის გამკაცლებელთაგან იძულებული გაგხდეთ, გადავდგათ საბოლოო და გადაწყვეტი ნაბიჯი, მაგრამ თუ ეს მოხდა, ნორმალური ადამიანი ამას არც სეპარატიზმად ჩავითვლის და არც დაღატად, ხოლო ველურების მიერ მოკერებული შესაძლო იარაღი ვერაფერს დაგვაკლებს. მაგრამ ბევრი დააკადვება, საერთოდ, საქართველოს, რადგან ქართველი და საქართველო, რომელიც ჩვენს გულისთქმას ვერ იტებს, მეგრულთა და სამეგრელოს არსებობის გარეშე, რამდენ ხანს იარსებებს, ამის დანახავს დიდი დრო არ დასჭირდება. თითქოსდა, გადარჩენის მიზნით, ჭკუშმარტიების უგულვებლყოფი, ან რეალობის ვერ დამნახველი საქართველო ვერ იარსებებს და არცაა ღირსი.

მეუფეო, ვრგანობ, რომ თქვენ ღმერთს ძალიან უყვარხართ და ყოვლისშემძლე ღმერთს ვთხოვ კიდევ უფრო უხვად მოგვიწოდოთ თავისი ნათელი მრავალთა გონების გასანათებლად.

მეუფეო, შემქმლო ეს წერილი მეც მეგრულ ენაზე დამეწერა თქვენი კრიტიკული შენიშვნების პასუხად, მაგრამ შეცდომის საყოველთაო აღიარების აღარ მეშინია, რადგან ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და უშეცდომობის პრეტენზია აღარასოდეს მქონია. ადამიანთაგან ვისაც ასეთის პრეტენზია აქვს, ის მეტ შეცდომას უშვებს. ჯენტლმენობის პრეტენზია ნამდვილად მაქვს, თუმცა არ ვიცი რამდენად გამომდის.

უდიდესი მაღლობა თქვენ, ჩემი რამდენადმე მაინც გამოფხიზლებისა და გაცნობიერებისათვის!

უღრმესი პატივისცემითა და ქრისტესმიერი სიყვარულით,

კუპური ფიფია,
„ფაზისისა“ და „იას“ საერთო-სამეცნიერო აკადემიების წევრი.

ნაციონალეობო!

ვითომ რომ მარხულობთ და ვითომ რომ ღმერთი გწამთ... ერთი ხელით რომ პირჯვარს იწერთ და მეორეთი ეშმაკსა და სატანას ადვოკატობთ... ნახეთ და გაისხსენეთ, როგორი სისხლის გუბეები დააყენა თქვენმა ანტიქრისტე ბელადმა!

და რადგანაც მის გვერდით დგახარ და მათ “საგმირო საქმეებს” ხოტბას ასხამ, ამიტომ, შეგახსენებ:

- შენ დახვრიტე აკადემიკოსი ბურაბ შარაძე;
- შენ მოწამე ბურაბ შვანიძე;
- შენ დაკალი სადღო ბიბოგოიანი;
- შენ დახვრიტე ბუბა ტობაძე;
- შენ ჩაახვრიტე ვახაბაშვილი;
- შენ მოკალი ბანეშაძე კრიანაშვილი;
- შენ დაჩხუბე სოსო შიშინაძე;
- შენ ბაადატაძე სამართველო;
- შენ მოაწვეე ისეთი რეპრესიები სამართველოში 37-იან ფაშაში შინსახოშს რომ გააოცებდა;
- შენ მიჰყიდე მხეცისათვის სასიცოცხლო მინიშნელობის ობიექტები რუხეთს – ოძრო, ჟგალი, დენი... (ოჩის მემე);
- შენ დააფხიე და ბაბარცვე, შვაშინი და დახაშვი საპუტარი მოსახლეობა;
- შენ დაბოგბე ბორი და მიძინაძე ცხინვალში;
- შენ მოწამე, დაარბიე მხვილარიაძე მომიტინგეები, მათი ბგამები ბუნებში მიგაღე და სისხლის სუნით აქოთებულ რუსთაველზე კონცერტი ჩაატარე;
- შენ აწამე, ბააშაბაძე და დირხევა აჭარაში მართველ მამაბაძეს;
- შენ დახვრიტე და დააანაღე თითქმის 40 000 პატიშაძე;
- შენ ბამოცაღე მხიარ ხალხს ლუგა პირიდან და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დაბაიოში და სხვა კურორტებზე შენ ნებართვად სამართველო მოსახლეობის სისხლით და ოფლომ შეროქოშვილი უშლი;
- შენ უხმენდი მხელას და მხელა ოჯახში ერთი ყური ბქონდა დამალული;
- შენ დაბეძე მეზობელი მეზობლის, მებობარი მებობრისა და ამას მის დასახმენად და ჩასაშვებად;
- შენ ბააპატახე სოფელი და მიმე ინფორმაცია, არაბებს, ჩინელებსა და პაპ-ისტანელებს მიჰყიდე ქართული მიწები;
- შენ ბადახმევე მიბრძანაში სამართველო დირხეული ნაწილი მონებად;
- შენ ბააკოლიტიზირე ქართული ჯარი და პოლიცია და ამით შეარცხვინე ქართული კალკონის მხედი;
- შენ ხარ ბამოწამე ნარკოტიკი და საეკლესიო დღესასწაულებზეც შენ “კიბაროლო” უწოდებდის სავარაუდო;
- შენ ჩაბეძე და პატიშ აჭარაში მართველ ინტელიგენციას;
- შენ უმხიროდი და მმუტრებოდი ჩვენი ერის ამჟამინდელ სიწმინდესა და ერის სინდისსა და ნაშუს-სამართველო პატიარტს;
- შენ დაარბიე ბლანდის ეპლესია და მრეწველსაც შენ ბაუჩაძე თავი;
- შენ დააწიოე ბიზნესი და ბააკოტრე ქართული კაპიტალი;
- შენ ამოქრიტე მოკმე ქისტები;

ახლო მაინც თუ შეგიძლიათ იცნოთ საკუთარი თავი, ნაციონალეობო, და თქვენვე მიუწიოთ საკუთარ აქტივს ღირსეული ადგილი საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში? ჩვენ კი დღემდე ვართ დარწმუნებული, რომ თქვენი ადგილი მხოლოდ ისტორიის სანაგვეზეა.

თქვენი ბადაშენებით უზომოდ ბახარებული ქართველი ერი

ქართულ-სომხური პარტნიორობის გაღრმავების გადაუდებელი აუცილებლობა

კვლევით-ანალიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ინტეგრაცია და განვითარება“ (ხელმძღვანელი – არამ საფარიანი) ინიციატივით, ერევანში, 13 აპრილს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „სომხეთი: გეოპოლიტიკური და ინტეგრაციული პერსპექტივები“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც სომეხმა პოლიტიკოსებმა და პოლიტოლოგებმა, ისე ბალტიისპირა სახელმწიფოებისა და საქართველოს წარმომადგენლებმა. კონფერენცია სასტუმრო „მეტროპოლი“ გაიმართა და მას დიდი ყურადღება დაუთმო ადგილობრივმა მასშტაბით.

კონფერენცია გახსნა სომხეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ელუარდ შარმახანოვმა. ეს ფაქტი „ინტეგრაცია და განვითარების“ მიერ მოწოდებული ღონისძიების მაღალ სტატუსს უსვამს ხაზს. მომხსენებლებად წარსდგნენ ესტონეთისა და ლატვიის პარლამენტების დეპუტატები – იანა ტომი და ნიკოლაი კაბანოვი, პოლიტიკური მიმოხილველი ლატვიიდან – ეინარს გრაუდინში, ცნობილი ლიტველი პოლიტიკოსი ალგირდას პალეცკისი, სომხეთში ცნობილი და პატივცემული სწავლულეები და ანალიტიკოსები – გავიკ არუთუნიანი, სტეპან გრიგორიანი, კარგ ბეჭარიანი, სტეპან საფარიანი და სხვები. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან მოწვეული იყო ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რეხილაძე, რომელიც ასევე წარსდგა მოხსენებით.

რეხილაძის გამოსვლის თემა იყო: „სომხეთის მნიშვნელობა საქართველოს ახალ საგარეო პოლიტიკაში“. მოხსენების ძირითადი პოსტულატები:

- საქართველოს ახალი საგარეო პოლიტიკა, რომელიც დასავლურ პოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გარდა, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების აუცილებლობასაც ითვალისწინებს, ბუნებრივად ითხოვს სომხეთთან პარტნიორობის აქტიუზაციას, რომელსაც რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობები აქვს დამყარებული;
- დესტრუქციული ძალების მხრივ, აფხაზეთზე გამავალი რუსეთ-საქართველო-სომხეთის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის იდეის წინააღმდეგ მიმართული აქტიურობის ფონზე აუცილებელია სომხური დიპლომატიის გააქტიურება როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მიმართულებით;
- რუსეთთან საქართველოს სარკინიგზო კავშირის აღდგენა აუცილებელია და ხელს აძლევს როგორც საქართველოს, ისე სომხეთს. გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი შესაძლებლობა თავად რუსეთისთვისაც მომგებიანია, ისევე როგორც ირანისთვის. ამასთან, აშკარაა, რომ ეს აფხაზეთი მხარისთვისაც მომგებიანი იქნება, რომელთანაც საჭიროა ერთობლივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება, მისი დარწმუნება, რომ საქმე ეხება წმინდა ეკონომიკურ პროექტს;
- რუსეთთან საქართველოს დაახლოება არავითარ შემთხვევაში არ აუქმებს რუსეთისთვის სომხეთის, როგორც მოკავშირის, მნიშვნელობას. პირიქით, ეს მის გეოპოლიტიკურ როლს აძლიერებს, გამოიყავს ქვეყანა ანკლავური მდგომარეობიდან და მას რეგიონში სრულფასოვან მოთამაშედ აქცევს;
- აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნის შედეგად აზერბაიჯანი არასდროს არ ექცევა იზოლაციაში, მსაკავშირის მიერ ამას წინათ ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაუფრთხილები მოსახრების საპირისპიროდ. სინამდვილეში აზერბაიჯანი ინარჩუნებს ფოთისა და ბათუმის პორტებთან, აგრეთვე თურქეთის სახმელეთო საზღვართან მისახველი სარგებლობის შესაძლებლობას, გარდა ამისა, სრული დანერგვით მიმდინარეობს ვარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობა, რომელიც საქართველოს რკინიგზისა და ისევე ქართული პორტების კონკურენცია იქნება;
- სომხეთმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მის ინტერესებშია, ყველაფერთან ერთად, სარკინიგზო და ხარისხიანი საავტომობილო კავშირის დამყარება ირანთან.
- გასაკვირი არ არის, რომ კონფერენციის მუშაობაში, პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების გარდა, მონაწილეობას იღებდნენ სომხური ბიზნეს-ელიტის წარმომადგენლები, კერძოდ, კომპანია „აპაგენის“ (სომხეთის უდიდესი გადაზიდვითი გენერალური დირექტორი გავიკ ავაჯანიანი).

დასავლური რელიგიური ორბანიაციები საქართველოში და მათი პოლიტიკური მიზნები

როგორც „პოლიტგორუმი“ იუწყებოდა, ვერაზის ინსტიტუტმა ორგანიზება გაუკეთა საქართველოში არატრადიციული რელიგიური მიმდინარეობების თემაზე საზოგადოების წარმომადგენელთა შეკრებას – პრობლემას განიხილავენ თეოლოგები, პოლიტოლოგები, უსაფრთხოების საკითხებში სპეციალისტები.

შეითხველებს ვთავაზობთ მეფე იოანესა და ქალბატონ ნანა დედუარიანის გამოსვლების რეზიუმეს.

მეფე იოანე (გამრეკელი) – რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი: არაქისთვის არის გასაკვირი, რომ ათეულობის მსოფლიოში გავრცელების შედეგად მოხდა მთელ რიგ ერებში რელიგიური ცნობიერების ნიველირება და ამ უნიციტირებულ ნიადაგზე აღმოცენდა ახალი რელიგიური მიმდინარეობები, ორგანიზაციები, რომელთა ბუნება და წარმოშობა ბევრისთვის იყო უცნობი, მაგრამ თანდათან ცხადდება და ცნობიერდება. ცხადია, ადამიანებს აქვთ არჩევანის უფლება, როგორც მოციქული ამბობს, მე ყველაფერს უფლება მაქვს, მაგრამ ყველაფერი არ არის ჩემთვის სასიკეთო. ყველაფერი შემიძლია, მაგრამ ყველაფერი არ მზრდის მე. ქართველ ერს საუკუნეების მანძილზე ჰქონდა გაკეთებული არჩევანი და ამ არჩევანს ის იცავდა თავისი ბრძოლით და შრომით, ამტკიცებდა ამ გზას, რომელიც მან აირჩია, ჯერ პირველი საუკუნიდან მოყოლებული, შემდეგ მე-4 საუკუნიდან, და ასე შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში. საბჭოთა რეჟიმის დაშლის შემდეგ უცხოური რელიგიური ორგანიზაციები აქტიურად შემოვიდნენ საქართველოში. ეკლესიამ პირველმა აღიმაღლა ხმა თავის დროზე, იგი აფრთხილებდა მოსახლეობას ამ რელიგიური ექსპანსიის შესახებ, რომ სიფხიზლე გამოეჩინა, იმიტომ რომ არ იცი, ვისთან გაქვს საქმე და რა ძალები დგას ამის უკან. გამართებს სიფხიზლე და გაცნობიერება იმისა, თუ ვისთან და რასთან გაქვს საქმე.

არ არის უცხო ის მოსახრება, რომელიც წარმოთქვა ახალი რელიგიური მიმდინარეობის ერთ-ერთმა ამერიკელმა ფუძემდებელმა, რომ რელიგიური ცნობიერება არის კარგი ნიღაბი ბიზნესისთვის. ამას რელიგიასთან კავშირი არ აქვს და სწორედ რელიგიის საფრქველში იმალება პოლიტიკური და მატერიალური ინტერესები. ამ დროს სულიერებაზე საუბარი ზედმეტია. ეს არის მხოლოდ ნიღაბი. ამიტომაც ჩვენ კვლავ მოუწოდებთ ქართველ ადამიანს, რომ ვიდრე არჩევანს გააკეთებს, შეისწავლოს საწყისი, წყარო, საიდან მოდის ესა თუ ის მიმდინარეობა. ორი სახლი გაქვს ჩვენ, რომლითაც შეიძლება შევიცნოთ და გავარსოთ, სწორი არჩევანი გააკეთოთ: ერთია შეიცან საწყისი, წყარო, საიდან მოდის ის, მეორე სახლი კი არის – არის ნაყოფით განსაჯეთ, რასაც უფალი გვეუბნება, ანუ რა შედეგები მოჰყვება ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობას. დღევანდელი შეკრება ეძღვნება იმას, რომ ჩვენ უკვე დაგროვილი მასალა, ცოდნა ამ ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ და მათ უკან მდგომი ძალები შესახებ კიდევ ერთხელ მივიხიზნოთ და ვიზრუნოთ ჩვენი ერის სულიერი დაცვისთვის და ექსპანსიისგან და შესაბამისად, არ გავხდეთ ცენტრი მეზობელ ქვეყნებში და ერებში მათი ცნობიერების რღვევის პროცესების და მათგან არ იყოს საყვედური ამ მიმართებით, რომ ჩვენ ჩვენი უყურადღებობით და არცოდნით სხვებსაც ზიანს ვაყენებთ.

ნანა დედუარიანი, ყოფილი ომბუდსმენი, ვერაზის ინსტიტუტის სპეციალისტი: გულბაათმა გაიხსენა ის პერიოდი, როცა მე საზოგადოებაში ცნობილი ვიყავი იმით, რომ ვიცავდი რელიგიურ უმცირესობებს. მე ამას არ ვნანობ, რადგან ეს ის იყო ის საკონსტიტუციო დავალება, რასაც სახალხო დამცველს აეკისრება მოქმედი კანონმდებლობა. გარდა ამისა, არასოდეს ძალადობით, წიგნების დაწვით და მსგავსი ქმედებებით არ შეიძლება ვინმეს მოქცევა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და ეს ყველაზე უკეთ იცის საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ. ადამიანი შეიძლება მოაქციო მხოლოდ საკუთარი მაგალითით. ასევე მინდა ვითხროთ, რომ არც ერთ სხვა ენაში, გარდა ქართულისა, არ არსებობს ასეთი გამოთქმა: ძალად მაცხონე. არ შეიძლება ადამიანი აცხონო, თუ ის გაჯიუტებით ადგას არა დვისი გზას, არამედ იცით, რა გზაც არის ეს. ამასწინათ ერთ-ერთ რადიოეთერში დარეკა ქალბატონმა, რომელმაც განაცხადა, რომ მართალია ის არ არის საზოგადოებრივი მოღვაწე, ბოლომდე ეკლესიური, მაგრამ როცა კი მიდის ეკლესიაში, ხვდება მრევლის რამ-

დენიმე წარმომადგენელი, ძალიან აგრესიული, რომლებიც მარხვას იცავენ, ყველა რიტუალს ასრულებენ, მაგრამ არიან აგრესიულები. მან დაუსვა მოძღვარს კითხვა, არის თუ არა ასეთი ადამიანები მართლმადიდებელნი. ჩვენ ამას ვერ განვსჯით და მოძღვარმაც ასეთი პასუხი გასცა. მარხვა მხოლოდ დიება არ არის და ხორცზე და ზოგიერთ პროდუქტზე უარის თქმა. ეს არის სულის მდგომარეობა, როცა სავსე ხარ სიყვარულით. როცა შენ მარხვა გაგაბოროტებს და თავს ესხმი სხვა ადამიანებს, ეს უკვე მარხვად ნაკლებად ჩაითვლება. ყველაზე სერიოზული პრობლემა, ჩემი აზრით, არის ის, რომ ჩვენ გვიწინდარელია მოვარგოთ ჩვენი ადამიანური ვნებები. რომ გადავხვიოთ წმინდა წიგნებს, დავრწმუნდებით, რომ ადამიანი არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ გადაადგილება და კომუნიკაციების საშუალებები. ადამიანი არის ისეთივე ვნებებით აღსავსე, როგორც ის იყო, სამოთხიდან განდევნის შემდეგ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის და ჩვენი საუკუნის თავისებურება არის ის, რომ ადამიანი ცდილობს საკუთარი ცოდვების გამართლებას მიაღწიოს რელიგიური ინსტიტუტებისგან. და დიდწილად დასავლური ქრისტიანობა ამაზე მიდის. რაც უფრო მეტს თმობენ ისინი, მით უფრო ეცემა რელიგიური ცნობიერება. აღარ მაქვს საუბარი იმაზე, რომ მთელ ქვეყნებში დაკანონდა ერთსქესიანი ქორწინება, რაც უკვე იწვევს ბევრ პრობლემებს და კოლიზიებს. ეს რატომაც არ შეუძლება ჩვენს პრესაში და მედიაში. ბევრმა არ იცის, რომ ინდულგენციების პრაქტიკა კათოლიკურ სამყაროში გაუქმდა სულ ოციოდე წლის, როცა მიხვდნენ, რომ მხოლოდ უფლი არ არის საკმარისი ცოდვების შესაწილად და საჭიროა სინანულის განცდაც. თუ გადამოვარებით ამას ჩვენს პოლიტიკურ ენაზე, ეს ძალიან ჰგავს იმ კობაიტაციას, რომელზეც დღეს არის საუბარი საქართველოში. საკმარისი იყო ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ოდნავ სინანული მაინც გამოეხატათ, რომ ხალხი ბევრ რამეს აპატიებდა. მაგრამ როდესაც არ არის სინანული, იქ ძალიან ძნელია, რომ შეუნდო. ამიტომ ეს კობაიტაცია ემსგავსება მოძალადის და მსხვერპლის თანაცხოვრებას.

პოლიტიკას დიდწილად განსაზღვრავს ჩვენი რელიგიური შეხედულებები. ითვლება, რომ აშშ არის ღრმად მორწმუნე ქვეყანა, მასში, იცით, რომ უამრავი სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობა არსებობს, ძირითადად პროტესტანტული. მაგრამ მთლიან შეხედვით, როგორც წარმოიშვა ეს მიმდინარეობები და რა საფუძველი ჰქონდა ამას. სოციალურ ქსელებში ხშირად მოისმენთ მოწოდებებს, რომ მართლმადიდებლობა სიბნელეა, ეს არის წარსული, ჩვენ არ გვინდა წარსულში წარსული, დროა რომ გარდავიქნას მართლმადიდებელი ეკლესია და ა.შ. ეს არის მეოთხედი თავდასხმები. მათ მართლაც სჯერათ, რომ კაპიტალიზმის და დემოკრატიის აშენება შესაძლებელია იქ, სადაც პროტესტანტობაა. სადაც პროტესტანტული შრომის ეთიკაა. როგორც ადამიანების მიერ შექმნილი ყველა საზოგადოებრივ სისტემა, ისიც სცოდნავს ნაკლოვანებებით. მაგალითად, ვერ ხსნიან აზიურ და ისლამურ ქვეყნების წარმატებას. გავიხსენოთ, რა წინადადებათა გამოვლად ნაცემობისთვის ყოფილი დემოკრატი ბესო ჯუღელი ერთ-ერთ პარლამენტში. მან მოითხოვა, რომ შევამცროთ უქმე დღევითი. ეს არის წმინდა პროტესტანტული მიდგომა. მინდა შეგახსენოთ, რომ პროტესტანტობის წარმოშობას ჰქონდა ერთი მძლავრი საფუძველი, კერძოდ, კათოლიკური ეკლესია კრძალავდა ლათინურის გარდა სხვა ენაზე ღვთისმსახურებას. ხოლო მართლმადიდებლურ ეკლესიაში არ არსებობს ეს პრობლემა, რადგან წირვა-ლოცვა უძველესი დროიდან მიმდინარეობს ქართულ ენაზე. ანუ პროტესტანტიზმის ეს საფუძველი საქართველოში არ იყო. კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც მინდა ხაზი გაუსვა. სოციალურ ქსელებში ხანდახან ისმის „ბრალდებები“, რომ „ბნელმა“ მართლმადიდებლებმა კათოლიკობის გამო წვერით ითრიეს სულხან-საბა. სინამდვილეში, სულხან-საბას არავინ ეწოდება იმის გამო, რომ მან კათოლიკობა მიიღო. ის წვერით ითრიეს იმის გამო, რომ საფრანგეთში მეფის კარზე თქვა: თუ თქვენ დაგვცხადებდით, მე გაგაკათოლიკებ საქართველოს. მუდმივად გვესმის ჩვენ, რომ ძალიან შეზრდილია ეკლესია და სახელმწიფო. პირველ რიგში ამას საყვედურობენ რუსეთს, ასევე საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას. მთლიან დავუკვირდეთ, რა მოხდა ეკლესიის გა-

ოფის შემდეგ 1054 წელს. პაპის ძალაუფლება იმთავითვე საერო ხასიათს ატარებდა. ხოლო მართლმადიდებელ სამყაროში ეკლესია არ იყო საერო ხელისუფლების მატარებელი. ამიტომ როცა დღეს ვეროპაში საუბრობენ სეკულარიზმის აუცილებლობაზე, ეს სრულიად ზედმეტია ჩვენთვის, რადგან საქართველოში ეკლესიას არასოდეს ჰქონია საერო ხელისუფლება.

მეფე იოანემ ბრძანა, რომ ძალიან ხშირად რელიგია არის კარგი საფუძველი ბიზნესისთვის, ეს მართლაც ასეა. ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაცია აგებულა როგორც მსხვილი ბიზნეს-კორპორაცია. თქვენ შეამჩნევით, რომ ამ რელიგიური მიმდინარეობის მიმდევრები ძალიან აქტიურად დადიან და ეწევიან პროზელატიზმს. რატომ არიან ეს ადამიანები ასე დაინტერესებულნი? რამდენ ადამიანსაც გადაიბირებენ, მით უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე ადიან ამ ბიზნესით აგებულ რელიგიურ მიმდინარეობაში, პირადად. ანუ პირდაპირი მოტივაცია – როგორც მატერიალური, ასევე სოციალური სტატუსის თვალსაზრისით. მართლმადიდებლობის წინააღმდეგ აშკარა განცხადება ბევრ პოლიტიკოსს არ გაუკეთებია დასავლეთში, მაგრამ ისინი მიიჩნევენ, რომ იქ, სადაც არის მართლმადიდებლური დომინანტი ცხოვრების წესი, იქ ძალიან ძნელია ადამიანები მიიყვანო სხვა დასკვნამდე, გადაადგილდნენ ის ნაბიჯები, რაც შენ გინდა. ამისთვის საჭიროა საზოგადოების დანაწევრება, ატომიზაცია. რაც მეტი სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობა შემოვა, და რაც უფრო დაიქსაქსება საზოგადოება, მით უფრო ნიჭიერი ნიადაგი იქმნება გარე ძალების სასურველი რეფორმების გასატარებლად.

კიდევ რა ძირეული განსხვავებაა ქართულ მართლმადიდებლობასა და დასავლურ ქრისტიანობას შორის. მთელი რიგი სხვაობებია, მათ შორის ცხოვრების წესის და რჯულის ერთგულება, დამთავრებული იმით, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ სამყაროს. დასავლური ქრისტიანობისთვის დამახასიათებელია იმის მტკიცება, რომ ადამიანს გონებით შეუძლია შეიმეცნოს ყველაფერი. ნებისმიერი მართლმადიდებელი, რომელიც ჩახედულია რჯულის საფუძვლებში, გეტყვით, რომ ყველაფერი გონებით არ შეიმეცნება. სამყარო სავსეა ისეთი საიდუმლოებებით, რომელსაც გონებით ვერ ახსნი. რაც დრო გადის, მეცნიერები სულ უფრო რწმუნდებიან, რომ მათი წარმოდგენები სამყაროს შესახებ არის ხელოვნური ან სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს. მეცნიერება ვერ იძლევა პასუხებს იმაზე, რაზეც იძლევა პასუხებს ეკლესია, რწმენა და მართლმადიდებელი ეკლესია.

ავიღოთ კიდევ ერთი საკითხი – მართლმადიდებლობა და ისლამი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი სისხლი დაღვრილა, სინამდვილეში მართლმადიდებლობას და ისლამს ბევრად მეტი აქვთ საერთო, განსაკუთრებით ცხოვრების წესის და ტრადიციების შენარჩუნების თვალსაზრისით, ვიდრე მართლმადიდებლობას და დასავლურ ქრისტიანობას. ერთ-ერთი დიდი თანამედროვე ფილოსოფოსი წერდა იმის შესახებ, რომ ჩვენ (იგულისხმება დასავლეთი) წავაგეთ ბრძოლა ისლამთან, იმიტომ რომ მათ აქვთ ფასეულობები, ჩვენ კი ეს ფასეულობები ხელიდან გვეცლება. მე არ ვლანარაკობ აგრესიულ ისლამზე, პოლიტიზირებულ ისლამზე. ისლამურ კულტურაში მყოფი ადამიანი ბევრად უფრო დიდი პატივისცემით არის გამსჭვალული მართლმადიდებლობის მიმართ, ვიდრე დასავლური ქრისტიანობის მიმართ და ამას ძალიან სერიოზული ისტორიული საფუძველი აქვს – მართლმადიდებლებს არ მიუღიათ მონაწილეობა ჯვაროსნულ ლაშქრობებში. მათ წილი არ უღვეოთ იმ ბაზაროსობაში, რომელიც ჩაიდინეს ჯვაროსნებმა იერუსალიმში. ისლამი თავისი ცხოვრების წესით უფრო ჰგავს ქართულ ცხოვრების წესს: ეს არის ტრადიციების პატივისცემა, უფროსის პატივისცემა და ა.შ. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი არის მუსლიმი. დაპირისპირება ქვეყნის შიგნით ქრისტიანებს, მუსლიმებს და იუდეველს შორის ჩვენთან არასოდეს ყოფილა. ანუ ჩვენ გვაქვს ტოლერანტობის ის ფორმულა, რომელიც არ ჰქონიათ ევროპელებს.

“ნეტავთის” მიერ გამოქვეყნებული მასალა:

დისკუსია საფრთხეებზე, თუ რელიგიური უფლის ბაღვინება
რა საფრთხეებს უქმნის საქართველოს „არატრადიციული რელიგიური მიმდ-

ინარეობის საქმიანობა“ – ეს საკითხი შეარჩია „ვერაზის ინსტიტუტმა“ კონფერენციის თემად, რომელიც სასტუმრო „ქორთიარდ მერიტში“ გაიმართა.

“ვერაზის ინსტიტუტის” ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე აცხადებს, რომ „ბოლო დროს მომრავლებული რელიგიური სექტების“ საქმიანობა პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებს და აუცილებელია ამის შესახებ სახელმწიფოს და საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდოს.

“ტოლერანტობის ცენტრის” ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი კი აცხადებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ტერმინ „სექტას“ არ ცნობს:

„არანაირი სამართლებრივი მექანიზმი და სამართლებრივი ჩარევის შესაძლებლობა სახელმწიფოს არ აქვს ამა თუ იმ რელიგიური გაერთიანების საქმიანობაში და ამგვარი შეხვედრები მხოლოდ შუღლს აძლიერებს რელიგიურ ნიადაგზე“, – აცხადებს ბექა მინდიაშვილი.

“საქართველო პლაცდარმად იქცა აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის, შუა აზიის რელიგიური ლიტერატურით მისამართებულად. ირანული მოქალაქეები რომ ჩამოდიან საქართველოში, მათ ხელში ჩრან რელიგიურ, სექტანტურ ლიტერატურას, მიღის დიდი პროპაგანდა. აზერბაიჯანში და ირანში შემოთავაზებული არიან, რომ საქართველო გახდეს პლაცდარმი მათ ქვეყნებზე სამუშაოდ, როგორც რელიგიური სექტების, ასევე, ამ სექტების მანტიაში გახვეული სხვადასხვა ჯგუფის სპეცსამსახურებისათვის. გაომბინარე აქედან, ჩვენ ძალიან სიფრთხილე გვმართებს და ამ პრობლემაზე სახელმწიფოს და საზოგადოების ყურადღების გასამახვილებლად შევიკრიბეთ”, – განაცხადა გულბაათ რცხილაძემ. მისი თქმით, უცხო ქვეყნებიდან „სხვადასხვა სექტების“ შემოსვლის საფრთხეს ლიბერალური საეზო რეჟიმი აძლიერებს.

შეხვედრას ესწრებოდა ყოფილი პარლამენტარი პამელტ ჰიპაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფების შემოსვლა ადრეული პერიოდიდან დაიწყო: **“შემოსვლის პროცედურები იმდენად მძლავრი იყო ფინანსურად, რომ მას მთელი საზოგადოებაც კი ვერ აღუდგებოდა წინ, იმ პერიოდში ამერიკის ელჩი პარლამენტში მოვიდა და თავს უფლება მისცა ჩვენთვის მოეთხოვა, ბასილ მაკალაფიშვილის საქციელი დაგვეგმო. დღესაც იგივე გრძელდება, რადგან როგორც ძველი, ახალი ხელისუფლებაც ამ ხალხს ამის გასაქანს აძლევს”.**

ყოფილი სახალხო დამცველი ნანა დედუარიანი საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკისა და ირანის დაპირისპირების ფორმებზე საუბრობს:

“დღეს მოიყვანეს მაგალითები, რომ ირანიდან ჩამოფრენილ რესიებს ხვდებიან რაღაც ჯგუფები და ლიტერატურას ანიჭებენ ხელში, საქართველო გახდა პოლიგონი, რომ ირანიდან ჩამოსულს რაღაც შეაჩნოს არა ქართველმა, არამედ ისევ უცხოეთიდან ჩამოსულმა, ხშირად ამერიკის დაინტერესება ირანის მიმართ ამ ფორმებსაც იღებს. შუაგულ თბილისში რაღაც ფარული დგას, ჯვარი აქვს გამოსახული და სპარსული წარწერებია, ესეც რაღაც რელიგიური ლიტერატურაა, რომელიც მიმართულია ირანის მოქალაქეებზე”, – განაცხადა ნანა დედუარიანმა.

ბექა მინდიაშვილის განცხადებით, **“ვერაზის ინსტიტუტი”** და მათი მომხრეები რუსეთზე ორიენტირებული არიან და მათი მხრიდან მსგავსი განცხადებები ამერიკის შეერთებულ შტატების დემონიზაციას ისახავს მიზნად:

“სახელმწიფო არ საზღვრავს იმას, თუ რომელია ტრადიციული რელიგიური გაერთიანება და რომელი არატრადიციული, კონსტიტუცია იცავს რელიგიის თავისუფლებას, ამავედროულად, სინოდი, 2011 წლის დადგენილებით, საქართველოში რწმენის თავისუფლებას აღიარებს და აცხადებს, რომ ყველა რელიგიური გაერთიანება და ნებისმიერი მრწამსის ადამიანი უნდა იყოს თანასწორი კანონის წინაშე. ამ ტიპის განცხადებები ხელს უწყობს შეუწყნარებლობის გაღვივებას. განცხადებები, რომ სექტების მხრიდან საქართველოს საფრთხე ემუქრება და ამ სექტების მიღმა გაურკვეველი ძალები დგანან, ჩვეულებრივი კარგად ნაცნობი შეთქმულების თეორიების თხზვაა. საქართველომ უკვე გამოიარა ეს ეტაპი, ბასილ მაკალაფიშვილის და სხვათა პერიოდი”, – აცხადებს ბექა მინდიაშვილი.

“კლავიაი საკვირველი”



ქართველობა დიდგორის ბრძოლისთვის, ეს ამბები სამუდამოდ წაიკარგა ისტორიის ქარტილებში. რამდენ უძილო დამეს გაატარებდა დავით აღმაშენებელი ბრძოლის საბოლოო გეგმის შემუშავებისას. მტერი საკმაოდ გამოცდილი იყო და ამიტომაც ყოველივე გათვლილ-დანგარიშებული უნდა ყოფილიყო.

მუსლიმთა კოალიციური ლაშქარი ნელ-ნელა მოიწვედა საქართველოს სიღრმისკენ. მტერი დიდ იმედს ამყარებდა ამ ლაშქრობაზე. ერთხელ და სამუდამოდ “კლავია უნდა ესწავლებინათ” ქართველთათვის, რომლებმაც არა მარტო შეავიწროეს თურქ-სელჩუკები, არამედ ამიერკავკასიაში პირველობისთვის დაიწყეს ბრძოლა.

1120-1121 წლები ქართველთათვის მეტად წარმატებული გამოდგა. დავით აღმაშენებელმა რამდენიმე დიდ გამარჯვებას მიაღწია თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში. 1120 წლის 14 თებერვალს ქართველებმა ბოტორასთან დაამარცხეს თურქები. მალე ქალაქი ყაბალაც აიღეს და შირვანიდან განდევნეს მტერი. იმავე წლის ნოემბერში დავითმა აშორნასთან სასტიკად დაამარცხა სელჩუკები. ქართველთა ეს წარმატება 1121 წელსაც გაგრძელდა. ამიერკავკასიაში ქართველთა სამხედრო უპირატესობა აშკარა შეიქნა. ამით შემოფოთებულმა განხელ-თბილელ-დმახელმა ვაჭრებმა და ადგილობრივმა მუსლიმმა მმართველებმა სპარსეთის სულთანს სთხოვეს დახმარება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. სულთანმა მაჰმუდ მუჰამედის ძემ მიიღო მუსლიმანურ სამყაროს მიმართ თხოვნით, დიდი კოალიციური ლაშქარი შეეკრიბათ ქართველთა წინააღმდეგ. სულთანის ამ თხოვნას ბევრი გამოეხმაურა. უმოკლეს ხანში შეიკრიბა 300-400-ათასიანი არმია. მას მაჰმუდ მუჰამედის ძემ სარდალად ნეჯმ ად-დინ ილდაზი დაუყენა. აღმოსავლეთში ილდაზის სახელი იმ დროისთვის დიდების შარავანდელი იყო მოხილი. იგი ფლობდა ბაღდადის, მარდინისა და ალექსანდრიის შემოღობულ ტერიტორიებს. 1119 წელს მან შეიკრიბა ოროსტის ნაპირებთან ე.წ. “სინლიან ველზე” სასტიკი დამარცხება ავმა ჯვაროსნებს. ამ გამარჯვების გამო ილდაზს “ნეჯმ ად-დინი” – “სარწმუნოების ვასკეფალი” უწოდეს. ნეჯმ ად-დინ ილდაზთან

ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდნენ დუბაის ემირი იბნ-სადაფა, თოღრულ მოჰამედის ძე, თუღან არსლან კუზიანი, განძის ათაბაგი და სხვა მუსლიმი მმართველები.

ავგისტოს დასაწყისში მუსლიმანური კოალიცია საქართველოსკენ დაიძრა. ილდაზი ჯერ არზრუმში მოვიდა. სწორედ აქ უნდა მოეყარათ თავი სხვადასხვა მხრიდან წამოსულ ილდაზის მოლაშქრეებს. თოღრულ მოჰამედის ძე განძის მხრიდან, ხოლო თუღან არსლან კუზიანი დვინის მხრიდან მოემართებოდა. “პაემანი” თრიალეთში იყო დათქმული. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, მტერი “მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედავერ მტეოდეს ამთ ადგილთა”. დავით აღმაშენებელი დიდგორის ვიწრობებში ელოდებოდა მტერს, რომელიც იყო “სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა”. საკვებით სარბოლიანად მიუთითებს აკადემიკოსი როინ მეტრეველი, რომ დიდგორის მდებარეობის სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა დავით აღმაშენებლის მიერ მისი ბრძოლის ადგილად შერჩევა. დიდგორის ვიწრობები მტერს საშუალებას არ მისცემდა, გაშლილიყო და თავისი რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინა.

მაგრამ მუსლიმური კოალიციის დიდგორზე შემოტევა არც ისე ადვილი იყო. ილდაზს ჰქონდა თბილისამდე მისაღწევი სხვა გზაც. დავითის წინაშე იდგა ერთი ამოცანა, მას სამხედრო ეშმაკობის წყალობით უნდა მოეტყუებინა მტერი და ისე მიეყვანა ის ქართველებისთვის მოგებთან პოზიციებზე, რომ ისინი ვერ მიმხედარიყვნენ. სხვაგვარად გეგმა ნაშლელად. მუსლიმ ავტორ ქებად აღ-დინს აქვს ერთი ცნობა, რომელიც ნათესავს ფენს ქართველთა სამხედრო ხრიკს. ისტორიკოსი მოგვითხრობს: “მუსლიმანებმა, რომლებიც თავდაპირველად დაამარცხეს ისინი (ე.ი. ქართველები), მისდევს მტერს და მოექცნენ მათ ზურგში მისი გადასასვლელზე” (თარგმანი გურამ კუტალაისის). როგორც ვხედავთ, დიდგორი არ ყოფილა ქართველებისა და მუსლიმური კოალიციის დაპირისპირების პირველი პუნქტი. ამ სამხედრო კამპანიის მიხედვით, მათ მანამდე ჰქონიათ შეტაკება, მაგრამ ქართველებმა დამარცხებულან. ამ ერთ რამ არის განსარკვევი, ქართველები მართლად დამარცხდნენ თუ სტრატეგიული

მიზნების გამო გაითამაშეს დამარცხების სცენა. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მოსახრება უფრო მისაღებია, რადგანაც სწორედ ამ სამხედრო ხრიკის წყალობით დავითმა მტერი საფარში შეიტყუა. ვინც დიდგორზე ყოფილა, დამოთანხმება, ჰკეიანი და გამოცდილი სარდალი აქ ჯარს ნამდვილად არ შემოიყვანდა, მთ უმეტეს, თუ აქცენტი მის რიცხოობაზე გადატანილი. ილდაზი საკმაოდ გამოცდილი იყო იმისთვის, რომ სამხედრო სტრატეგიის ეს ელემენტარული დეტალი არ სცოდნოდა. ჩვენი აზრით, ილდაზს ქართველები უკვე “დამარცხებული” ეგონა, როდესაც დიდგორზე მივიდა. სწორედ ამის იმიტაცია შეუქმნა მას დავითმა. ამდენად, საქართველოს სახლერის გადმოლაზვიდან მოყოლებული ილდაზს ეგონა, რომ საკუთარი სამხედრო გეგმის მიხედვით მოქმედებდა, არადა ეს იყო ქართველ მხედართმთავართა მიერ წინასწარ შემუშავებული სტრატეგია.

1121 წლის 12 ავგისტო, გარი-ურაჟი. დიდგორის ველზე ჯერ კიდევ სიწყნარია, მხოლოდ აზ-ჯრის ვლარუნი და ცხენების ფრუტუნი ისმის. აქა-იქ მეომრები გადაუახებენ ერთ-ერთს. დავითმა ჯარის საბრძოლო მზადყოფნა ბრძანა. ხუცესები მეომრებს ლოცავენ. ანტიოქიის სამთავროს კანცლერ გოტივს ცნობით, ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელს მგზნებარე მოწოდებით მიუმართავს თავის მეომარსთვის: **მეომარო ქრისტესნაო! თუ დავითს სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებო, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებო. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისთვის ხერგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აყვრობით, ძლიერ დმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხიცივით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოფსულავართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსახატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევკიცვით.**

ბრძოლის წინ დავითმა საგანგებოდ შეარჩია 200 მეომარი. მათ უდიდესი მისია დაეკისრათ. ბრძოლის ბედი ბევრად იყო იმაზე დამოკიდებული,

როგორ შეასრულდნენ ისინი მეფის დავალება. ამ მეომრებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ სამშობლოს, რწმენისა და მეფის ერთგულებისთვის სიკვდილზე მიდიოდნენ. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ამ 200 გამირი ქართველის არც სახელი და არც ოჯახური წარმომავლობა არ ვიცით.

გათუნდა. უცრად ქართველთა ლაშქარს 200 მეომარი გამოეყო და ილდაზის ბანაკისკენ დაიძრა. მორჩილების ნიშნად ხმლები მალა და დანებებას აპირებენ და კარგად მზად შეუშვეს ბანაკში. უცრად ქართველებმა იარაღი იშოშვლეს და მოწინააღმდეგეს დაერივნენ. ილდაზის მეომრები დაიბნენ. სანამ გონს მოვიდოდნენ, დავით აღმაშენებელმა შეტევა წამოიწყო და მტერს რამდენიმე მხრიდან შეუტია. ლაშქრის ცენტრს დავითი ედგა სათავეში. ფლანგებზე ყინაღთა და დემეტრე უფლისწულთა ჯარები იყო განლაგებული. ბრძოლის დაწყებისთანავე დემეტრე უფლისწული დიდგორის ერთი მხრიდან დაეშვა და ილდაზის არმიას გვერდიდან შეუტია. პირველივე შებრძოლებისას მტრის ბანაკი შეიფრა. სარკინოები არ ელოდნენ ქართველთა ასეთ სწრაფ და ფართომასშტაბიან იერიშს. დავითმა მართლაც გენიალური სამხედრო გეგმა დაუპირისპირა ილდაზს. მტერი 300-400 ათასამდე იყო, ხოლო ქართველთა ლაშქარი 55 600 მოლაშქისგან შედგებოდა. სარკინოებითა რიცხობრივი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ სანგრძლივ ომს ქართველთა ლაშქარი ვერ გაუძლებდა. ამიტომაც, პირველ მსოფრივ შეტევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. ბრძოლა სამ საათამდე გაგრძელდა. მტერმა ვერ გაუძლო ქართველთა ასეთ იერიშს და უკეიქცა. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. ილდაზის არმიას ქართველებმა დიდგორიდან 70 კილომეტრზე სდიეს. ტყვე და ალაფი აუარებელი იყო. მართლაც, დიდგორზე ქართველობამ შეუძლებელი შეძლო. შემთხვევითი არ არის, რომ დავითის ისტორიკოსი დიდგორის ისტორიულ გამარჯვებას “ძლევა საკვირველს” უწოდებს.

ქართველი ერი ყოველთვის დიდი მოწიწებით იხსენებდა დიდგორის გამარჯვებას. მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად კი ხალხმა ეროვნული დღესასწაული “დიდგორობა” დააწესა.

დავით აღმაშენებლის 32-წლიანი მოღვაწეობა. არ დაუდგებოდა საქართველოს “ოქროს ხანა”, დიდგორზე ბრწყინვალე გამარჯვება რომ არ მოგვეპოვებინა.

მსოფლიოს ნებისმიერი ერი ამყოფს თავისი სამხედრო წარმატებებით. სწორად პოპუზრობით აღნიშნავენ გამარჯვების დღეს. ბუნებრივია, ქართველებსაც ვგმართავს, მოგუფობთხილდეთ ჩვენს ისტორიულ მესხიერებას და სათანადო პატივი მივაგვით სამშობლოსთვის თავდადებულ გამარჯვებულნი.

1121 წლის 12 ავგისტოს დიდგორის ვიწრობებში მდგარ ქართველ მეომრებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ეს დღე მათი სამშობლოსა და მათი ოჯახებისთვის შეიძლებოდა გადაამწყვეტი გამხდარიყო. ერი და ბერი საგანგებოდ ემზადებოდა. სამეფო კარი ჯარს საბრძოლველად ამზადებდა. ეკლესიებში ქართველთა გამარჯვების ღოცვას ადავუენდნენ. სამწუხაროდ, წერილობით წყაროებს არ შემოუნახავთ ცნობები, როგორ ემზადებოდა

ჯაბა სამუშია

გაზეთ “ილორის” რედაქციას

მოგესალმებით თქვენ და ცნობილ ქართველ პოლიტიკოსს, მრავალმხრივ განსწავლულ ეროვნული სულისკვეთების მქონე პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, სამშობლოსადმი ერთგულებით გამსჭვალულ პუბლიცისტს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელსაც მხოლოდ მისი ნაშრომები ვიცნობ. პირველი მისი ნაღვაწი მაშინ წაყვითლდა, როცა ბატონ ალექსანდრეს ინიციატივით, 1999 წელს, ფოთში გამართულ დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა სახალხო მოძრაობა “სამეგრელო”, რამაც შეეარდანადის კრიმინალური მთავრობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იმდროინდელი ხელმძღვრედი და სულწაყმედილი “სკამის-მაძიებლები” დიდად შეაფოთა ქართულ პოლიტიკურ არენაზე ნიკოლოზ პოლიტიკოსის გამოჩენამ, რომელიც საქართველოს მომავლის ნათელი ხედვით და მიუკერძოებლობით გამოირჩეოდა.

სწორედ ეს არ აძლევდა ხელს შევარდნადის კრიმინალიტეტს და ე.წ. “გრანტიჭაჭია ახალგაზრდა რეფორმატორებს” – სააკაშვილის თავკაცობით, რომლებიც გოლგოთას უმზადებდნენ საქართველოს

და მათ გეგმებში აშკარად არ შედიოდა როგორც ქვეყნის გამთლიანება, ასევე მისი ეკონომიკური და სულიერი აღმავლობა. ისინი კატეგორიულად არ იზიარებდნენ ალექსანდრე ჭაჭიას მსოფლმხედველობას, რომლის სიმართლე ცხოვრებამ დაადასტურა, ყოველწინადად ეწინააღმდეგებოდნენ ბატონი ალექსანდრეს დამკვიდრებას ქართულ პოლიტიკურ სფეროში, რადგან მასში მძლავრ მოწინააღმდეგეა და კონკურენტს ხედავენ. ჩვენდა საუბედუროდ, ავად ავადიდა ამ მართლაც შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის ყველა ინიციატივი პროგნოზი, რომელსაც იგი ათი-ათიუმეტი წლის წინ აკეთებდა. სწორედ ამიტომ მიანდა ქართულ საზოგადოებას, რომ ალექსანდრე ჭაჭია ყველაზე ღირსეული კანდიდატი იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. მაგრამ ჯერ შევარდნადის, შემდეგ კი სააკაშვილის დამნაშავე ხელისუფლება არასოდეს უწყვედა ანგარიშს ქართული საზოგადოების სამართლიან მოთხოვნებს.

განა სწორედ ამან არ მიიყვანა სრულიად საქართველო სამად

დაშლისა და ლამის განადგურების პირამდე?!

მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არ არის გვიან და თუ ჩვენ ვესურს ოდესმე ვიხილოთ გამთლიანებული და აღორძინებული საქართველო, უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტად სტირდება სწორედ ალექსანდრე ჭაჭიასთანა გაწონასწორებული, ბრძენი და პრინციპული პოლიტიკოსი, რომლის უმთავრესი ამოცანა სწორედ ქვეყნის გამთლიანება იქნება!

საქართველოს შენარჩუნების სხვა გზა, სამწუხაროდ, ჯერ არ ხიანს და ალბათ, არც გამოჩნდება. დრო კი უწმობლად მიიწვეს წინ და მალე აფხაზეთსა და სამახაბლოში ის თაობა მოვა, რომელსაც საერთო არაფერი ენება საქართველოსთან.

ჩვენს დაუძინებელ მტრებს კი დღესაც მხოლოდ ქვეყნის დაშლის დაუძლეველი სურვილი ამოძრავებს. ახლა მაინც ნუღარ დავახსამთ წყალს მათ წისქვილზე! პატივისცემით,

ანზორ ბარამია,
ზუგდიდი

ბამოქმეფნა “ახალი თურქეთის” რუკა, რომელშიც ბათუმი შედის...

თურქულმა გაზეთმა ილიკემ-მა გამოაქვეყნა “ახალი თურქეთის” რუკა, რომლის ავტორები შორსგასცდნენ ამ სახელმწიფოს არსებული ტერიტორიის ფარგლებს და რუკაში შეიტანეს, კერძოდ, კვიპროსი, სირიის ჩრდილოეთი რაიონები, ერაყისა და საბერძნეთის ჩრდილოეთი ნაწილი, აგრეთვე აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაწილი (იხ. რუკა).

სტატიაში, რომლის ილუსტრაციაც გახლავთ რუკა, ლაბარაკია ახალი მძლავრი სახელმწიფოს შექმნაზე ყოფილი ოსმალების იმპერიის სახლერებში.

თურქული გამოცემა წერს, რომ ქურთების მუშათა პარტიის ლიდერ აბდულა ოჯალანის სენსაციური უარის შემდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე ანკარას, ფაქტობრივად, ხელ-ფეხი გაეხსნა. სტატის ავტორები რუმენს გამოთქვამენ, რომ ოჯალანის მოწოდება თურქეთის ტერიტორიის დატოვების შესახებ პირველი ნაბიჯია “ძველი, კარგი დროის” დაბრუნებისკენ, როდესაც თურქები და ქურთები ერთად ებრძოდნენ ბერძნებს და მცირე აზიის რეგიონის სხვა ქრისტიანებს (ლაბარაკია ბერძნების, სომხების, ასირიელების და იმპერიის სხვა ქრისტიანი ხალხების გენოციდზე – რედ.).

სამიწვორბი



ღვინო, ქალები... და სისხლის ზღვა

ანტ მთლად სასახლის გასართობი

ანუ სიმართლე ნერონის გასართობ სასახლეზე და იპოვეთ თუნდაც ერთი განსხვავება ამ ვამპირსა და ვამპირ სააკაშვილ-მერაბიშვილ-ბოკერიასა და მათ მსგავსებს შორის

ცნობებს რომის იმპერატორ ნერონის ორგონებსა და სასახლეზე, სადაც იგი ამ ორგონებს აწყოდა, გადაჭარბებულად მიიწვედნენ, ვიდრე რომში ლეგენდარული სასახლის ნანგრევებს არ მიაკვლიეს.

სწორედ ამ სასახლეში იმპერატორი თავის სტუმრებს "ართობდა" ისეთი სანახაობით, როგორც ქრისტიანების ცოცხლად დაწვა. მომავლად განწირული კვიცილი ნახევრად შიშველი ქალების ცეკვას ერწმობდა (გაიხსენეთ ავად-სახსენებელ ნაციონალთა მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციების მხეცურად დარბევისა და ციხის ცნობილი კადრები) - წერდა ამ აღმოჩენის შესახებ თავის დროზე ბრიტანული Daily Mail-ი.

გასართობი დარბაზი მდებარეობდა ე.წ. ოქროს სახლში. ისტორიკოსი გაიუს სევეტონიუსი წერს, რომ სასახლეები სპილოს ძვლით იყო მოწყობილი. პანელების გადაწვევის შემდეგ შესაძლებელი იყო სტუმრებისთვის ყვავილების ფეხქვეშ გაფენა ან სუნამოს დაფრქვევა. მთავარი დარბაზი მრგვალი ფორმისა იყო და ციური სხეულების მსგავსად, 24 საათის განმავლობაში შეუწყვეტლად ბრუნავდა

(დააკვირდით პრეზიდენტის სასახლის გარე და შიდა ინტერიერს, რომელსაც დამშუვლი ქვეყნის შეურაცხადმა პრეზიდენტმა 500 მილიონ დოლარზე ბევრად მეტი თანხა დაახარჯა).

ასეთი კონსტრუქციის არსებობის ისტორიკოსებიდან ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ პალატინის ბორცვზე "ოქროს სახლის" გათხრებისას მიაკვლიეს მრგვალ კედელს, ქვების ოთხმეტრიან კოლონასა და ქვის რამდენიმე უზარმაზარ ბურთს, რომელზეც შესაძლოა მოძრავი იატაკი ყოფილიყო განთავსებული. მრგვალი დარბაზის დიამეტრიც 15 მეტრზე მეტი იყო. სპეციალისტთა ნაწილის ვარაუდით, ქვის ბურთებს წყლის ჭავლით ატრიალებდნენ. სხვა ვერსიით, ამას მონები აკეთებდნენ.

ეს დარბაზი სავარაუდოდ ნერონის მრავალი ორგონისა და სადისტური ქმედების მომსწრე გამხდარა. სისხლისმსმელი და მოღალატე ხასიათი ნერონს მემკვიდრეობით დედის, აგრიპინასგან ერგო, რომელმაც გადმოცემის თანახმად, ორივე ქმარი მოკლა (მოკვლის რა მოგახსენოთ, მაგრამ ქმრები არც პრეზიდენტის დედას დაჰკლავია). ერთ-ერთი იმპერატორი კლავდიუსი იყო და ასე გაუთავისუფლა გზა ნერონს ტახტისკენ.

გადმოცემის თანახმად ნერონი იმდენად მხდალი იყო, რომ საკუთარი ლანდის ემინოდა და მუდამ შეიარაღებული მტრის მოლოდინში ცახცახებდა (გაიხსენეთ მიშას პანიკური შიში და რუსებისაგან აგრესიის ფუჭი მოლოდინი. და, რაც მთავარია, გაიხსენეთ შიშისაგან გონებდაკარგული მიშას სამარცხინო საქციელი 2008 წლის ავგისტოში, როცა მოწინააღმდეგე თვითმფრინავის ხმის გაგონებით დაპანიკებულმა "მხედართმთავარმა" მიატოვა მაღალი რანგის ფრანგი სტუმარი და ცხვირით ახნა დიდი სტადიონის აღმზრდელი გორის კურთხეული მიწა).

ნერონმა მოწამლა ნახევარძმა (გაიხსენეთ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული აღსასრული), შემდეგ კი დედა მოაკლევინა, იმ მიზეზით, რომ საქმეებში მუდმივი ჩარევით თავი მოაბუხრა (აქ კი შეიძლება "უმნიშვნელო" განსხვავების პოვნა მიშასა და ნერონს შორის, რადგან, რომელი სატრაპისგან განსხვავებით, მიშამ დედამის ლამის ნახევარი საქართველო აყილია ჩალის ფასად).

ნერონის სისასტიკეს ემსხვერპლა მისი პირველი ცოლიც. იმპერატორმა მას თავი მოკვეთა და თავის საყვარელს, პოპეას საწუქრად გაუგზავნა. თუმცა ხანგრძლივი

არც პოპეასთან მისი ურთიერთობა აღმოჩნდა. ფეხშიძე ქალი სასიკვდილოდ სცემამ მიზეზით, რომ ცხენოსანთა შეჯიბრებიდან დაბრუნება დაავიანა (გაიხსენეთ სააკაშვილის მიერ ძუძუმწოვრი მომღერალი ქალი ნიჟარაძე).

გადმოცემის თანახმად, ნერონმა გადაწვა რომი, რომ "ოქროს სახლის" მშენებლობისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა. მის შესახველთან 36,5 მეტრის სიმაღლის ნერონის ოქროს ქანდაკება დაიღვა. ბაღებში კი ევზოტიკური ცხოველები დასეირნობდნენ (საკაშვილი ძეგლებს კი დაერია, მაგრამ საკუთარი ძეგლის დაღება ვეღარ მოასწრო და მხოლოდ "ნადავითარ" ადგილზე წამოყანთრული "ველისიკულის" სამარცხინო ძეგლით და უკემოვნო შადრევნებით დაგვამახსოვრა თავი).

ნერონს საკუთარი პერსონა იმდროინდელი კაცობრივის უდიდეს პოეტად და მომღერლად მიანდა და სისტემატურად უჩვენებდა თავის "ხელოვნებას" იმპერიის სხვადასხვა ქვეყნებში. სააკაშვილს, მართალია, არც მუსიკისა და არც პოეტური შემოქმედების ნიჭი დაბადებიდან არ დაჰყვა, მაგრამ სხვა ნიჭიერი შემოქმედების "აღმოჩენის" უბედლო სპეციალისტად შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ მან "შემოგვრენა" მილენიუმის უდიდეს პოეტად ვიდაც, ნაციონალთა მიერ პრივილეგირებული ბიზნესმენი სერგი კაკალაშვილი, საუკეთესო ვოკალისტად კი მის მიერ ასევე პრივილეგირებული "უმნიშვნელო" სოფო ნიჟარაძე. თუმცა, შემდეგ, სიგიჟის მორიგი შემოტევისას, სააკაშვილი სასტიკად შემოსწერა კაკალაშვილს, გააკოტრა იგი და კინაღამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა, ზუსტად ისე, როგორც ნერონმა მიიყვანა თვითმკვლელობამდე ანტიკური ხანის დიდი რომელი პოეტი სენეკა.

ნერონის ეპოქაში, მბრუნავ დარბაზში, სტუმრებს ფლამინგოს მოხარული ენით, ფარშევანგისა და გედის ხორციით და სხვა ძვირადღირებული კერძებით უმასპინძლებოდნენ (გაიხსენეთ პრეზიდენტის ასევე საკმაოდ ძვირადღირებული მენიუ - ლობსტერის კუდი, კიბორჩხალა რბილ კანში, თევზის იაპონური სუში, ძვირადღირებული ესპანელი მზარეული და სხვა სწობისტური სიტუაციები).

ფსუკიანი მასპინძლის კაპრიზებისგან შეშინებული რომელი სტუმრები, კუჭში საკმარისი ადგილი რომ ჰქონოდათ, ხელოვნურად იწვევდნენ გულისრევას.

ამისთვის სპეციალური თასებიც კი ჰქონდათ. დადორილი სააკაშვილის დანახვისას კი სტუმრებს ხელოვნურად გულისრევის გამოწვევა არ სჭირდებოდათ - ისედაც ეროვლად გული (გაიხსენეთ, თუ როგორც ნაებერტყა უწმინდესის სავარძელში, მახათას მთაზე, ნარკოტიკებისა თუ ალკოჰოლისგან გამოთავყვანებული სააკაშვილი).

ნერონი თავს მუდამ ირობდა მასობრივი სანახაობებით და თავადაც დეკლარირებდა სხვა შემოქმედთა ნაწარმოებებს. როცა ნერონი თეატრში გამოდიოდა, კარს კეტავდნენ, რომ წარმოდგენის დასრულებამდე დარბაზი არავის დაეტოვებინა (გაიხსენეთ სააკაშვილის მიერ "ბრძნულად ციტირებული" ნაწვევები ქართველ პოეტთა ნაწარმოებებიდან და სხვა...). იგივე ხდებოდა მბრუნავ დარბაზშიც: ვიდრე ნერონი ბრძანებას არ გასცემდა, დარბაზის დატოვება არავის შეეძლო.

"ოქროს სახლის" მშენებლობის დასრულებიდან მალევე რომაელები აჯანყდნენ და ნერონი იძულებული გახდა, თავი მოეკლა. სასახლე გაძარცვეს და დაანგრეს. მის ნანგრევებს პირველად XV საუკუნეში მიაკვლიეს (დაახლოებით ასეთია სააკაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის ფინიშიც, ხოლო მის სასახლეს რა ბედიც ეწევა - მალე შევიტყობთ).

როგორც ხედავთ, უამრავი რამ აქვთ საერთო ხასიათებში ნერონსა და სააკაშვილს, მაგრამ მათ შორის თუნდაც რამდენიმე განსხვავების მოძებნა პროფესიონალ, თვალმახვილ ფსიქოლოგსაც კი გაუჭირდება!

რ. შალამბერიძე



“სრულიად საიდუმლოდ” ანუ ამბავი ქსენიას სამკაულებზე, ბოკუჩავას მობილურზე და იუშენკოს “ჩუსტებზე”

გაჭირვებულ ნაციონალს აღმართში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (სფს) ხარჯების გასაჯაროება წამოეწევაო, - ნათქვამია. თუმცა აღმართში ეს დოკუმენტი თქვენს მონა-მორჩილსაც წამოეწეა.

კერძოდ, დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ გადაეწვეოთ დოკუმენტის დაცვა. ახლოვლებმა ლეგენდარული "უგულავას დიეტა" მიჩიეს - შედარებით უმტკივნეულოაო. თუმცა გეგმები ჩამეშალა - რა ვქნა, არ მაფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი 115 ათასი ლარით, რომ ავსტრიაში გადავფრინდეთ და გახდომის პროცედურები ჩავიტარო, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილმა და გიგი უგულავამ გააკეთეს 2010 წელს (იხ. ზემოხსენებული ანგარიში).

მოკლედ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (სფს) ხარჯების გასაჯაროებამ "უგულავას დიეტასთან" ერთად სხვა ამბებსაც ახადა საიდუმლოების ფარდა. თუმცა ზოგიერთი დეტალი დაუზუსტებელი დარჩა. მაგალითად, ის, თუ ვინ იყო იუშენკო, რომელმაც 2011 წლის აპრილში თბილისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე იბანავა. გასაჯაროებული დოკუმენტის მიხედვით, თბილისში იღუპილი იუშენკოს ბანაობა 591 ლარი დაჯდა თავისი თავისი მასაჟით, სამი ჩაიდან მურაბიანი ჩაით და შვიდი წველი ჩუსტებით.

სიმართლე გითხრათ, ვერ გავიხსენებ, იყო თუ არა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო თბილისში 2011 წლის აპრილში. ვერც "გუგლმა" გაიხსენა. ორი წლის წინანდელი აპრილის ამბებიდან ამ საიბეო სისტემამ მხოლოდ ის "ამოაგლო", რომ კახეთში ვინმე უშანგი იუშენკო დააკავს ნარკოტიკების შენახვისთვის. ფაქტია, რომ უშანგი ასე პომპეზურად ვერ დაიბანდა. რა გამოდის, ვიქტორმა იბანავა საქართველოში ფარულად?

აბანოდან გადავინაცვლოთ სამზარეულოში. გასა-

ჯაროებული დოკუმენტების მიხედვით, მიხეილ სააკაშვილის ესპანელი პირადი მზარეულის შენახვა ბიუჯეტს ნახევარი მილიონი ლარი დაუჯდა. ეტყობა, ამ ინფორმაციას ფლობდა ვანო მერაბიშვილი, როდესაც ბოლო პერიოდში დაჟინებით პროვოზირებდა საბიუჯეტო კრიზისს.

მზარეულებს თავი დაეანებოთ და ვთქვათ ის, რომ მალე, სავარაუდოდ, საქართველოში მამაკაცები სფს-ზე დაიწვევენ ექვიანობას.

"დიდი სიყვარულით სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისგან", - ალბათ, ასეთ წარწერას აღმოაჩენდა პიანისტი ბატია ბუნიათაშვილი ბიუჯეტის ხარჯზე შექმნილ 140-ლარიან თაიგულში. თუმცა საქართველოში ხელოვნებს არ აფასებენ. მაგალითად, პიანისტს თაიგული და დეპუტატ თინათინ ბოკუჩავას 1599-ლარიანი მობილური?! სამხედროებს განსაკუთრებული დამსახურებისთვის იარაღს ჩუქნიან ხოლმე, ეტყობა, ბოკუჩავამაც რაღაც გმირობა ჩაიდინა და შესაბამისი ჯილდო მიიღო. რომელ ფრონტზე გამოიჩინა თავი, ამის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

დაცვის სამსახური მანდილოსნებს მარტო ტელეფონებს არ ჩუქნიდა. საიუველირო განხრითაც კარგი გემოვნება ჰქონდა. მაგალითად, დოკუმენტების მიხედვით, სფს-მ მარიამ საჯავიას 3500-ლარიანი სამკაული აჩუქა. ისე, საჯავიამ ფეხი უკრა "საჩუქარზე" - არაფერი მიმიღიაო. ასე რომ, სფს-ს ვურჩევთ - ოქრო მთავარი არ არის, მთავარია სულიერი სიღამაზე.

გალია და ტანია მარტო ჩვენში კი არა, თურმე სფს-შიც იწვევს სიმპათიას. უფრო ზუსტად ქსენია. მაგალითად, ჟურნალისტი ქსენია სოკოლოვა საქართველოში ჩამოვიდა სააკაშვილთან ინტერვიუსთვის და უკან 2765-ლარიანი ყელსაბამით დაბრუნდა. ისე თუ კარგად მახსოვს, მაშინ მეორე ქსენიაც იყო ჩამოსული - სობნაკი.

საკაშვილმა მათ პირადად უმასპინძლა და ღამის ბათუმშიც დაათვალიერებინა. საინტერესოა, სობნაკმა რა დააშავა?! ვითომ ღამის ბათუმში ინტერვიუსას უფრო დრამა ჩაეძია სააკაშვილს სოკოლოვა? არადა, ამ მხრივ სობნაკსაც მდიდარი გამოცდილება აქვს.

კიდევ ერთ უსამართლობაზე მინდა მოგახსენოთ - გარეულ რუსს 2765-ლარიანი სამკაული და შინაურ უკრაინელს მხოლოდ 982 ლარიანი? თანა მელაის ალბათ, საბოლოოდ აუცრუვდებოდა გული "მეკალთან" სფს-ს.

სფს-ს გასაჯაროებულ ანგარიშში კიდევ ერთი დეტალი საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, ის ამბავი, რომ 44 ცხვარში 6 600 ლარი გადაიხადეს. ალბათ, არგონავტების მიერ კოლხეთიდან წადებული ოქროს საწმისი გამოისყიდეს და უნდოდათ, ეს 19 აპრილის აქციაზე ეხარებინათ.

ისე, ცხვრებიც კი გაცხარდებოდნენ, როდესაც წაიკითხავდნენ, რომ პრეზიდენტთან ერთად დუბაიში კობა ხაბაზის, ალანა გაგლოვას, ზურაბ ჭიაბერაშვილის, გოგა ხაჩიძის, დავით საყვარელიძის, მარიამ საჯავიას, გიორგი დვინიაშვილის, ნუგზარ წიკლაურის, სერგო რატიანისა და დავით დარჩიაშვილის დახვეწება 240 ათასი ლარი დაჯდა. ენერჯიას აღდგენას ცდილობდნენ, რომ შემდეგ უფრო ხმამაღლა ეყვირათ - რა მაღალ პრემიებს იღებენ ახალი ხელისუფლების წევრები.

სფს-ს ხარჯების ყველა ეპიზოდზე აღარ შეგნერდებით, თუმცა ერთს ვიტყვით - ასე იწვევდა თურქ-მენბაში და 1-ელ ოქტომბერს "ნაციონალები" დროზე "დამაზრუტეს", რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე შექმნილი ოქროს სამკაულებიდან ოქროს უნიტაზებამდე ერთი ნაბიჯია.

ბ. კვიციანიძე

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას

თვალსაზრისი: კითხვა-პასუხის რეჟიმი თემურ ქეციაშვილთან

საქართველოს ჩემპიონატში გეგულე-ბათ ისეთი ფეხბურთელი, რომლის სანახა-ვადაც ხალხი სტადიონზე დადის? შესაძლოა, სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, ახლახან როგორ დაუსვა კითხვა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავაკცმა შურნალისტებს ტელეკომპანია "მზის" პირდაპირ ეთერში, მაგრამ არის ასეთი იყო.

ყოველგვარი ირონიის გარეშე უნდა ითქვას, რომ კითხვა მართლაც საინტერესოა.

საერთოდ, კითხვებს იქით უსვამს ხოლმე შურნალისტი მწვრთნელს, მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე.

მე მაინც მგონია, რომ ხალხი ქართულ სტადიონებზე ფეხბურთელების სანახავად უფრო დადის, ვიდრე მსხუშხირის საკნატუნოდ თუ სიგარეტის მოსაწვეად, მიუხედავად იმისა, რომ გამორჩეული ინდივიდუალისტები ჩვენს ჩემპიონატში ცოტანი არიან.

"დინამო არენაზე" ყველაზე უფრო ჩისკო უყვართ და არცთუ ბევრი გულშემბატკივარც იქ ალბათ მისთვის მიდის. ჩისკოც საქართველოს ნაკრებში თამაშზე ოცნებობს.

ქუთაისში განსაკუთრებულად უყვართ ფეხბურთი და ხალხიც იქ უფრო მეტი დადის სტადიონზე, ვიდრე თბილისში, ზესტაფონში თუ ბოლნისში.

საბანაძე, გოლი! "ტორპედოს" თითქმის ყოველ საშინაო მატჩზე ისმის ეს შეძახილი.

ქეციაა არ მინახავს პირველი ლიგის მატჩებზე, არადა საქართველოს ქვედა ლიგაშიც ჰყავთ გულშემბატკივრებს თავიანთი ჯილა ფეხბურთელები.

"ზესტაფონში" უწინდელივით ბევრი მაყურებელი არ დადის სტადიონზე, მაგრამ იქაც ფეხბურთელს მიჰყავს ქომაგი არენაზე. მერწმუნეთ, თორნიკე აფციაურის ერთი კარგად შესრულებული ტექნიკური ილეთიც კი ის მიხეხია, რომ ბევრს თუ არა, ცოტა მაყურებელს ნაღდად რომ მიიყვანს თამაშზე.

დღეს ისე აღარაა, როგორც ადრე - ამაში მართალია ნაკრების მწვრთნელი.

მაღალხა ასათიანი რომ თამაშობდა "ტორპედოში", მარტო მას შეეძლო ათასობით გულშემბატკივრის მიზიდვა სტადიონზე ქუთაისშიც და სხვაგანაც.

როგორ გგონიათ, რატომ დადის ათასობით ქომაგი გორში "დილას" საშინაო მატჩებზე? ფეხბურთელი ყველგან ფეხბურთელია, გულშემბატკივარც ყველგან გულშემბატკივარცა - გრავიტაციას ყველგან ერთი და იგივე ძალა იწვევს.

ნაკრების თამაშზეც მხოლოდ იმიტომ არ დადის გულშემბატკივარი, რომ ეროვნული გუნდი თამაშობს. ინდივიდუალისტებს აქაც მნიშვნელოვანი როლის შესრულება უწევთ. საქართველოს ნაკრების ქომაგს ალექსანდრე იაშვილი უფრო მიიყვანს სტადიონზე, თუ ირაკლი სირბილაძე? საინტერესო იქნებოდა ამ კითხვაზე ქეციაშვილის პასუხი.

ფეხბურთში ვითარება სწრაფად იცვლება. ქეციაა და მისი შტაბი ეროვნული ჩემპიონატის უკვე ძალიან ბევრ თამაშს დაესწრენ და აუცილებლად შეამჩნევენ, ქართულ სტადიონებზე მაღლიერი გულშემბატკივარი მისი საყვარელი გუნდის მწვრთნელის გვარს რომ ყვრის.

საქართველოს ჩემპიონატში არიან ასეთი მწვრთნელები და ხალხიც მათი გავრთნილი გუნდის სანახავად დადის სტადიონზე...



ბიორბი მერეაშვილი: ჯარჯირობით "დინამოში" ვრჩები

სერბეთის "ვოივოდინადან" თბილისის "დინამოში" დაბრუნებულ გიორგი მერეაშვილს გუნდის ლიდერის სტატუსის აღსადგენად გარკვეული დრო დასჭირდა, მაგრამ ახლა ისევე "დინამოს" ერთ-ერთი სული და გულია. დუშან უპრინის უჩვეულო დავალებებსაც შეეგუა და მეტოქეთა დაცვას ძველებურად აწიოკებს.

გიორგი მერეაშვილს ბოლო სათასო მატჩზეც ველოდებოდა და ჩემპიონატზეც. - ძალიან დიდი მოულოდნელობა იყო, უმაღლესი და პირველი ლიგის ლიდერების მატჩი დაძაბული რომ გამოდგა...

- ჩემპიონატში "გურიას" მსგავსი ბევრი მეტოქე რომ გვყავდა, ეს "დინამოსაც" დიდ სამსახურს გაუწევდა და მთლიანად ტურნირსაც. ჩემდა გასაოცრად, "გურიაში" კარგად ითამაშა. ბევრი ცნობილი მოთამაშე არ ჰყავთ, მაგრამ ნიჭიერი და გამოცდილი ფეხბურთელებისგან მშვენიერი, მებრძოლი და შეკრული გუნდი დაუკომპლექტებიათ.

საპასუხო მატჩის წინ ეს აღარ გამკვირვებია, მაგრამ ღანწხუთში რომ ჩავედით და პირველი ლიგის გუნდმა ბრძოლა გაგვიმართლა, გამკვირდა და თან მესიამოვნა. ფეხბურთელი ბრძოლაში იზრდება და არა - გასეირნებაში.

დასაწყისშივე გატანილმა ორმა გოლმა ცუდი სამსახური გაგვიწია და მერე მოვდუნდით. ვაღიარებ, რომ საბოლოოდ აშკარად გაგვიმართლა. რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი და შესაძლოა, ვეღარც გაგვეტანა, თუმცა თამაში მაინც მოსაგები იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველ ტაიმში რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ქარს გავატანეთ.

- ჩემპიონატის 26-ე ტურში "დინამოსთვის" მნიშვნელოვანი ამბები მოხდა - თქვენ "ჩიხურას" მოუგეთ, კონკურენტი "დილა" კი "ტორპედოს" დაამარცხა...

- ყველაფერი საჩვენოდ ავსო, მაგრამ ისევე "დინამოს" დამსახურებაა, კონკურენტები რომ ჩამოვიტოვეთ. საჩხერელებთან მძიმე მატჩი გვევლიდა, ეს ყველაფერი ვიცოდით, განსაკუთრებული მობილიზებით ვითამაშეთ და დიდი ან-

გარიშით ამიტომაც მოვიგეთ.

- ხომ არ მიინეგ, რომ ჩემპიონობის ბედი, ფაქტობრივად, სწორედ ამ ტურში გადაწყდა?

- ასე არ ვფიქრობ, რადგან ჩემპიონატში ვითარება ისე დაიძაბა, რომ 6 ტურით ადრე მხოლოდ 4-ქულიანი უპირატესობა საკმარისი ვერ იქნება. არც ერთი ჩვენგანი არ მიიჩნევს, რომ საქმე გაკეთებულია. ძალიან მძიმე მატჩები გვევლინა. გადამწყვეტი გორში "დილასთან" შეხვედრა იქნება. თუმცა 4-ქულიანი უპირატესობა ბევრს ნიშნავს, სხვაობა უნდა შევინარჩუნოთ და საქმე ჩემპიონობამდე მივიყვანოთ.

- "ტორპედოსთან" და "ჩიხურასთან" აბსოლუტურად სხვადასხვა თამაში აჩვენეთ. ქუთაისში ვერ მოიგეთ, მაგრამ კარგად და სწრაფად ითამაშეთ, საჩხერელებთან კი შენელებული კადრები ვიხილეთ...

- ყველა შეხვედრას ერთ ტემპში ვერც ერთი გუნდი ვერ ჩაატარებს. ამიტომ ეს არ გაგიკვირდეთ. თამაშის ტემპი მეტოქეზეც არის დამოკიდებული.

ჩემი აზრით, ვინაა გეგუნადის "ტორპედო" საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს. ამანაც განაპირობა, ორივე გუნდს გახსნილი და სწრაფი თამაში რომ გამოგვივიდა.

"ჩიხურას" ფეხბურთელები არ მიწყენენ, თუ ვიტყვი, რომ ფავორიტები მაინც ჩვენ ვიყავით. მათ კი კონტრშტრეგია ითამაშეს და აქედან გამომდინარე, მაღალი ტემპი ვერ იქნებოდა.

- ამ კუთხით, სერბეთის ჩემპიონატი ბევრად გვეჯობა?

- დიახ, რადგან იქ შემტვე ფეხბურთს გაცილებით მეტი ფავორიტები აჩვენებს.

- "დინამოში" თუ რჩები?


- გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს და ჯერ მხოლოდ ჩემპიონობაზე ვფიქრობ, მაგრამ ხვალ რა იქნება, ნამდვილად ვერ გეტყვით. ფეხბურთელის ცხოვრება ისეთია, შეიძლება, ხვალ დაუგეგმავად ახალ კლუბში აღმოჩნდე, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან კი, ალბათ, "დინამოში" დავრჩები.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ამრია - XXI საუკუნის საუკეთესო მემკვიდრეობა"

გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



ბაზეთ "ილორის რედაქციას!"

ბატონო რედაქტორ, ჩვენ, ზუგდიდში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები, დიდ მადლიერებას გამოვხატავთ თქვენი ბაზეთის მიმართ, საიდანაც უღვევი სითბო და თანადგომა გადმოდის ჩვენდამი.

ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, სიხარულისა თუ გასაჭირის ჟამს!

ამ რამდენიმე ხნის წინ, დევნილებს შორის, გავრცელდა ჩვენთვის ფრიალ გასახარებელი ხმა, ზუგდიდში, აფხაზეთიდან ლტოლვილებისათვის რვა მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის შესახებ. როგორც გავიგეთ, მშენებლობას გერმანული KFW ბანკი აფინანსებს.

მადლობის მეტი რა გვეთქმის ჩვენი უცხოელი კეთილშესურველებისადმი, მაგრამ ასევე გავრცელდა ხმა, რომ ზემოთხსენებული სახლების მშენებლობისათვის გამართული ტენდერი სამშენებლო კომპანია "დაბი"-მ მოიგო. ყველასათვის ცნობილია, რომ კომპანია "დაბი"-ს უკან, მიხეილ სააკაშვილის კრიმინალური მოხელე, სამეგრელო-ზემო-სვანეთის ყოფილი გუბერ-

ნატორი, ფინანსურ-კრიმინალურ გარიგებებში არაერთგზის მხილებული ზაზა გოროზია დგას.

როგორც ცნობილია, ზაზა გოროზიას საქმიანობას, მისი გუბერნატორად, თუ სოფლის მეურნეობის მინისტრად ყოფნის პერიოდში პროკურატურა იძიებს და, ცხადია, სამშენებლო კომპანია "დაბი"-ს საეჭვო გარიგებებიც არ დარჩება სამართალდამცველთა ყურადღების მიღმა.

ვეგვობთ, რომ ყოველივე ზემოთთქმული ჩვენი გერმანელი მოკეთებებისათვის ცნობილი იყოს!

ამის გამო, გთხოვთ აცნობოთ, რომ მათ მიერ გაკეთებულ სიკეთეს ჩრდილი არ მიადგეს და ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება არ გამოიწვიოს.

პატივისცემით: ხარატიშვილი, თოდორია, პიტია, საბურხანი, შინგაძე, ჯანაშია... სულ 16 კაცი. რედაქციისათვის: ბაზეთი "ილორი" იკვლევს აღნიშნულ საკითხს, რომლის შედეგებსაც მალე მიგაწვდით ჩვენს მკითხველებს.

გამოვიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამცხე-აფხაზეთის რედაქციის მიერ 2013 წლის

პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი ბიორბი სიჭინავა.

შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, ჟალენჯირში, ჩხოროწყუში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან.

თბილისში - ტაშაშელის ქ. №25, I სართავაზო, ბინა, 1. ზასი 4 ლარი

იუმორი

აბრა ექიმის კაბინეტის კარზე: "ყვავილებს და კანფეტებს არ ვსვამ!"

დედა შეილს აძინებს და იანანას უმღერის.

- დედა, ძალიან კარგად მღერი, მაგრამ გეხვეწები, დამაძინე, რა...

გახშობისას ცოლი ეკითხება ქმარს: - საყვარელო, როგორ მოგეწონა კერძი? - ისევე ჩხუბი გინდა, არა?

მასწავლებელი ეჩხუბება კახელს: - შაქრო, როდის უნდა ისწავლო ბოლოსდაბოლოს ცხვირის მოხოცვა?

- რათ უნდა ვისწავლო რა, მაგაშიც საშემოდგომო გამოცემა?

- რას გადაგვიდა მათემატიკის მასწავლებელი, შეილო?

- სულ შენი ბრალია.

- რატომ?

- ასე მეუბნება, ის ვირი მამაშენი ფულს რომ გატანს, თელა არ იცისო?

პოეტს ხშირად სტუმრობდა მუზა, სხვა მნახველებს პალატაში არ უშვებდნენ.

ორი დამურა ფეხებით ჰკიდა და საუბრობს: - ყველაზე ცუდი დღე როდის გქონდა? - გუშინ, კუჭი რომ ამეშალა.

ISSN 1987-8966 ilori. Includes a barcode and contact information for the magazine.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, მე-4 სართული, სარედაქციო საბჭო: თამაზ მორიძე, ზურაბ ჯამბურია, თინათინ კუპლაშვილი, კლიმენტი შალია, ბივი სომხიშვილი, დავით ძოგალია, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (ბალი).

გაზეთი "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge